

ვლადიმერ ბასარია

რევაზ ბასარია

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან
არსებული ფინანსების სამეცნიერო კვლევითი
ინსტიტუტი

გადასახადი: სიკეთე თუ უკეთურება?

/გადასახადის არსი და დაბეგერის რაკიონა-
ლურობის პრობლემები/

თბილისი, 2003

პ. ბასარია, რ. ბასარია. გადასახადი: სიკეთე თუ უკეთურება? – თბილისი: უსკი, 2002,-202 გვ.

მონოგრაფიაში შესწავლილია გადასახადის (ბეგარის) არსის და მისი ოპტიმალურობა – რაციონალურობის პრობლემები; დასაბუთებულია ბეგარის ორადი ხასიათის დებულება, სხვადასხვა მიზეზების გამო მისი საერთო მოცულობის ოპტიმალურთან შედარებით მეტისკენ მისწრაფების ტენდენცია და, აქედან გამომდინარე, გადასახადის მინიმიზაციის სახელმწიფოებრივი განწყობის დამკვიდრება – გატარების სარგებლიანობის თეზა. ნაშრომში ვრცლად არის განხილული ეკონომიკის გადასახადით დატვირთვის შეფასების, მისი სხვადასხვა ქვეყნებს შორის შეფარდების უზრუნველყოფის საკითხები და შემოთავაზებულია საგადასახადო წნეხის გაანგარიშებისადმი ახლებური მიდგომა; დასაბუთებულია, რომ საქართველოში ბოლო წლებში განვითარებულმა მოვლენებმა განაპირობა მძიმე მდგომარეობაში მყოფი ეკონომიკის ლეგალური სექტორის შესაძლებლობებთან შედარებით დასაშვებზე მაღალი საგადასახადო დატვირთვის არსებობა.

წიგნი განკუთვნილია დაბეჯერის თეორიით და პრაქტიკით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის.

იბეჭდება ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი №16 2002 წელი).

რედაქტორი იაკობ მუსხია, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

რეცენზენტი ბიორბი მაღაშხია, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

კომპიუტერული უზრუნველყოფა: პ. რიკაძე

შინაარსი

შესავალი.....	7
თავი 1 დაბეჭდვის რაციონალურ(ობის)ადგილი მიღბ(ომის) საკითხი ისტ(ორი)ულ ასპექტში.....	11
თავი 2 გადასახადის არსი და მნიშვნელობა. საბადასახადო წნეხი.....	36
2.1. გადასახადის რაობის საკითხისათვის: სამართო მიღბ(ო)მა.....	36
2.2. გადასახადი, რობ(ო)რც ეკ(ონო)მიკის რეზულირების და მწვავე სოციალური პრობლემების გადაწყვეტა – შემსუბუქების საშუალება.....	60
2.3. საბადასახადო წნეხი და მისი შესაძლებლად მინიმიზაციის უზრუნველყოფის სარგებლიანობა.....	97
თავი 3 საბადასახადო წნეხი საქართველოს ბარდამავალ ეკ(ონო)მიკაში.....	121
3.1. საბადასახადო წნეხის სწორად ბათვლა–ბაანბაროშებისა და ბანსაზღვრისათვის.....	121
3.2. საბადასახადო სისტემისა და ბეზარისეზური წნეხის ჩამოყალიბება დამოუკიდებელ საქართველოში. მისი ეკონომიკის ბანვითარებაზე უარყოფითად მოქმედი ნაკლოვანებები.....	138
3.3. საქართველოს ბარდამავალ ეკ(ონო)მიკაში საბადასახადო წნეხის ოპტიმიზაცია – შემცირების ბანწყობისა და დამკვიდრების აუცილებლობა.....	159
დასკვნები და წინადადებები.....	174
რეზერატი რუსულ ენაზე.....	187

საქართველოში დაძალებით წარმართვადი სოციალურ – ეკონომიკური წესრიგიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა მძიმედ მიმდინარეობს. ქვეყნის ეკონომიკა გასული ათი წლის გარდამავალ პერიოდში, გარდა ცალკეული წლების ერთგვარი დადებითი შედეგებისა, ფაქტობრივად პერმანენტულ კრიზისში იმყოფება, განსაკუთრებით მისი მატერიალური წარმოების სფერო. საკმარისია აღინიშნოს, რომ, ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, 2000 წელს წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მოცულობამ 1990 წლის შესაბამისი მაჩვენებლის 20 პროცენტსაც კი ვერ მიაღწია. გარკვეულწილად (ნაკლებად, მაგრამ მაინც) ანალოგიურ პრობლემებს წააწყდა ყველა პოსტსაბჭოური ქვეყანა. სხვა მრავალ მიზეზთან ერთად, ის სამეურნეო ჩავარდნები, რომლებიც ახასიათებს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს, ჩვენი აზრით, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის, მისი შენახვის ოპტიმალური ხარჯების დადგენის სირთულეებში და, შესაბამისად, ნორმალური, თვისებრივად ახალი მოთხოვნების ადეკვატური საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებაში უნდა ვეძებოთ. თავის „გმირულ ქმედობაში – გასულიყვენ დასავლური ეკონომიკური სისტემების ღონემდე“ ეს ქვეყნები „ცდილობდნენ გამოეყენებინათ განვითარებული ქვეყნების საგადასახადო სისტემების ზოგიერთი ყველაზე რთული ასპექტი, მაშინ როდესაც მათი ეკონომიკებისათვის საჭირო იყო გაცილებით უფრო ფუნდამენტური საგადასახადო სისტემა“.

¹ Уорд М. Хассен, Дональд С. Люблик. Основы мирового налогового кодекса с комментариями. Пер. с англ. Проект, финансируемый

ნვენი ქვეყნის საგადასახადო სისტემაზე, მის გაუმართაობაზე, არაეფექტიანობაზე, გადასახადის მოცულობის ოპტიმალურობაზე თუ მიუღებლობაზე დღეს ბევრს დაობენ საქართველოს პოლიტიკური მოღვაწეები, მეწარმეები. დაბეგვრის საკითხში არსებული პრობლემები, გამომდინარე საერთო ეკონომიკურ მდგომარეობაზე მათი ზეგავლენის მნიშვნელობიდან, რა თქმა უნდა, არ რჩება მეცნიერების კვლევა – ძიების საგნის მიღმა. ამასთან შედარებით ნაკლებად არის გამოკვლეული დაბეგვრის და გადასახადის სიმძიმის პრობლემები მთლიანობაში, ის, თუ როგორ მოქმედებს ერთობლივი საგადასახადო წნეხი სამეურნეო სუბიექტების ქცევაზე, შესაბამისად, ეკონომიკის განვითარებაზე, და, მისდამი ასეთი მიდგომიდან გამომდინარე, რა არის ეს ბეგარისებური¹ ტვირთი, როგორ უნდა იქნეს ის გაანგარიშებულ – შეფასებულ და სხვ..

ეს არც უნდა იყოს გასაკვირი საქართველოს რეალობისათვის, ვინაიდან ეს პრობლემები ეკონომიკურ მეცნიერებაში ჯერჯერობით კვლავინდებურად გადაუწყვეტელი რჩება როგორც თეორიულად, ისე, მით უმეტეს, პრაქტიკულად, თუმცა გადასახადის მოცულობის ოპტიმალურობისა და სამართლიანობის საკითხი, შეიძლება ითქვას, მისი წარმოშობიდან აწუხებდა კაცობრიობას და მის განსაკუთრებით მოაზროვნე ნაწილს – მეცნიერებს. პროფესორი გ. მაღლაშხია ასკვნის, მაგალითად, რომ

Международной Налоговой Программой Гарвардского университета.
– 1996, стр. 1.

¹ ჩვენ ამთავითვე აღვნიშნავთ, რომ მხარს ვუჭერთ ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ფსკი) კოლექტივში დამუშავებულ-დასაბუთებულ მოსაზრებას „გადასახადის“ და „ბეგარის“ სინონიმებად ხმარების მართლზომიერებაზე.

გადასახადები დღემდე თავიანთ ეკონომიკურ და სოციალურ ფუნქციებს მხოლოდ მიახლოებით ასრულებს, „რადგან არსად მსოფლიოში ჯერ არ შექმნილა გადასახადების სრულყოფილი, ჭეშმარიტად ობიექტური, სრულიად ეფექტიანი, გამართული სისტემა, რომელსაც მრავალი ნაკლი არ ექნებოდა“¹.

გასაგებია, რომ ამ ურთულესი საკაცობრიო პრობლემის გადაწყვეტის პრეტენზია ავტორებს არ გააჩნიათ. ჩვენს ამოცანას იმაში ვხედავდით, რომ შეძლებისდაგვარად გაგვერკვია, თუ რამდენად მაღალია (და მაღალია კი საერთოდ) საგადასახადო ტვირთი საქართველოს ეკონომიკაში, ხომ არა აქვს მას ნამეტნავად დამახინჯებითი ხასიათი და შესაძლებელი და, იქნებ, მიზანშეწონილია მისი გარკვეული შემცირება, რომ ამან საგადასახადო ბაზის ბუნებური გაფართოება და ბიუჯეტის შემოსავლის ზრდა გამოიწვიოს. არც ამ კონკრეტული პრობლემის სართულე იყო ჩვენთვის უცნობი. როგორც ვიცით, თავის დროზე პრეზიდენტ რეიგანის აღმინისტრაციის უმაღლესი დონის სპეციალისტებისაგან შემდგარი კომისიის მიერ შემუშავებული წინადადებების გატარებამაც კი² ვერ გაამართლა და მას, პროგნოზირებული ზრდის ნაცვლად, ბიუჯეტის შემოსავლის შემცირება მოჰყვა³. ასე რომ ამ აქტუ-

¹ გ. მ ა ლ ა შ ხ ი ა. გადასახადების ობიექტურობისა და ეფექტიანობის პრობლემა. — კრებული „გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში“. ტ. III. — თბილისი: ფსკი, 1999, გვ. 95.

² 1986 წ. აშშ — ში ძილებულ იქნა კანონი საგადასახადო რეფორმის შესახებ.

³ აქვე შევნიშნავთ, რომ ეს ფაქტი ზშირად მოჰყავთ ეკონომიკაში სახელმწიფოს გაზვიადებული ჩარევის მომხრეებს. მაგრამ, სამწუხაროდ, იმას

აღური პრობლემის კვლევას რომ ვკიდებდით ხელს, ჩვენი ამოცანა მოკრძალებული იყო: შეგვეფასებინა, თუ რამდენად მისაღებია საქართველოს ეკონომიკაში ჩამოყალიბებული ბეგარისებური წნეხი და ხომ არ არის აუცილებელი მისი ერთგვარი შემსუბუქება. ამასთან საკითხზე მუშაობამ და პრობლემის კვლევამ საშუალება მოგვცა ჩამოგვეყალიბებინა მისდამი ჩვენებური (იმედი გვაქვს, არსებობის უფლების მქონე) მეცნიერული მიდგომა, ახლებურად გაგვეხილა და წარმოგვეჩინა რიგი მასთან დაკავშირებული საკითხებისა, მიგვეღწია ზოგიერთი თეორიული და პრაქტიკული სარგებლიანობის მქონე შედეგისათვის.

ნაკლებად აქცევენ ყურადღებას, რომ მას ფაქტობრივად არ შეუცვლია დასავლელი ეკონომისტების მიდგომა ეკონომიკის სტაბილური ზრდის უზრუნველსაყოფად გადასახადების შესაძლო შემცირების სასურველობაზე.

თავი 1. ღაბეშვილის რაციონალურ(ობის)ადგილი მიღობის საკითხი ისტორიულ ასპექტში

ცხოველთა სამყაროდან გამოყოფილი ჩვენი წინაპრების ცხოვრება თავიდანვე თვისებრივად განსხვავდებოდა ცოცხალი ბუნების დანარჩენ წარმომადგენელთა არსებობისაგან. ეს იყო (წინარე ისტორიულ ხანაში) შეგნებულად თანამცხოვრები და თანამოსაქმე ადამიანთა ჯგუფები, შემდგომში თემები. მაგრამ მათი ეს ერთიანობა თავდაპირველად, გამომდინარე ერთობლივად ცხოვრების გააზრებულობის დაბალი დონისა და გადასაწყვეტი პრობლემების სიმარტივისაგან, მეტად პრიმიტიულ პრინციპებზე იყო აგებული. ამ ერთობლიობის ფუნქციონირების, მისი საერთო მართვის საკითხებს ყველა ერთად განაგებდა და წყვეტდა, ამისათვის ადამიანების რაიმე ჯგუფის გამოცალკეება არც საჭირო იყო და არც შესაძლებელი; აქ ყველას ერთად უნდა ემუშავა და ეზრუნა ერთობის წევრების მინიმალურ დონეზე გამოკვებისათვის. შრომის მწარმოებლურობა იმდენად დაბალი იყო, რომ ინდივიდებს პრაქტიკულად დამოუკიდებლად არსებობა არ შეეძლოთ: მათ ერთმანეთი უნდა შეენახათ, რომ ყველანი ერთად არ ამოხოცილიყვნენ.

დროთა განმავლობაში კი შრომის განვითარებისა და შრომის დანაწილების წარმოშობის კვალობაზე გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, წარმოიშვა კერძო საკუთრება, გართულდა და გამრავალფეროვანდა ცხოვრება თემის შიგნით, ამავდროულად გამწვავდა ურთიერთობა თემებს შორის. ამ და სხვა მოვლენებმა (განსაკუთრებით კი კერძო საკუთრების, მესაკუთრეთა, მდიდართა და უპოვართა წარ-

მოშობამ) განაპირობა ადამიანთა ერთობებიდან სპეციალური პიროვნებების გამოყოფის აუცილებლობა, რომლებიც ამ ერთობების წევრების ახალ რეალობაში თანაცხოვრების წესებს შეიმუშავებდნენ და გაატარებდნენ, წარმართავდნენ მათ (ერთობლიობების) ურთიერთობებს სხვა თემებთან (ადამიანების სხვა ერთობ-ლიობებთან). წარმოიშვა საზოგადოებების (საზოგადოების) განსაკუთრებული მმართველი ძალა - სახელმწიფო¹. ამ სპეციალური საქმით დაკავებულ ადამიანებს შენახვა სჭირდებოდა, მათი საქმიანობა ანაზღაურებული უნდა ყოფილიყო. ეს კი იმ საზოგადოებას, ადამიანთა იმ ერთობლიობას უნდა გაეკეთებინა, რომლის საერთო თანაცხოვრების მოგვარება იკისრეს მისგან გამოყოფილმა ამ ადამიანებმა (დაეკისრა მათ): შეიქმნა ადამიანების მიერ წარმოებული დოვლათ-სიკეთის გადანაწილების აუცილებლობა, წარმოიშვა ბეგარა (გადასახადი) - სიკეთეთა ჩვეულებრივი გაცვლისაგან განსხვავებული გადაადგილება.

თუ როგორ განიდა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი - ნებაყოფლობით დააკისრა საზოგადოებამ გარკვეულ ადამიანებს ეს საერთო-საზოგადოებრივი საქმიანობა ან მათ თვითონ აიღეს ხელთ ძალაუფლება და მოახვიეს დანარჩენებს თავისი სამსახური (უფრო პირველი, მაგრამ ხშირად მეორეც, ვინაიდან სახელმწიფოებრივ მმართველობაში ყოფნა, ეტყობა, თითქმის ყოველთვის მეტ-ნაკლებად პრესტიჟულ-მოგებიანი იყო) - მნიშვნელობა არა აქვს მისი შენახვის ხარჯების დაფარვის ხასიათის თვალ-

¹ მიჩნეულია, რომ სახელმწიფო თანამედროვე გაგებით ჩამოყალიბდა ევროპაში სადღაც XV საუკუნეში, მაგრამ ზემოხსენებული საერთო-საზოგადოებრივი საქმიანობა, საზოგადოების წევრების თანაცხოვრების მართვა უკვე სახელმწიფოებრივი ფუნქციაა უძველესად.

საზრისით: გამომდინარე სახელმწიფო მომსახურების სპეციფიკურობიდან (ამის თაობაზე საუბარი წინა გვეყვს) ბეგარის გაღება აუცილებელი იყო და თავიდანვე მნიშვნელოვანწილად იძულებით ხასიათს ატარებდა. გამოდის, რომ სახელმწიფო და ბეგარა ასაკით ტოლები არიან, წარმოშობის დღიდანვე სახელმწიფო იმ ადამიანების შესანახი ხდება, ვისი თანაცხოვრების რეგულირება-მოგვარება იკისრა ამ წარმონაქმმა. მაგრამ ეს წარმონაშობი (განსაკუთრებით მოგვიანებით, როდესაც მან ძირითადში დესპოტური მართვის ხასიათი მიიღო) საზოგადოებისათვის აუცილებელი თავისი საქმიანობის ანაზღაურებას აღიქვამდა მისთვის როგორც ძლიერის და განსაკუთრებული თვისებებით შემკობილის (ხშირად როგორც შეადამიანური ძალის მიერ წარგზავნილის) თავისთავად კუთვნილებას, უფრო მეტიც, მისთვის საუკეთესო, განსხვავებულ პირობებში ცხოვრების უფლების განხორციელების საშუალებას. ამიტომ ხელისუფლება¹ უმეტესწილად განწყობილი იყო იმისკენ, რომ ამოეღო რაც შეიძლება მეტი გადასახადი; ბეგარის ამოღებას მოტივაციად ის არ ედო პირველ რიგში საფუძვლად, თუ რა ოდენობის საერთო-საზოგადოებრივი მომსახურება სჭირდება ამ საზოგადოებას რეალურად, არამედ მმართველი ძალის (დესპოტის, ფეოდალის, შაჰის, იმპერატორის, მეფის და სხვ.) სურვილები, ხშირად მათი ამბიციური, პატივმოყვარული მისწრაფებები და ფუფუნებისადმი ლტოლვა. ამიტომ ბეგარის საერთო მოცულობა ობიექტურ აუცილებლობასთან შედარებით უფრო მეტისკენ იხრებოდა.

¹ საუბარი ამ წარმონაშობის განვითარების შედარებით გვიანდელ პერიოდზე გვეყვს.

მაგრამ ერთია მმართველთა სურვილი და მეორეა მისი მთლიანობაში დაკმაყოფილება. მეტი ბეგარა რომ ამოიღო, მის გადამხდელებს მეტი შესაძლებლობები უნდა გააჩნდეთ. მისი ამოღების სფერო უნდა გაფართოვდეს.

სურვილი მეტი ბეგარის ამოღებისა და ამისათვის მისი წყაროსთან მიახლოებისა არის, ალბათ, ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გადასახადების მრავალსახეობისა, რაც დაბეგვრის ისტორიაში გვხვდება. მმართველი წრეები, შეიძლება ითქვას, სასწაულ საზრიანობას და გამჭრიახობას იჩენდნენ ბეგარის ნაირსახეობების გამოგონება-დანერგვაში, ზოგჯერ პარადოქსულ ხერხებსა და საშუალებებს მიმართავენ დაბეგვრის ობიექტის კონკრეტულად აღმოჩენაში. ცნობილია, მაგალითად, რომ პეტრე დიდმა რუსეთში თავის დროზე შემოიღო გადასახადი (მისაგებელი) წვერზე და ულვაშზე. რომის იმპერიაში 200-ზე მეტი ნაირსახეობის გადასახადი არსებობდა, მ.შ. „მოსაკრებელი ოქროს გვირგვინზე, როგორც უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლისათვის ქვეშევრდომთა ერთგულების გრძნობის გამოხატვა“, „მოსაკრებელი წარჩინებული (პატივდებული) სტუმრების შენახვისათვის“, „გადასახადი კიტრზე“, „მოსაკრებელი ქანდაკებების აგებისათვის“, „ბეგარა საპონზე“, „მოსაკრებელი მეძავეებისაგან“, „მოსაკრებელი მებაზანოებისგან“ და სხვ. საგულისხმოა, რომ ამ გადასახადებთან ერთად არსებობდა „სულობრივი გამოსაღები“.

სახელმწიფოს (ხელისუფალთა, მმართველთა) მოთხოვნის დაფარვა, რა თქმა უნდა, თავიდან ფულადი ფორმით კი არ ხორციელდებოდა, არამედ ნატურით; ბეგარის მნიშვნელოვანწილად ასეთი სახით გადახდა დიდხანს გაგრძელდა ფულის წარ-

მოშობის შემდეგაც მონათმფლობელური და ფეოდალური სოციალურ - ეკონომიკური წესრიგის (საზოგადოებრივ - ეკონომიკური ფორმა(ციის) პირობებშიც, რომლებსაც (ფორმა(ციებს) მთლიანობაში მეურნეობრიობის ნატურალური ფორმა ახასიათებდა¹. მაგრამ მთავარი გადასახადის ფორმაში კი არ იყო, არამედ მის არსში. არსით კი ეს იყო საკუთრების (სიკეთის, დოვლათის) იძულებითი გადანაწილება ქვეყნის (მოსახლეობის) საერთო-საზოგადოებრივი მოთხოვნილებების და ხელისუფალთა პატივმოყვარული მისწრაფებების დასაყუჩებლად. ხელისუფლების ამ მოჭარბებულ დიქტოლვის დაკმაყოფილება და რეალურად გარდაუვალი გადასახადის მოცულობა მძიმე ტვირთად აწვებოდა დაბალი მწარმოებლურობის მქონე ისედაც, როგორც წესი, ღარიბად მცხოვრებ მოსახლეობას (ბეგარის გადამხდელებს), თანაც ეს უღელი არათანაბრად ნაწილდებოდა როგორც საზოგადოების ჯგუფებს შორის, ისე ქვეყნის რეგიონებში. გადასახადების მრავალსახეობას და მათ სიმძიმეში მნიშვნელოვან განსხვავებულობას განსაკუთრებით ფართო მასშტაბი ჰქონდა ცენტრალიზებული სახელმწიფოების ჩამოყალიბებამდე და ეს დაკავშირებული იყო იმასთან, რომ ქვეშევრდომთა დაბეგვრა ძირითადად შემამულებების (ფეოდალების) პრეროგატივა იყო: ყოველი მთავარი ამას თავისუბურად აკეთებდა, რაც განუკითხაობისა და თვით-

¹ საინტერესოა აღინიშნოს, რომ ნატურალური გადასახადი დღესაც გვხვდება. თუმცა ეკონომიკური ურთიერთობების ფულადი ხასიათი დიდი ხანია საყოველთაო გახდა. ასე მაგალითად, მექსიკის კანონმდებლობის შესაბამისად, ადამიანებმა, რომლებიც საქმიანობას გამოყენებით ხელოვნებაში ეწევიან, შეიძლება გადაიხადონ ბეგარა საკუთარი შემოქმედების ნაყოფით - ვთქვათ, ნახატით (Газ. "Мегаполис-экспресс, 25.07.01).

ნებობის საყოველთაო გავრცელებას უწყობდა ხელს და კიდევ უფრო ამძიმებდა ბეგარისებურ ტვირთს.

ისტორიულად მრავალი სახის და სახელწოდების გადასახადია ცნობილი საქართველოშიც: ღალა (<არაბ. მიწის გადასახადი), ხარაჯა (<არაბ. ხარკი, გადასახადი), კულუხი (ღვინის საბატონო გადასახადი), ნააღაფევი (იგივე ნადავლი - ქვეყნის გარედან ომის შედეგად მიღებული ხარკი), სანიჭარი (გადასახადი ღვინისათვის), საბანჯარი და საბაღახო (საძოვრების გამოყენებისათვის), მახტი, საკომლო (წლიური ფულადი გადასახადი კომლზე), ყალანი (იგივე ბეგარა), კოდის პური (ხორბლით გადასახადი), მალი (<არაბ. - მონღოლების მიერ შემოღებული გადასახადი მიწაზე, შემდეგ კომლზე, შემდეგ სულობრივი), სამასპინძლო (ბატონის გამასპინძლების), საქვრივო (ბატონისთვის გადასახადი ქვრივის გათხოვებისას) და სხვ. შინაარსობრივად ისინი მოღიანობაში მეტად რთული და სპეციფიკურია, მაგრამ, საერთო თეორიული თვალსაზრისით, ყველას მაინც რაღაც საერთო ნიშანი გააჩნია. ამ გადასახადების დაწესებას, რა თქმა უნდა, ხელისუფლების (მეფე, ბატონი, დამპყრობელი) მიერ თავის სასარგებლოდ (შესანახად) შემოსავლის მიღება ედო საფუძვლად, ანუ, დღევანდელი კატეგორიებით თუ ვიმსჯელებთ, მათ უპირველესად ფისკალური ხასიათი ჰქონდა. მათში დიდია მმართველთა მიერ, მათი გაბატონებული მდგომარეობიდან გამომდინარე, დოვლათის უნაცვალებო მითვისების კუთრი წონა. ამავდროულად ეს იყო (ამის ნაწილი) ამ მმართველთა მიერ საზოგადოებრივი საქმიანობის კარგად თუ ცუდად წარმართვისათვის საფასური, ე.ი. აუცილებელი.

მაშასადამე, როგორც აღვნიშნეთ, გადასახადის დაწესება - ამოღების (საუბარია რეგულარულ სავალდებულო ბეგარაზე) სახელისუფლო საქმიანობის მთავარი მუხტი (მოტივა(ცია) იყო ხელისუფლების სურვილი, რათა სა'სოგადოებაში შექმნილი დოვლათის რაც შეიძლება მეტი მოცულობა გადაენაწილებინა თავის სასარგებლოდ.

მაგრამ ერთია, როგორც ითქვა, მმართველთა წადილი და მეორეა მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობები. რაკი ბეგარა სა'სოგადოების წევრების ხელთ არსებული სიკეთის (საკუთრების, შრომის ნაყოფის) და მათი შესაძლებლობების (თვით შრომა) გადანაწილებაა, ესენი ყოველთვის შესდუდულია. გარდა ამისა, ეს გადანაწილება ასალი დოვლათის შექმნის (ე.ი. შემდგომში ბეგარის ამოღების) შესაძლებლობებს ამცირებს. ძველისძველი წარმოშობისაა გამოთქმა, რომ „რაც იბეგრება, ის მცირდება“. ამიტომ გადასახადის მოცულობის სწორი განსაზღვრის საკითხი, ნებისთ თუ უნებლიეთ, ყოველთვის იყო ხელისუფლების (ბეგარის დამწესებელ - ამკრების¹) განსჯა - გააზრების საგანი. ყველაზე დესპოტური ხელისუფალნიც კი იძულებული იყვნენ თვალი გაესწორებინათ რეალობისათვის, შეეზღუდათ (მოეთოკათ) ბეგარის საშუალებით მეტი შემოსავლის მიღების საკუთარი ამბიციები. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ობიექტურად (მოღიანობაში) წინდახედული სახ-

¹ როგორც აღრეც მიგვინიშნავს (სტატია ფსკი-ის სამეცნიერო შრომების კრებულში „გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში“, ტ.2. - თბილისი, 1948), ბეგარის ამოღების აღსანიშნავად უფრო მართლზომიერია „აკრების“ (და არა აკრეფის) ხმარება („მოსაკრებელი“). დაცკენილის ნებაყოფლობით „აკრეფისაგან“ განსხვავებით, „აკრება“ ბეგარის დაძალებით ამოღებაა.

ელისუფლო მმართველობა ყოველთვის (ვდილობ-
და შეემსუბუქებინა გადამხდელთათვის ბეგარის
სიმძიმე და, საზოგადოების სხვადასხვა ნაწილისად-
მი თავისი დამოკიდებულებიდან (სიმპატია - ანტი-
პატიიდან) გამომდინარე, მეტ-ნაკლებად სამართლი-
ანად¹ გაენაწილებინა თავისი შენახვის ტვირთი. რა
თქმა უნდა, ხელისუფალთა ასეთ განწყობას უპირვე-
ლესად საკუთარი მდგომარეობის (ძალაუფლების)
შენარჩუნების სურვილი განამტკიცებდა: მეტისმეტად
მძიმე გადასახადებს არაერთხელ გამოუწვევია სა-
ზოგადოების აშლილობა თუ პირდაპირი ბუნტი -
ამბოხება. შემოთქმულში რომ სწორად გავერკვეთ
(რომ არ გავაზვიადოთ ხელისუფალთა ასეთი, თუ
შეიძლება ითქვას, „პროგრესული“ განწყობა), აქვე
დავუმატებთ, რომ, სანამ სახელმწიფოებრიობის და
სახელმწიფო ფინანსების კვალობაზე სახელმწიფო
ხაზინა არ გამოეყო (არ გაემიჯნა) ხელმწიფის (მე-
ფის) ხაზინას, მთლიანობაში საგადასახადო საქმე-
ში მაინც განუკითხაობა (თვითნებობა, განუსჯელო-
ბა) და უკანონობა (უსამართლობა) სუფევდა.

შემოთქმული (ხელისუფლების განწყობა რაც
შეიძლება მეტი გადასახადის ამოღებისკენ) და გა-
დასახადის საერთო მოცულობის, აუცილებელთან
შედარებით, მეტისკენ მისწრაფების ტენდენცია სახ-
ელმწიფო წარმონაქმნების მიერ შედარებით მომ-
ძლავრებული ხასიათის მიღების პერიოდთან არის
დაკავშირებული. თავიდან კი, ისტორიულად, ეს პრო-
ცესი ისე წარმართა, რომ სახელმწიფოებრივი

¹ გარდა იმისა, რომ სამართლიანობის ცნება განსხვავებულად აღიქმება
დღესაც როგორც სხვადასხვა სოციალური ჯგუფების, ადამიანების, ისე
მეცნიერული სკოლების მიერ, ეს მნიშვნელოვანწილად ისტორიული კატ-
ეგორიაა: ზოგი რამ, რაც ათასი წლის წინ სამართლიანობად იყო მიჩ-
ნეული, დღეს სულ სხვა გრძნობებს იწვევს.

წარმონაქმნის საწყის პერიოდში მისი შენახვის ხარჯები მაინც მცირე იყო, რაც თავისთავად განაპირობებდა გადასახადის მოცულობის და ხასიათის საკითხს: ხელისუფლების (და მღვდელმსახურთა) შენახვის ძირითად წყაროს მსხვერპლის შეწირვა ან წარმოებულ ომებში გამარჯვების შემთხვევაში მიღებული სარფა, აგრეთვე ე.წ. ჭიშკრის მოსაკრებელი (ბეგარა ქალაქში შემოსვლისათვის) და სხვა მისთ. შემოსავალი წარმოადგენდა. ეს შეწირულობები თანდათან სავალდებულო (საგადასახადო) ხასიათს ღებულობდა, მაგრამ თუ ომებიდან შემოსავალი იზრდებოდა, გადასახადის მოცულობა მცირდებოდა ან ის საერთოდ უქმდებოდა. მომზენის ცნობით, რომის იმპერიაშიც კი ლ.კ. სულას მმართველობის დროს (138-78 წ.წ. ქრისტესშობამდე) მოქალაქეები საერთოდ არ იხდიდნენ გადასახადს, ხოლო სახელმწიფო შემოსავალს იღებდნენ მიწის იჯარით გაცემისაგან და ფუფუნებაზე უმნიშვნელო ბეგარით¹.

✓ შემოთ უკვე აღინიშნა, რომ ძველად ბევრი სახის გადასახადი გამოიყენებოდა. ამასთან სახელმწიფოს შენახვის ხარჯების დაფარვის წყაროს გამოყარების, აგრეთვე დაბეგვრის რაციონალურობის (სამართლიანობის) განმტკიცების მიზნით მიმდინარეობდა მისი სრულყოფის, ბეგარის სახეების გაერთიანების, გადასახადის წყაროსთან და ბეგარაგადამხდელთა შესაძლებლობებთან უფრო მეტად დაკავშირების პროცესი. ამ მიმართულებით გადასახადის მოცულობის ოპტიმალურობის და საზოგადოების წევრებს შორის მისი სამათლიანი გადანაწილების ძიების მცდელობად უნდა ჩაითვალოს ის გარემოე-

¹ Черник Д.Г., Починок А.П., Морозов В.П. Основы налоговой политики. – М.: "Финансы", ЮНИТИ, 1998, стр. 41.

ბა, რომ გადასახადის ყველასათვის (თითქმის ყველასათვის) სავალდებულო ხასიათის მიცემა ხორციელდებოდა ბეგარისათვის სულობრივი (სულადობრივი) ხასიათის ფართო დამკვიდრებით: საზოგადოების ბეგარაგადამხდელი ნაწილი (მაგისტრატი, პროვინცია და მისთ.) იხდიდა მას, გამომდინარე მოსახლეობის რიცხოვნობიდან. როგორც პროფესორი რ. კაკულია აღნიშნავს, რომის იმპერიაში ქრისტესშობამდე მეორე საუკუნეში დანერგილი იყო მოქალაქეთა სულობრივი ბეგარა ტრიბუტი¹. წინეთში და ბაბილონში კი სულობრივი გადასახადი გეხვდება ჯერ კიდევ ქრისტესშობამდე 1200 წლის წინ. სამხედრო შესაძლებლობების გაძლიერების ამოცანასთან ერთად, გადასახადის აკრების გაფართოების მიზნების და მისი სიმძიმის განაწილებაში ოპტიმალურობის მიღწევას ემსახურებოდა მოსახლეობის (ასევე მისი ქონებრივი მდგომარეობის) აღწერები სხვადასხვა ფორმით, რომლებსაც შორეულ წარსულშიც კი ჰქონდა ადგილი. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნორმალური (დადგენილი) წესებისა და სახელმწიფო საგადასახადო სამსახურების არარსებობის პირობებში (ეს კი ასე გაგრძელდა დაახლოებით XVI საუკუნამდე) სახელმწიფო გადასახადის ამოღება-აკრება ხდებოდა ძირითადად ამ უფლებების შესყიდვის წესით² და ხშირად ამ შუამავალ – „შემსყიდველების“ მიერ ბოროტმოქმედებას და წამგლეჯაობას უწყობდა ხელს.

¹ კაკულია რ. ფინანსების ზოგადი თეორია. – თბილისი: ესპსკი და ქუთაისის აკ. წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1998, გვ.161.

² XVI-XVII საუკუნეებში გავრცელებული იყო ბეგარის ამოღების უფლების აუქციონის წესით გაყიდვა.

სულთბრივი გადასახადის გაერცვლების კვალობაზე დაბეგვრის ოპტიმალურობის (რაციონალურობა-სამართლიანობის) გაფართოების ტენდენციის განმტკიცებას რომ ვუსვამთ ხაზს. ერთ რამესაც უნდა მიექცეს ყურადღება. სწორია, რომ სულზე, კაცზე ერთნაირი გადასახადი უფრო სამართლიანია, ვიდრე, ვთქვათ, ბეგარის დაწესება მთლიანად მუნიციპალიტეტზე და მერე მისი ამოღება მოსახლეობიდან გადასახადის ამკრების შეხედულებისამებრ. მაგრამ, რომ იტყვიან, „კაციც არის და კაციც“ (სულიც არის და სულიც). ამიტომ სულთბრივ ბეგარას თანდათანობით ენაცვლებოდა გადასახადის შემოსავალთან დაკავშირება. რამის იმპერიის კოლონიებში ქრისტესშობამდე IV – III ს.ს. შემოღებული კომუნალური (ადგილობრივი) გადასახადები უკვე დაკავშირებული იყო მოქალაქეთა შემოსავალთან. თავიდან ეს იყო თითქმის ყველასათვის ერთნაირი – ერთი მეოცედი (უფრო იშვიათად) ან ერთი მეათედი (დესეტიანა). ამასთან ქონებრივი მდგომარეობის შეფასება ხდებოდა ხუთ წელიწადში ერთხელ.

კაპიტალიზმამდე არსებული გადასახადების ნაირსახეობებში ყველაზე რთულად და საინტერესოდ გვესახება ე.წ. შრომამიგებითი ბეგარა, როდესაც გლეხი მის სარგებლობაში არსებული მიწის დამუშავებაზე ადრე ფეოდალის მიწას ამუშავებდა¹. შრომამიგებითი ბეგარა, გადასახადის არსის დღევანდელი გაგებიდან გამომდინარე (ამის თაობა-

¹ სინამდვილეში გლეხს მიწა საერთოდ არ ჰქონდა საკუთრებაში. მთელი მამულის მესაკუთრე – განმკარგველი ფეოდალი (მემამულე) იყო. მაგრამ ის (მიწა) მაინც ორ ნაწილად იყო გაყოფილი. ფაქტობრივად ასეთივე ბეგარა იყო საქართველოში და ბევრ სხვა ქვეყანაში გაერცვლებული პატრონის ხლება, ლაშქრობით სამსახური და სხვ.

ზე დაწვრილებითი საუბარი წინა გვაქვს). შეიძლება სამ ნაწილად გავეყოთ და შემდეგნაირად დავახასიათოთ:

- ერთი მხრივ, ეს არის, ანუ ეს იყო (რა თქმა უნდა, ძალიან მიახლოებით, თეორიულად, ვინაიდან აქ საქმე არა გვაქვს თავისუფალ ყიდვა-გაყიდვასთან, საუბარია პიროვნულად დამორჩილებული გლეხისა და მისი მეპატრონის ურთიერთობებზე) მიწის როგორც წარმოების ფაქტორის მიერ შექმნილი დოვლათი - სიკეთე, რომელიც ამ ფაქტორის მესაკუთრეს (ფეოდალს) ეკუთვნის. ე.ი. ეს სინამდვილეში რენტაა;

- მეორე მხრივ, ეს არის ბეგარა - გადასახადი, რომელიც ქვეყნის (მამულის) საზოგადოებრივი მოწყობის ორგანიზაციისთვის უნდა იქნეს აკრებილი და რომელსაც იხდის მისი მოქალაქე. მოგვწონს თუ არ მოგვწონს ჩვენ დღევანდელი პოზიციიდან მონათმფლობელური ან ფეოდალური საზოგადოებრივ - ეკონომიკური წესრიგი (წესი), ის ობიექტური რეალობა იყო, საზოგადოების არსებობა - ფუნქციონირების ნორმას წარმოადგენდა და მის გატარება - განხორციელებას მატერიალური (ფინანსური) სახსრები სჭირდებოდა; ეს კი საზოგადოებას უნდა გაეღო. მაშასადამე, ეს გაღებული თანხა ამ საზოგადოებრივი წესრიგის გამტარებლების საქმიანობის საფასურს (ანაზღაურებას) წარმოადგენდა;

- საკითხში რომ უკეთ გავერკვეთ (მესამე), ზემოთქმულს შემდეგი მოსაზრება უნდა დავუმატოთ. საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაში, დღევანდელი თავისუფალი საბაზრო ურთიერთობებისაგან და დემოკრატიული მართვისაგან განსხვავებით (თუმცა აქაც არის პრობლემები), ადგილი აქვს პრინციპულად (თვისებრივად) განსხვავებულ ურთიერ-

თობებს – საზოგადოების ერთი ნაწილის (გაბატონებულ კლასები) მიერ თავისი პოლიტიკურ – ადმინისტრაციული მდგომარეობის გამოყენებით მეორე ნაწილის (ყმა გლეხები) ექსპლუატაციას, ე.ი. ამ მეორის მიერ შექმნილის ნაწილის ბატონის (ან სხვა მმართველის) მიერ უნაკვალავებოდ წართმევას.

თავისებური (ნატურალური) გადასახადია ჯარში სავალდებულო სამსახურიც, რომელიც, ძველ დროში კი არა, დღესაც არის ბევრ ქვეყანაში, მ.წ. საქართველოშიც. თანაც ეს ბეგარა, სხვა გადასახადებთან შედარებით, კიდევ უფრო უსამართლოა. საქმე ისაა, რომ ამ გადასახადს, რომლის გამოყენების წყალობით ეწეობა მთელი საზოგადოებისათვის საჭირო მომსახურება (ქვეყნის უშიშროების დაცვა და სხვ.), ამ საზოგადოების მხოლოდ ერთი ნაწილი იხდის – ისინი, ვინც ჯარში მსახურობს¹.

ხელისუფლებისაგან განსხვავებით, რომელიც ბეგარის დაწესებისა და საგადასახადო სისტემის დამუშავებისას პირველ რიგში მეტი ბეგარის ამოღების მოტივაციას ეყრდნობოდა, რაც გადასახადის ოპტიმალურთან (მინიმალურ – აუცილებელთან) შედარებით, მეტი მოცულობის ჩამოყალიბების ტენდენციას განაპირობებდა, გადასახადის მექანიკური კვლევები თავიდანვე მიმართული იყო ბეგარის

¹ ამასთან დაკავშირებით რა დასაძინია (თუ მეტი არა), რომ ამ რამდენიმე წლის წინ საქართველოში ფაქტობრივად ყოველგვარი სერიოზული განხილვის გარეშე უკუგდებულ იქნა ერთ-ერთი პროფესიონალი სამხედრო პირის მოსაზრება, რომ შემოღებულ იყო ჯარში გაწვევისაგან განთავისუფლების მსურველთათვის საფასურის გადახდევინება. ამ საქმეში დაბეგარის ზემოაღნიშნული უსამართლობის გარკვეულწილად მოსწორებასთან ერთად, ჩვენი აზრით, ასეთი ნორმის დაწესება სერიოზული დარტყმა იქნებოდა შესაბამის სამსახურებში გაბატონებული მექრთამეობის წინააღმდეგ.

არსში ნაწველობისაკენ და, აქედან გამომდინარე, მისი მოცულობის ოპტიმალურობის ძიებისაკენ. ცნობილი თეოლოგისა და მეცნიერის **თომა აქვინელის** (1225 ან 1226 – 1274 წ.წ.) აზრით, გადასახადი არის „*ძარცვის ნებადართული ფორმა*“, გადასახადები პირველ რიგში მთავრებმა და თავადებმა (ე.ი. მდიდრებმა) უნდა გადაიხადონ, მაგრამ თუ სახსრები (შემოსავალი) საკმარისი არ იქნება საერთო საქმიანათვის (მ.შ. ქვეყნის თავდაცვისათვის), მაშინ სამართლიანი იქნება ქვეშევრდომებმა ანაზღაურონ ის, რითაც ხდება მათი კეთილდღეობის უზრუნველყოფა¹. არაბული აღმოსავლეთის მოაზროვნე **იბნ ხალდუნი** (1332 – 1406 წ.წ.) მიიჩნევდა, რომ, რაც უფრო დაბალი გადასახადები დაწესდება საზოგადოებაში, მით უფრო რეალური იქნება ნებისმიერი ქალაქის და საზოგადოების აყვავება.

ბევრი საინტერესო და დღესაც ყურადსაღები მოსაზრება აქვს გამოთქმული გადასახადის არსის, მნიშვნელობის და მოცულობის ოპტიმალურობის საკითხებზე ინგლისელ ეკონომისტს, კლასიკური პოლიტიკონომიის ერთ-ერთ ფუძემდებელს **უილიამ პეტის** (1623 – 1687 წ.წ.). პეტი მიიჩნევდა, რომ მოსახლეობას არ სურს გადაიხადოს ბევარი და ამის მიზეზი არის „*რწმენა, რომ ვაჭიანურებით და წინააღმდეგობის გაწევით შეიძლება საერთოდ თავის დადწევა მისი გაღებისაგან*“, აგრეთვე „*ეჭვი, რომ დაბეგვრის დონე ძალზე მაღალია და უთანასწოროდ ნაწილდება*“... ეს ყველაფერი კი იწვევს ზედმეტ ხარჯებს მათი ამოღების უზრუნველსაყოფად². მისი

¹ Все начиналось с десятины: этот многоликий налоговый мир. – М.: Прогресс – Универс, 1992, стр. 161, 167

² Петти В. Трактат о налогах и сборах. – Петти В., Смит А., и др. Классика экономической мысли: Сочинения. – М.: ЭКСМО – Пресс, 2000. стр. 10.

აზრით, გადასახადებით აკრებილი სახსრები ხელისუფლებამ გონივრულად და ეკონომიურად უნდა გამოიყენოს, შეამციროს ხარჯები და მოხელეები, რომელთა საქმიანობა აუცილებლობას არ წარმოადგენს, ვინაიდან ადამიანებს ალაშფოთებს აზრი, რომ ბეგართან ამოღებული ფული გაიხარჯება გართობაზე, საუცხოო სანახაობებზე, ტრიუმფალურ თაღებზე და სხვ¹. უპირველესი საკითხი, რომელიც უნდა იქნეს განხილული გადასახადთან დაკავშირებით, არის „*არა ცალკეული ადამიანების, არამედ მთელი მოსახლეობისთვის მეტისმეტად მაღალი ბეგარის შედეგისა და რეზულტატის საკითხი*“². გადასახადის მოცულობა, მისი თქმით, ადამიანების შესაძლებლობებს უნდა დაუკავშირდეს, „ადამიანებმა სახელმწიფო ხარჯების დაფარვაში უნდა მიიღონ მონაწილეობა მხოლოდ სასოგადოებრივ სიმშვიდეში მათი წილისა და დაინტერესების შესაბამისად“³.

მიუხედავად ბეგარის თაობაზე მანამდე არსებული სერიოზული მოსაზრებებისა, დაბეგვრის თეორიის, ასევე მთლიანად სახელმწიფო ფინანსების მოძღვრების (ისევე როგორც პოლიტიკური ეკონომიის – ეკონომიკური თეორიის) შექმნას **ადამ სმითის** (1723 – 1790 წ.წ.) სახელს უკავშირებენ. მისი ძირითადი ნაშრომის „გამოკვლევები ხალხთა სიმდიდრის ბუნებასა და მიზეზებზე“ (1776 წ.), რომელიც ხუთი ნაწილისაგან შედგება, მეხუთე ნაწილი მთლიანად დათმობილი აქვს სახელმწიფო ფინანსებს (განსაკუთრებით გადასახადის პრობლემებს). ბეგარის არსებობის აუცილებლობას ის სახელმწიფოს შემდეგ სამ ფუნქციას უკავშირებდა: უშიშროე-

¹ В. Петти, указанное произведение, стр. 20.

² В. Петти, указанное произведение, стр. 23.

³ В. Петти, указанное произведение, стр. 72.

ბის, სამართლიანობის და გარკვეული საზოგადოებრივი სამუშაოების შესრულების უზრუნველყოფა. დღეს ფართოდ აღიარებული დებულება გადასახადის, ფისკალურთან ერთად, სხვა მიზნებისათვის (მ.შ. წარმოების განვითარების ხელშეწყობისათვის) გამოყენების შესაძლებლობაზე, მიუხედავად ეკონომიკის განვითარებაზე ღიბერაღური პოლიტიკის სარგებლიანობის თავისი პრინციპული მიდგომისა, პირველად სწორედ ა. სმითმა გამოთქვა. ამასთან (და ამას გვინდა მივაქციოთ ყურადღება!) ის განსაკუთრებით უსვამდა ხაზს სახელმწიფოში ბუგარის მოცულობის რაციონალურობის და მისი გადამხდელებს შორის თანაბრად (ე.ი. სამართლიანად – მათი შესაძლებლობიდან გამომდინარე) განაწილების აუცილებლობას. სმითი სახელმწიფო ხარჯებს არამწარმოებლურად თვლიდა, შესაბამისად, მისი აზრით, როდესაც გადასახადი გარკვეულ ზღვარს აღწევს, ის უბედურებად იქცევა. სმითი მიუთითებდა, რომ საგადასახადო ტვირთის (უღელის – ტრე) შემცირებით ქვეყანა მეტს მოიგებს, ვიდრე მისი გაზრდით, ამასთან ბუგარის გადამხდელები მეტი სურვილით გაიღებენ ამ ხარჯებს, და ეს გაანთავისუფლებს სახელმწიფოს გადასახადების აკრებასთან დაკავშირებული ხარჯებისაგან.

გადასახადის პრობლემებს, მ.შ. მისი ოპტიმალურობის საკითხს, ვრცლად იხილავდნენ კლასიკური სკოლის სხვა წარმომადგენლებიც. ფრანგი ეკონომისტი **ჟ. ბ. სეი** (1767 – 1832 წ.წ.) თვლიდა, რომ ყველაზე კარგი სახელმწიფო საფინანსო გეგმა („ოქროს წესი“) ისაა, რომელიც ყველაზე ნაკლებ ხარჯებს ითვალისწინებს.

დ. რიკარდო (1772 – 1823 წ.წ.) იზიარებდა ა. სმითის მოსაზრებას სახელმწიფო ხარჯების არამ-

წარმოებლურ ხასიათზე და თვლიდა, რომ გადასახადი მოქმედებს კაპიტალზე და შემოსავალზე, თანაც, მწარმოებლურობის თვალსაზრისით, ორივე შემთხვევაში უარყოფითად: როდესაც ის კაპიტალისგან ამოიღება, მცირდება მწარმოებლური შრომის შენახვის ფონდი, ხოლო როდესაც მას შემოსავლიდან აკრებენ, კლებულობს კაპიტალის დაგროვება, ე.ი. ორივე შემთხვევაში მცირდება სახელმწიფოს მწარმოებლური შესაძლებლობები. რიკარდო მიუთითებდა გადასახადების განსაკუთრებით უარყოფით ხასიათზე მათი პირველი მოხმარების საქონელზე დაწესებისას, ვინაიდან ასეთი ბეგარის არსებობის პირობებში (ისევე მისი აზრით) პირველ რიგში დაბალშემოსავლიანი მოსახლეობა ზარალდება. აქედან გამომდინარე, დ. რიკარდო გადასახადებს მთლიანად „დიდ უბედურებას“ უწოდებდა და წინააღმდეგი იყო მათი, ფისკალურის გარდა, სხვა მიზნებისათვის გამოყენებისა.

ინგლისელმა ეკონომისტმა და ფილოსოფოსმა **ჯ. სტ. მილმა** (1806 – 1873 წ.წ.), რომლის მოძღვრებაში საერთოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ეროვნული შემოსავლის განაწილების პრობლემას, პირველად წამოაყენა იდეა საშემოსავლო გადასახადის არსებობისას დაუბეგრავი მინიმუმის შემოღების აუცილებლობაზე, რომელიც (მინიმუმი), მისი აზრით, ტოლი უნდა იყოს ადამიანის არსებობისათვის საჭირო შემოსავლისა. სწორედ მილმა დაამუშავა „მომსახურების საგადასახადო თეორია“, რომლის შესაბამისად ყოველმა ადამიანმა უნდა გაიღოს ბეგარა სახელმწიფოს სასარგებლოდ, ე.ი. მან გადასახადის მოცულობა საზოგადოების მიერ სახელმწიფოსაგან მიღებული მომსახურების ოდენობას დაუკავშირა.

რასაკვირველია, კლასიკოსების მოსასრებები გადასახადზე ცვლილებებს განიცდიდა, ვითარდებოდა და სრულყოფილი ხდებოდა ეკონომიკური რეალიების და თვით ახლადწარმოქმნილი ეკონომიკური მეცნიერების განვითარების კვალობაზე¹. ამასთან მათი საერთო მიდგომა საკითხისადმი, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, შეიძლება, ჩვენი აზრით, შემდეგი თეზისებით გადმოვცეთ (რა თქმა უნდა, უპირველესად ა. სმითის (კნობილ პრინციპებზე დაყრდნობით):

- საზოგადოებას თავისი ჩვეულებრივი ფუნქციონირებისათვის (იმისათვის, რომ თვით ადამიანებისაგან დაცული იქნეს მათი ნორმალური თანაცხოვრების ბუნებრივი წესრიგი – კერძო საკუთრება და თავისუფალი კონკურენცია) აუცილებელია სახემლწიფო, რომელიც ამ საქმიანობას იკისრებს (ამ მომსახურებას უსრუნველყოფს). მაშასადამე, გარდუვალია ბეგარა, რომელიც ამ ქვეყნის ყველა მოქალაქემ უნდა გადაიხადოს;

- სახემლწიფოს შენახვა (მ.შ. გადასახადის ამოღების ხარჯები) შესაძლებლად იაფი უნდა იყოს საზოგადოებისათვის, ვინაიდან ბეგარის ამოღება (განსაკუთრებით მისი მოჭარბებულად აკრება) უარყოფითად მოქმედებს საზოგადოების წევრების სამეურნეო საქმიანობაზე, ამცირებს მწარმოებლურობას და აღარიბებს ქვეყანას. ზედმეტი გადასახადი აღიზიანებს (აღაშფოთებს) ადამიანებს და განაწყოებს მათ ბეგარის გადახდისაგან თავის არიდებისაკენ;

¹ როგორც ცნობილია, ეს პროცესი თითქმის ორი საუკუნე გრძელდებოდა: უ. პეტის მთავარი ნაშრომი "ტრაქტატი გადასახადებზე და მოსაკრებლებზე" 1662 წ. გამოვიდა, ხოლო ჯ. სტ. მილის მთავარი ეკონომიკური ნაშრომი "პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები" 1848 წელს.

- გადასახადის მოცულობა უნდა გამომდინარეობდეს ბეგარაგადამხდელის შესაძლებლობიდან და უნდა შეუფარდდეს მის ქონებრივ მდგომარეობას;

- ბეგარის გადამხდელმა წინასწარ უნდა იცოდეს სახელმწიფოს წინაშე თავისი ვალდებულების შესახებ.

საყორადღებო მოსაზრებები აქვს გადასახადის საკითხებზე გამოთქმულ - დამუშავებული გერმანული ახალი ისტორიული სკოლის წარმომადგენელს, კანცლერ ო. ფონ ბისმარკის თანაშემწეს **ადოლფ ვაგნერს** (1835 - 1917 წ.წ.), რომელიც თვლიდა, რომ საგადასახადო პოლიტიკაში, სუფთა ფისკალური მნიშვნელობის გარდა, შეიძლება (სასურველია) ჩაიდოს მნიშვნელოვანი სოციალურ - პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტის მიზნები, რომ გადასახადის გამოყენებით შესაძლოა ეროვნული შემოსავლის განაწილებაზე სასურველი (მიზანმიმართული) ზემოქმედების გატარება. ა. ვაგნერი ქვეყანაში კაპიტალის დაგროვების პრობლემის გადაწყვეტის საკითხს მნიშვნელოვანწილად სახელმწიფო საქმიანობას უკავშირებდა და ამ საქმიანობის შესაბამისად გადასახადის გარკვეულწილად გაზრდის მომხრე იყო. საინტერესოა ვაგნერის მიერ დამუშავებული და შემდეგ ოთხ განყოფილებად დაჯგუფებული დაბეგვრის პრინციპები: 1) საკმარისობა და მოძრაობა (კვალებადობა); 2) სათანადო (მართებულო) წყაროს და ობიექტის შერჩევა; 3) საყოველთაობა და თანასწორობა; 4) გარკვეულობა - მოხერხებულობა - იაფობა.

გადასახადებისა და სახელმწიფო ხარჯების მოცულობის თაობაზე საუბრისას მათი შესაძლო მინიმალური ოდენობის სარგებლიანობის პოზიციაზე იდგნენ ძირითადად მოწინავე რუსი საზოგადო მოღ-

ვაწეები და ეკონომისტები. ეროვნებით ხორვატი და რუსეთში გარკვეულ პერიოდში მოღვაწე **ა. კრიჟანისი** (1618 – 1683 წ.წ.), განასხვავებდა რა სახელმწიფო ხაზინის გამდიდრების საქმეში „სწორ“ და „არასწორ“ საშუალებებს, ამ უკანასნელთ, ფულის გაყალბებისა და სხვა მისთ. ერთად, მიაკუთვნებდა გადაუხდელი ბეგარის „შეებრალეებლად ამოგლეჯას“, რასაც ხალხის (შესაბამისად, მთლიანად სახელმწიფოს) გადარიბება მოჰყვება. XVIII ს. ცნობილი თეორეტიკოსი – ფინანსისტი **ივანე პოსოშკოვი** (1652 – 1726 წ.წ.) ცდილობდა ისეთი სახელმწიფო ღონისძიებები შეემუშაებინა, რომელთა გატარება გაზრდიდა, მისი აზრით, სახელმწიფო შემოსავალს ბეგარაგადამხდელებისაგან მიძიმე გადასახადის (подары) შემცირების პირობებში; ის თვლიდა, რომ აუცილებელია არა მარტო ხაზინის, არამედ მეფის ქვეშევრდომთა შემოსავალზე ზრუნვა, ხაზინაში კი გადასახადი ამოღებული უნდა იქნეს დამუშავებადი მიწისაგან გლეხებისათვის მოსახერხებულ დროს. **ა. ნარიშკინი** 1767 წ. გამოსულ სტატიაში „ეკონომია“ პირდაპირ მიაჩნებდა, რომ, ვისაც მხოლოდ აუცილებელი (საჭირო – „нужное“) გააჩნია, იმან ბეგარა არ უნდა გადაიხადოს. ჩვენთვის მეტად საინტერესოა მოსკოვის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის პროფესორის **ს. დესნიცკის** (1740 – 1789 წ.წ.) მოსაზრება, რომელიც თვლიდა, რომ ქვეყანაში დაბეგვრის დონეს სახელმწიფო ხარჯები განაპირობებს და მთავარია მათი სწორად განსაზღვრა, რომ ბიუჯეტი არ იყოს დეფიციტური და არ გაიზარდოს სახელმწიფოს ხარჯები; ბეგარას კი პროგრესიული ხასიათი უნდა ჰქონდეს და მისი დაწესების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს გადამხდელის ქონებრივი მდგომარეობა.

დიდი მოაზროვნე და განმანათლებელი **ა. რადიშჩევი** (1749 – 1802 წ.წ.) სახელმწიფო საგადასახადო პოლიტიკას ეკონომიკური პოლიტიკის ერთ – ერთ მთავარ პრობლემად თვლიდა და მიიხრეობდა, რომ აუცილებელია გადასახადის მოცულობა მიუსადაგოს ბეგარაგადაძვლების შემოსავალს. მისი აზრით, ხელისუფლება (ხაზინა) თავის თავს ზიანს აყენებს გადასახადის უკიდურესობამდე გადიდებით, ვინაიდან აუტანელი ბეგარა ყოველთვის საზიანოა ქვეყნისთვის.

რუსი სახელმწიფო მოღვაწის **მ. სპურანსკის** (1772 – 1839 წ.წ.) მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ აუცილებელია სახელმწიფო ბიუჯეტს მიეცეს საკანონმდებლო ხასიათი და აღმოიფხვრას მისი დეფიციტი, საფუძვლად სწორედ გადასახადების მინიმუზაციის და ეკონომიკის განვითარებისათვის ხელის შეწყობა ედო საფუძვლად. ბეგარის აკრების გაუმჯობესებისა და ამ საქმეში მეტი სამართლიანობის დაცვის უზრუნველყოფისათვის ის ასევე საჭიროდ თვლიდა, რომ სულობრივი გადასახადი (მისაგებული – пошлина) შეიცვალოს საშემოსავლო გადასახადით და დაიბეგროს ის პირები, ვისაც მსახურები ჰყავთ; ღვინის ვაჭრობის შესყიდვის წესით დაბეგურის მაგიერად, შემოღებული უნდა იქნეს აქციზი.

სამწუხაროდ, ბევრი ვერაფერი შემატა დაბეგურის თეორიას ჩვენს მიერ განსახილავი საკითხის პროზიციიდან საბჭოურმა ეკონომიკურმა მეცნიერებამ. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ გადასახადის ურთულესი პრობლემები რაღაც მეორეხარისხოვან თეორიულ – პრაქტიკულ საკითხთა რიცხვში განიხილებოდა და ამას თავისი „გამამართლებელი“ მიზეზი ჰქონდა: მინუელი იყო, რომ სოციალისტური ხელისუფლება (სახელმწიფო) ხალხის მსახურია,

ხოლო მისი შენახვის ხარჯების მოცულობა ყოველთვის ოპტიმალურია და იმანენტურად მხოლოდ დადებითი, სიკეთის მომტანი შეიძლება იყოს. გარდა ამისა, საყოველთაო სახელმწიფო საკუთრების არსებობის პირობებში გადასახადის ამოღება დიდ სირთულესთან არ იყო დაკავშირებული. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1972 – 1980 წლებში გამოცემულ სოლიდურ, ფართომასშტაბიან ეკონომიკურ ენციკლოპედიაში „პოლიტიკური ეკონომია“ ადამ სმითისადმი მიძღვნილ სტატიაში მისი ეკონომიკური ლიბერალიზმის კონცეფციის განხილვისას (და საერთოდ) არაფერია ნათქვამი სმითის ღვაწლზე გადასახადების თეორიის დამუშავებაში, თუმცა სწორედ სმითია აღიარებული დაბეგვრის თეორიის ფუძემდებლად. დ. რიკარდოსადმი მიძღვნილ სტატიაში, რომლის ძირითად ნაშრომში („პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საწყისები“) ლომის წილი სწორედ გადასახადის პრობლემების თეორიულ – პრაქტიკულ საკითხებს ეკუთვნის, არც კი მოიხსენიება მისი მოსაზრებები ამ საკითხზე. არც ბეგარისადმი მიძღვნილ სპეციალურ სტატიაშია („Налоги“) რაიმე სერიოზული საუბარი გადასახადის თეორიის საკითხზე. მოჰყავთ რა კ. მარქსის პოლიტიკური ნაშრომიდან „მამორალიზებული კრიტიკა და მაკრიტიკებელი მორალი“, სამწუხაროდ, ნაკლებად ცნობილი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „გადასახადებში განხორციელებულია სახელმწიფოს ეკონომიკურად გამოხატული არსებობა“, ავტორები, ამ ღრმაშინაარსიანი დებულების გააზრება – განმარტების ნაცვლად, მთელ ძალისხმევას მარტო

¹ Экономическая Энциклопедия. Политическая экономия. Гл. Ред. А.М. Румянцев. – М.: Советская энциклопедия, т. 3, 1979, стр.20-22.

იმის მტკიცებებს ანდომებენ, რომ კაპიტალისტურ (ანტაგონისტურ) საზოგადოებაში ბეგარა „გამოსატავს გაბატონებული კლასების მიერ მშრომელთა დამატებითი ექსპლუატაციის ურთიერთობებს“ (ე.ი. ის მშრომელთა შემოსავლის უნაცვალგებო მითვისებაა ხელისუფლებისა და გაბატონებული კლასების მიერ); მათი მტკიცებით, კაპიტალიზმის პირობებში გადასახადი მთლიანად არამწარმოებლური ხასიათისაა და მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებაში იკვლება პრინციპულად ბეგარის სოციალური შინაარსი: ის საზოგადოებრივი მოთხოვნებიდან დაკმაყოფილების ხარჯების ანაზღაურების წყარო ხდება, ე.ი. მას დაბრუნებადი ხასიათი აქვს.

ზემოგამართული მსჯელობა, ყფიქრობთ, გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ დღიდან წარმოშობისა დაბეგერის საკითხი ფაქტობრივად მეტად აქტუალური იყო საზოგადოებაში, ხოლო ბეგარის მოცულობის პრობლემის განხილვისას მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები, როგორც წესი, ასაბუთებდნენ და მხარს უჭერდნენ ეკონომიკის ჩორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის, მოსახლეობის (ბეგარაგადამხდელთა) კეთილდღეობის მაღალი დონის მიღწევისათვის გადასახადის ოდენობის შესაძლო მინიმიზაციის მიღწევის სარგებლიანობის თეზას. ამასთან დაკავშირებით გაკვირვებას იწვევს ა. დეიკინის უაპელაციო განცხადება იმის თაობაზე, თითქოს გადასახადის კლასიკურ განმარტებებში, რომლებიც გაკეთებულია სხვადასხვა ეპოქებში, ვერ შეხვდებით სახელმწიფოს ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩარევის მინიმიზაციის (შესაბამისად, დაბალი გადასახადების) სარგე-

ბლიანობის მოსახრებას¹. მით უფრო გაუგებარი ხდება ავტორის ეს პოზიცია, როდესაც მას სტატიაში რამდენიმე გვერდის შემდეგ მოჰყავს (და მხარს უჭერს) ა. სმითის დებულება (სწორი საგადასახადო პოლიტიკის ცნობილი პრინციპები) ბუგარის საჭირო თანხის მინიმუმაციის (ხაზგასმა ჩვენია. -ავტ.) და საგადასახადო სისტემის რაციონალიზაციის თაობაზე².

ბუგარა, როგორც აღინიშნა, სახელმწიფოს ფუნქციონირებასთან, მის საქმიანობასთან არის დაკავშირებული³. მაშასადამე, გასაგებია, რომ სახელმწიფოს (სახელმწიფოებრიობის), მისი შინაარსის, ამოცანების, ფუნქციების, სტრუქტურის, მოცულობის ცვლილებებს, რომლებიც დაკავშირებული იყო თვით არსებული სოციალურ - ეკონომიკური წესრიგის (კაპიტალიზმის) თვისებრივ შეცვლასთან და რაც XIX ს. ბოლოს და XX საუკუნეში მოხდა, უნდა გამოეწვია (და გამოიწვია კიდევაც) ცვლილებები გადასახადის არსში, მნიშვნელობაში, მოცულობაში, მთლიანად საგადასახადო პოლიტიკაში; გამდიდრდა, უფრო სიღრმისეული და სრულყოფილი გახდა დაბეგვრის თეორია. ამის სისტემური გაანალიზება - განხილვა ჩვენს ამოცანაში არ შედის, შემდგომ მსჯელობაში კი შევეხებით და მოვიშველიებთ საჭიროებისამებრ ოპტიმალური საგადასახადო პოლიტიკის დამუშავების მიდგომებს (სოცი-

¹ Дейкин А.И. Американский бюджет: нужды государства и потребности рынка.- Ж. "США: экономика, политика, идеология". 1998. N5, стр. 24.

² Дейкин А.И. Американский бюджет: нужды государства и потребности рынка. стр. 28.

³ გადასახადის არსის საკითხს ჩვენ შემდგომში უფრო ვრცლად განვიხილავთ.

ერთს), - რა თქმა უნდა, გადასახადის მოცულობის, საგადასახადო ტვირთის ოპტიმალურობის პოზიცი-
იდან, - რომლებიც გამომდინარეობს თანამედროვე
სოციალურ (სოციალურად ორიენტირებულ)
ეკონომიკაში სახელმწიფოს შედარებით აქტიური და
ნაკლებად აქტიური (ძლიერ შეკვეცილი) ჩარევის
სარგებლიანობის კონცეფციიდან.

თავი 2. ბაღასახაღის არსი და მნიშვნელობა. საბაღასახაღო წინხი

2.1. ბაღასახაღის რაობის საკითხისათვის: საერთო მიღება

ჩვენ უკვე ვიცით, რომ შრომის დანაწილების წარმოშობისა და მისი მწარმოებლურობის გაზრდის, ამის კვალობაზე კი კერძო საკუთრების (შესაბამისად, სასაქონლო მეურნეობის) წარმოქმნამ, საზოგადოების წევრების ქონებრივმა უთანასწორობამ, საზოგადოების როგორც ერთობლიობის ფუნქციონირების, ადამიანების თანაცხოვრების გართულებამ განაპირობა ჩვეულებრივი საქმიანობისაგან (საკვების მოპოვება, საცხოვრებლის აშენება და სხვ. მისთ.) განსხვავებული სამუშაოების შესრულების აუცილებლობა. ეს არის ერთობლიობის (ჯგუფის, თემის, საზოგადოების) წევრების ნორმალური თანაარსებობის და თანაცხოვრების უზრუნველყოფა, ასეთი თანასაქმიანობის წესების დამუშავება და დაცვა, აგრეთვე სხვა ერთობლიობებთან ურთიერთობის მოგვარება (მათგან თავის დაცვა ან მათი დამარცხება – დამორჩილება). ასეთი საერთო საქმიანობის მოწყობა – მოგვარება ჩვეულებრივ სასაქონლო ურთიერთობებზე დაყრდნობით (საქონლის ინდივიდუალური ყიდვა – მოხმარება) ვერ ხერხდებოდა. ამიტომ საზოგადოება იძულებული გახდა გამოეყო თავისი შემადგენლობიდან პიროვნებათა ჯგუფი, რომელიც იკისრებდა (რომელსაც დაეკისრებოდა) ამ უკვე პრინციპულად, თვისებრივად შეცვლილ პირობებში საზოგადოებ-

ის წევრთა თანაარსებობის პრობლემების რეგულირება – მართვას.

მაგრამ თუ ასეთი ჯგუფის გამოცალკეება თავიდან სპონტანურ და შემთხვევით ხასიათს ატარებდა, ხოლო საერთო მართვის საკითხების გაძღოლა – გადაწყვეტაში მათი სიმარტივისა და სიადვილის გამო შესაძლებელი იყო ამ საქმეში საზოგადოების სხვა წევრების უმტკივნეულო მონაცვლეობა, დროთა განმავლობაში საზოგადოებების შინა და გარე პრობლემების მნიშვნელოვანმა გართულება – გამწვავებამ საერთო მართვისათვის გამოყოფილი ადამიანების ამ საქმიანობაში დახელოვნება (დასპეციალიზება) განაპირობა. შრომის დანაწილების და სასაქონლო მეურნეობის პირობებში კი სპეციალობა (პროფესია) ადამიანის ძირითადი საქმიანობაა და მისი არსებობის წყაროს წარმოადგენს. მაშასადამე, საზოგადოებისათვის საჭირო და სასარგებლო საქმიანობაზე (საზოგადოების მომსახურებაზე) დასპეციალიზებულ ადამიანებს, სახელმწიფო¹ მართვით დაკავებულ პირებს ეს საქმიანობა უნდა აუნაზღაურდეთ. ანაზღაურება სჭირდება აგრეთვე სახელმწიფო საქმიანობის შესრულებისათვის აუცილებელმა ტერიტორიულ დანახარჯებს. ამ მომსახურების საფასური კი შეიძლება მიხლოდ მისმა, ასე ვთქვათ, დამკვეთმა, ე.ი. თვით საზოგადოებამ, გაიღოს და ასეც დამკვიდრდა პრაქტიკულად – დღიდან წარმოშობისა სახელმწიფო წარმონაქმნებს, რა ფორმის არ უნდა ყოფილიყო ისინი, თავად საზოგადოება ინახავდა.

¹ ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ დღევანდელი გაგებით სახელმწიფო გაცილებით უფრო გვიან ჩამოყალიბდა, მაგრამ ასეთი საერთო საქმის წარმართვის აღსანიშნავად აღვნიშნული პერიოდისთვისაც ამ, კატეგორიის ხმარება მართლზომიერი უნდა იყოს.

მაშასადამე, სახელმწიფო მომსახურება აუცილებელია, შესაბამისად, გარდაუვალია მისი საფასურის დაფარვაც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, მიუხედავად სახელმწიფო მომსახურების ანაზღაურების თვისებრივი განსხვავებულობისა (რაზედაც ქვემოთ გვექნება მსჯელობა), ეს ფაქტობრივად (შინაარსობრივად) საქონელ – მომსახურების ყიდვა-გაყიდვაა, ობიექტურ სასაქონლო ურთიერთობებს წარმოადგენს იმ თვალსაზრისით, რომ როგორც ჩვეულებრივი საქონელი იწარმოება მხოლოდ მისი მოსალოდნელი რეალიზაციისა და ანაზღაურების მოლოდინში, როგორც მხოლოდ შესაბამისი საფასურის გადახდის კვალობაზე შეიძლება დაეუფლოს (და მოიხმაროს) მყიდველი ამა თუ იმ საქონელს, ასევე სახელმწიფო მომსახურების შექმნის აუცილებელი პირობაა მისი ანაზღაურება.

გამოდის, რომ ნებისმიერ საზოგადოებაში მისი ნორმალური ფუნქციონირებისათვის ბეგარის გაღება აუცილებელია¹. სახელმწიფო მომსახურება საზოგადოებრივი სიკეთეა, ის სჭირდება როგორც მთლიანად საზოგადოებას, ისე მის ყოველ წევრს. მაშასადამე, ეს ხარჯები ყველამ უნდა გაიღოს, ყველამ უნდა აანაზღაუროს. ამასთან საზოგადოების ყველა წევრი ხედავს და დარწმუნებულია, რომ ამ მომსახურებას (საქონელს, სიკეთეს) ის მისი ანაზღაურების გარეშეც მიიღებს და ბეგარის გადახდას პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს მიღებულ სიკეთის არც მოცულობისათვის და არც მოხმარებისათვის. ასე მაგალითად, სამხედრო ძალებ-

¹ როგორც ბენჟამინ ფრანკლინი (აშშ-ის თავისუფლების დეკლარაციის ერთ – ერთი ავტორი) აღნიშნავდა, ცხოვრებაში არაფერია გარდაუვალი, გარდა სიკვდილისა და გადასახადისა.

ის მიერ ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის მომსახურებით ერთნაირად სარგებლობს როგორც ბეგარის პატიოსანი გადამხდელი, ისე ურჩი არგადამხდელი. ეს კი იწვევს ადამიანებში კოლექტიური მოხმარების საქონლის შექმნა – მიწოდებისთვის თავისი წვლილის შეტანის არნდომას, ამ ხარჯების გაღებისაგან თავის არიდების სურვილს, რასაც „კურდღლის პრობლემას“ უწოდებენ და რაც ბეგარის ამოღების საქმეში მკაცრი ზომების (დაძალების) გატარების აუცილებლობას განაპირობებს და წართმევით ხასიათს ამკვიდრებს.

‘რა თქმა უნდა, გადასახადის გარდა, სახელმწიფოს თავისი ფუნქციონირების უსრუნველყოფის სხვა ფინანსური (საკუთარი და ნასესხები) წყაროებიც გააჩნია. ესენია ფულის ემისიისაგან და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების შედეგად მიღებული შემოსავალი, აგრეთვე სახელმწიფო საკუთრების საწარმოების მოგება. მაგრამ ეს სახსრები სრულებით და არასდროს არ არის საკმარისი იმ მოცულობის საზოგადოებრივი სიკეთის შესაქმნელად, რომელიც რეალურად სჭირდება ქვეყანას, მის მოსახლეობას.

ფასეულობის (ღირებულების) შექმნის თავისი ზემოაღნიშნული საქმიანობით სახელმწიფო ფაქტობრივად ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტია, ეროვნული შემოსავლის მწარმოებელია. სახელმწიფოს, როგორც საზოგადოებრივი საქონელ – მომსახურების მწარმოებელს, პროფესორი ვ. პაპავა საბაზრო ეკონომიკის იმანენტურ შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს და მის ეკონომიკურ უნარს წარმოების მეხუთე ფაქტორად აღიარებს, არაპირდაპირ გადასახადს კი – სახელმწიფო მოგებად (მეწარმო-

ბრივი მოგების ანალოგიურად)¹. მოსაზრებას, რომ სახელმწიფო, როგორც საზოგადოებრივი მოხმარების საქონლის შემქმნელი, წარმოების ფაქტორია, ფართოდ აქვს ამჟამად მოკიდებული ფეხი თეორიაში, მისი აღიარებაა სტატისტიკაში (ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში) სახელმწიფო მომსახურების როგორც ეშპ – ის წარმოების აღრიცხვა.

სახელმწიფოს საქმიანობა საზოგადოებრივი საქონლის (მომსახურების) შესაქმნელად, შესაბამისად, მისი ანაზღაურება თავიდან დაახლოებით უმნიშვნელო აუცილებელი მოცულობის ფარგლებში იყო, ე.ი. აქ მეტ – ნაკლები სიზუსტით შეიძლება ბეგარის ოპტიმალურ მოცულობაზე საუბარი. ამიტომ იყო, ალბათ (სხვა მიზეზებთან ერთად), რომ, როგორც აღინიშნა, ბეგარას თავიდან მნიშვნელოვანწილად შეწირულობის და ნება-ყოფლობითობის ხასიათი ჰქონდა. მაგრამ მდგომარეობა ასე დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა, ბეგარას სავალდებულო და საყოველთაო ხასიათი უნდა მიეღო და მიიღო კიდევაც. ეს დაკავშირებულია, ჯერ ერთი, სახელმწიფო მომსახურების (სახელმწიფო ხარჯების) თავისებურებასთან და მის სპეციფიკურ ანაზღაურებასთან (გადასახადის როგორც მომსახურების სპეციფიკურ საფასურთან), აგრეთვე (მეორე) სახელმწიფო მომსახურების გაფართოებასთან.

სახელმწიფო მომსახურების (იგივე კოლექტიური მოხმარების საქონლის) შექმნის სპეციფიკურობა და კერძო საქონლის წარმოებისაგან განსხვავებულობა იმაში მდგომარეობს, რომ მისი შექმნა (მიწოდება) სხვებთან მეტოქეობის (კონკურენციის)

¹ Папава В.Г. Государство, рынок и экономика без налогов (препринт.) – Институт экономики им. П. Гугушвили, 1993, стр. 18, 19, 28.

გარეშე მიმდინარეობს, მის მწარმოებელს (სახელმწიფოს) თავისი ნაწარმის მიყიდველის პოვნა – ძიება კონკურენტებთან ბრძოლაში კი არ უწევს, სახელმწიფო პროდუქტის რეალიზაცია და ანაზღაურება გარანტირებულია და ამის გარანტი – უზრუნველყოფელი თვით ამ საქონლის (მომსახურების) მწარმოებელია. ბეგარის როგორც სახელმწიფო მომსახურების ანაზღაურების სპეციფიკურობა, მისი განსხვავებულობა კერძო საქონელ – მომსახურების ფასისაგან იმაში მდგომარეობს, რომ მეორის შექმნა, როგორც წესი, ინდივიდუალურად ხდება, ხოლო პირველისა – კოლექტიურად; ამის მიუხედავად, ორივე შემთხვევაში საფასურის გადახდა ინდივიდუალურია. ე.ი. კერძო საქონელზე ჩვენ იმდენს ვიხდით და იმდენს შევიძენთ მას, რამდენის მოხმარებაც გვსურს. ამისაგან განსხვავებით, საზოგადოებრივი (სახელმწიფო) სიკეთის მოხმარების მოცულობა დამოკიდებული არ არის მის ანაზღაურებაზე. გამოდის, რომ საზოგადოებრივი სიკეთის მიმართ, კერძოსაგან განსხვავებით, დარღვეულია (არ არსებობს) მოხმარებისა და ანაზღაურების ურთიერთკავშირი. რაკი ეს ბუნებრივი კავშირი და ანაზღაურების მოცულობის კანონზომიერი პრინციპი მოშლილია (უგულუბელ-ყოფილია), ის (მომსახურების ანაზღაურება), როგორც წესი, ნებაყოფლობითი ვერ იქნება, მისი უზრუნველყოფა (ე.ი. აუცილებელი მომსახურების საფასურის გარდაუვალი გადახდა) მხოლოდ დაძალებაზე დაყრდნობით შეიძლება.

რა გამოდის? როგორ გაირკვეს, სწორია (ადეკვატურია) კი დაძალებით დაწესებული ბეგარის მოცულობა სახელმწიფო მომსახურების რეალური ფასეულობისა?

საბაზრო ეკონომიკაში (და საერთოდ სასაქონლო მეურნეობაში) ნებისმიერი საქონელ – მომსახურების მოხმარების დოზირებას, საბაზრო წინასწორობას, მათზე მოთხოვნა – მიწოდების კანონიდან გამომდინარე ფასების ცვლილებები (მათი დონე) და თავისუფალი კონკურენცია განაპირობებს. საზოგადოებრივი (სახელმწიფო) მომსახურების ფასებს კი მოხმარებასთან და კონკურენციასთან კავშირი არა აქვს. ე.ი. ინდივიდის მიერ გადახდილი ბეგარის მოცულობა პრაქტიკულად არასოდეს არ დაემთხვევა მის მიერ მიღებული (მოხმარებული) სახელმწიფო მომსახურების ფასეულობას. უკეთეს შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ მხოლოდ საზოგადოებაში მთლიანად დაწესებული გადასახადების (აუცილებელი გადასახდელების) მოცულობასა და მთლიანად სახელმწიფო რეალური (სწორად შეფასებული) მომსახურების მიახლოებით ადეკვატურობაზე¹. ფაქტობრივად კი სახელმწიფო მომსახურების მოცულობა, გამომდინარე მასზე ფასების (ფულადი შეფასების, იგივე გადასახადების მოცულობის) სპეციფიკურობიდან და ანაზღაურების მოცულობის თვალსაზრისით არაობიექტური ხასიათიდან, გარკვეულწილად ყოველთვის პირობი-

¹ გასაგებია, რომ ადეკვატურობის მიახლოებითობაზე თეორიულ ასპექტში ვსაუბრობთ. თუ არადა ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში რაც გადასახადი ამოიღო ხელისუფლებამ და რაც გამოიყენა (დახარჯა) სახელმწიფო მომსახურებაზე (უბრალოდ რომ ვთქვათ, რაც ხელფასი გადაუხადა ჩინონიკებს, პოლიციელებს და ა.შ.), ეს ერთობლივი შინაგანი პროდუქტია. სახელმწიფოს ქმედობას რეალურზე მეტად შეუძლია წარმოაჩინოს ეშპ-ის წარმოება კერძო სექტორშიც, თუ ხელისუფლებამ სახელმწიფო შესყიდვაზე, საბაზრო ფასთან შედარებით, მეტი გადაიხადა, რაც არც ისე იშვიათია დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი.

თია, მიახლოებითია და, როგორც წესი¹, რეალურად სასარგებლო (აუცილებელ) მოცულობაზე მეტად ფასდება აღრიცხვაში (ე.ი. იმაზე მეტად ჩანს, ვიდრე ეს იქნებოდა თავისუფალი კონკურენციის პირობებში ამ მომსახურების კერძო საწყისებზე მოწყობისას).

ზემოთ ჩვენ მივუთითეთ, რომ, სახელმწიფო მომსახურების სპეციფიკურობისა და მისი ანაზღაურების (ბეგარის) ჩვეულებრივი საქონლის საფასურის გადახდისაგან განსხვავებულობასთან ერთად, დაბეგერის საყოველთაო ხასიათი და სავალდებულობა განაპირობა სახელმწიფო მომსახურების გაზრდა – გაფართოებამ. მართლაცდა, წინაისტორიულ და უფრო გვიანდელ პერიოდთან შედარებით მონათმფლობელური, ფეოდალური და კაპიტალისტური (ამ უკანასკნელისა კი განსაკუთრებით მე-20 საუკუნეში) სახელმწიფოთა საქმიანობა გაცილებით უფრო ფართო, რთული და მრავალფეროვანი იყო. მათში ჩვეულებრივი, სუფთა პოლიტიკურ – ადმინისტრაციული ფუნქციის გაფართოება – გაღრმავებასთან ერთად, სულ უფრო ექცეოდა ბაზრის „ჩაყარდნის“ (ბაზრის „მტყუნების“) სხვადასხვა პრობლემების (მ.შ. ეკონომიკურის, ზნეობრივის, სოციალურის, ეკოლოგიურის) გადაწყვეტაში საზოგადოებისთვის სახელმწიფოს შეწევნა – დახმარების აუცილებლობა (სარგებლიანობა). ერთი მხრივ, საზოგადოების ფუნქციონირება – მოღვაწეობის საერთო გართულებასთან ერთად, ჩნდებოდა საქმიანობის ისეთი მიმართულებები (მ.შ. სუფთა ეკონომიკური), რომელთა საზოგადოებრივ საწყისებზე ორგანიზება (მოგ-

¹ გამონაკლისია. მაგალითად, განათლების სახელმწიფო საწყისებზე მოწყობის შეფასება.

ვარება) ხშირად უფრო ეფექტიანი იყო. ესაა, ვთქვათ, სოციალური ურთიერთობების გამწვავება, საგარეო სახელმწიფო ინტერესების გაღვივება, ახალი ტერიტორიების (მ.შ. მთელი კონტინენტების) აღმოჩენა – დაპყრობა (კოლონიზება) – ათვისება, გამწვავებულ – გართულებულ – გლობალიზებული სამხედრო კონფლიქტები და ქვეყნის თავდაცვის მნიშვნელოვნად გაძვირება, ადამიანების და ცხოველების გადამღები დაავადებებისაგან დაცვა, ეკონომიკის განვითარებაში მონოპოლიური ტენდენციისადმი შეწინააღმდეგება (თავისუფალი კონკურენციის დაცვა), საბაზრო ეკონომიკის თანმდევით სოციალური უთანასწორობის გაღრმავების მოსწორების აუცილებლობა, ფუნდამენტური მეცნიერების განვითარებისათვის ხელშეწყობის აუცილებლობა, ადამიანების საერთო განათლებულობის და ჯანმრთელობის იმაზე მაღალი დონის მიღწევის აუცილებლობა – სარგებლიანობა, ვიდრე ეს ხერხდება მთლიანად კერძო საწყისებზე მოწყობით. როგორც რუსი მეცნიერი ეკონომისტი **ა. თხეროვი** (XX ს. დასაწყისი) მიუთითებდა, საზოგადოების განვითარება ისტორიულად ისე წარიმართა, რომ ადამიანების მოთხოვნილებების ერთი ნაწილის დაკმაყოფილება ხდება მათივე ინდივიდუალური (ერთპიროვნული) ძალისხმევით, სხვა მოთხოვნილებებისა – სხვა ადამიანებთან (პიროვნებებთან) ერთად, რისთვისაც ისტორიამ გამოიმუშავა ადამიანთა კავშირები (სახელმწიფო, თემი და ა.შ.). ამჟამად ინდივიდუალური ხასიათის ბევრი მოთხოვნილება გადადის კოლექტიურად დაკმაყოფილების მოთხოვნათა ჯგუფში. კოლექტიური მოთხოვნილებები დღესდღეობით უზარმაზარ სახსრებს საჭიროებს¹.

¹ Общая теория финансов. Л.А. Дробизина, Ю.Н. Константинова, Л.П.

სახელმწიფო საქმიანობის ასე კარდინალურად გაზრდას დაფარვის შესაბამისი წყარო (ბეგარის გაზრდა) სჭირდებოდა, რომლის შეწირულობებით და ნებაყოფლობით უზრუნველყოფა, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო.

ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა, რომელიც დაგვანახებს, რომ ზემოჩამოთვლილი საქმიანობის სახეების (საქონელ – მომსახურების წარმოების) სახელმწიფო საწყისებზე მოწყობა ხშირად უფრო ეფექტიანია, უფრო ეკონომიური და სასარგებლოა საზოგადოებისათვის (შესაბამისად, მისი წევრებისათვის), ვიდრე ამის კერძო საწყისებზე ორგანიზება¹. ჩვენ კი მარტო ერთის განხილვით შემოვიფარგლებით, თანაც ეს მაგალითი მიგვანიშნებს, რომ დაძალება ხანდისხან აუცილებელი და მართლზომიერია არა მარტო ამ მომსახურების საფასურის ანაზღაურებისათვის ბეგარის იძულებით ამოღების გასამართლებლად, არამედ, ასე ვთქვათ, საზოგადოების წევრების ამ მომსახურებაზე (მის მიღება – მოხმარებაზე) არანებაყოფლობით დასაყოლიებლად. დამტკიცებულია, რომ ზოგიერთი ავადმყოფობის ლოკალიზების (არგავრცელების) უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია მისი საწინააღმდეგო ვაქცინაციის (აცრის) ჩატარება. რეგიონის მაცხოვრებლებისათვის, სადაც ეს ღონისძიება ტარდება, და იმ პირებისათვის, ვისაც ეს უტარდება (ვაქცინაცია შეიძლება მასობრივი არ იყოს), ამ პროცესს გარკვეული დისკომფორტის ხასიათი აქვს: იკარგება დრო, გასაღებია სახსრები

Окунева и др. – М.: Банки и биржи, ЮНИТИ, 1995, стр. 219.

¹ ლიტერატურაში, მ.შ. სასწავლოშიც, ასეთი მრავალი ფაქტია გამოცემულ – გაანალიზებული.

(თუ აცრა ფასიანია), შეიძლება აცრას ორგანიზმის ტემპერატურის მომატება მოჰყვეს და სხვა. ამის საზღაურად კი აცრილები იმ სარგებლობას ღებულობენ, რომ მცირდება მათი დაავადების რისკი.

ამასთან ვაქცინაციის ჩატარების შედეგი ამ კონკრეტული პირების მიერ მიღებულ სარგებლიანობაზე გაცილებით მეტია – შესაბამის რეგიონში და მასთან ინტენსიურ კავშირში მყოფ დასახლებულ პუნქტებში მნიშვნელოვნად მცირდება ავადმყოფობის განხენა – გავრცელების საშიშროება. ამიტომ ხელისუფლებამ შეიძლება შემოიღოს მოსახლეობის იძულებითი უფასო ვაქცინაციის წესი. ამ შემთხვევაში გამართლებულია როგორც ამ ღონისძიების ჩატარების საფასურის დასაფარავად გადასახადის ამოღება, ისე თვით ადამიანებისათვის აცრის იძულებით ჩატარება. ასეთი სახის საზოგადოებრივი მომსახურებაა, მაგალითად, ვენერული დაავადებების მქონე ადამიანების იძულებითი უფასო მკურნალობა.

მეორე მხრივ (ჩვენი მსჯელობა „ერთი მხრივ“, როგორც დავინახეთ, ეხებოდა სახელმწიფოს ფუნქციის საერთო – საზოგადოებრივი პოზიციიდან გაფართოებას, შესაბამისად, ბეგარის ამოღების გაზრდას და ამის დაძალებით განხორციელების აუცილებლობას), სახელმწიფოს საქმიანობის გაზრდა თვით ამ სახელმწიფოს შესაძლებლობების, მისი სიძლიერის გაზრდას ნიშნავს. მძლავრ სახელმწიფოს კი მეტის გაკეთების, თავის თავზე ოპტიმალურზე მეტის ადების სურვილი უჩნდება (ჯერჯერობით საუბარი გვაქვს კეთილ ნდომაზე). ამავდროულად მასში მკვიდრდება და მტკიცდება საბაზრო მექანიზმების ქმედობაუნარიანობის, მათი შესაძლებლობების (თავისასთან შედარებით)

დაკნინების (შემცირების) განწყობა. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს იმ თეორიული მოსაზრების ჩვენებური ინტერპრეტაციაა, რომლის შესაბამისად მართვის ნებისმიერ სისტემას რაღაც ზომის (მოცულობის) მიღწევის შემდეგ თვითზრდის იმანენტური ტენდენცია ახასიათებს. სახელმწიფოს ამ ზედმეტი მოწადინების¹ განხორციელებას დაფარვის წყარო (ე.ი. ბეგარის ამოღების გაზრდა და დაძალების გამკაცრება) სჭირდება და სწორედ ეს არის ერთ – ერთი მიზეზი ბეგარის საერთო მოცულობის, ოპტიმალურთან შედარებით, მეტისკენ მისწრაფების ტენდენციისა, რომელსაც ადრეც შევხეთ. ამას ემატება ხელისუფლების სტრუქტურებში, ჩინოვნიკებში თვითდაჯერებულობის განმტკიცება, საკუთარი უნარის და მოღვაწეობის შედეგების გადამეტფასება, მ.შ. ამ საქმიანობის ანაზღაურების თვალსაზრისითაც. ბეგარის მოცულობის ამ ზედმეტობას კი კეთილი სურვილების წარმონაშობს ვერ ვუწოდებთ. ეს ყოველნაირი გაგებით თუ მიდგომით მოსახლეობისაგან დოვლათ – სიკეთის პირდაპირი უნაცვალგებო, საზიანო ამოღებაა, წართმევაა, თუ შეიძლება ასე ითქვას, დაკანონებული უკანონობაა.

გასაგებია, რომ ყველაფერი ზემოთქმული განაპირობებს იმას, რომ ბეგარის ამოღება (აკრება) შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ დაძალების გამოყენებით, მაგრამ მთავარი მიზეზი მაინც ბეგარის, როგორც მომსახურების ანაზღაურების, სპეციფიკურობაშია და ეს უძევს საფუძველად მო-

¹ ჩვენ აქ ტენდენციაზე ვსაუბრობთ და ამ შემთხვევაში არ ვეხებით მისი შეზღუდვა – შეკვეცის ისეთ ქმედით საშუალებას, როგორცაა სახელმწიფო მართვაში დემოკრატიისა და მაქსიმალური საჯაროობის დამკვიდრება.

სახლეობაში ბეგარის გადახდისადმი თავის არიდების განწყობის არსებობას: კოლექტიური მოხმარების საქონლის სპეციფიკურობის გამო (ე.წ. გამორიცხვის შეუძლებლობა), გადაიხადა თუ არა ბეგარა, პიროვნება მაინც სარგებლობს სახელმწიფო მომსახურებით. ეს სპეციფიკურობა (დავუმატებთ ადრე თქმულს) განაპირობებდა (და განსაზღვრავს დღესაც) იმას, რომ სახელმწიფოს შენახვის ხარჯების (სახელმწიფო მომსახურების საფასურის) დაფარვა ხდება არა ჩვეულებრივ სამეურნეო საწყისებზე დაყრდნობით, არა ობიექტური ეკონომიკური კანონების მოქმედების საფუძველზე¹ (ე.ი. არა როგორც საქონელ – მომსახურების ყიდვა – გაყიდვა), არამედ იურიდიული კანონების გამოყენებით. ამიტომ, გონებრივად აღნუსხვის თვალსაზრისით, ზედაპირზე გადასახადი მთლიანად (და არა მარტო მისი ოპტიმალური ნაწილის ანაზღაურების ნამეტი²) წარმოჩინდება როგორც უნაცვალგებო მითვისება. ასე ჩანდა (და ეს არის გადასახადის წინააღმდეგ ოდითგანვე არსებული განწყობის მიზეზი), თითქოს ბეგარის დაწესებით სახელმწიფო შექმნილი ეროვნული შემოსავლის უკანონო მესაკუთრე ხდება, და არა მისი შემქმნელი ერთ – ერთი სუბსტანცია. მაშასადამე, სპეციფიკურია სახელმწიფო მომსახურება და განსხვავებულია მისი საფასურის გადახდა – ეს მისი დაძალებით დაფარვაა, ბეგარაა. სპეციფიკურია სიკეთის ერთი მესაკუთრის-

¹ საუბარი გვაქვს ბეგარის მოცულობაზე (როგორც კონკრეტული გადასხდელებისათვის, ისე მთლიანად), და არა მისი არსებობის ობიექტურ აუცილებლობაზე.

² ქვეყანაში არსებული გადასახადის ორ ნაწილად თეორიული დაყოფის მართლზომიერებაზე საუბარი შემდეგ პარაგრაფში გვექნება.

აგან (ბეგარაგადამხდელისაგან) მეორისათვის (სახელმწიფოსათვის) დაძალებით გადაცემა(ც: სახსრების ასეთი ძალდატანებით წართმევა საზოგადოების ფუნქციონირების წესებით (კანონებით) არის გათვალისწინებული, მაშინ როდესაც ჩვეულებრივად გაძარცვა თავდასხმით, ყანაღურად (ე.ი. კანონსაწინააღმდეგო) წართმევას, მიტაცებას ნიშნავს. ამასთან სახელმწიფოს მიერ ბეგარის ამოღება, მისი მოცულობის და გამოყენების ოპტიმალურობა – რაციონალურობის თვალსაზრისით, შეიძლება (და მართლზომიერი იქნება) გარკვეულ ნაწილში (იმ მოცულობით, რომლის რაციონალურზე ზედმეტობის ან არაოპტიმალურად გამოყენების გამოც მთლიანობაში ეშპ-ის წარმოება, შესაძლებელთან შედარებით, მცირდება) „უკანონოდ“ ჩაეთვალოს.

დაბეგვრის ისტორიაში, როგორც ადრე აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა გადასახადის ნაირსახეობებმა; იცვლებოდა აგრეთვე მისი მოცულობა და მოსაზრება გადასახადის არსისა და როლის თაობაზე. ამასთან შეიძლება ითქვას, რომ, ბეგარის გადახდისაგან თავის არიდების აღმოფხვრისათვის დაძალების გამოყენების თვალსაზრისით, ბევრი არაფერი შეცვლილა: მისი არგადახდა დღესაც ერთ – ერთი ყველაზე მძიმე დანაშაულია საზოგადოების წინაშე და სახელმწიფო პრაქტიკულად ამას მთელი თავისი შესაძლებლობების გამოყენებით ებრძვის. მაგრამ არის ბეგარის გადახდელის მეტი თავისუფლების უზრუნველყოფი ცვლილებები. თუ, მაგალითად, ფეოდალური ბეგარის გადახდელი ადმინისტრაციული საშუალებებით (კანონით) მიჯაჭვული იყო თავის ბატონს და მისი ნებართვის გარეშე ფეხს ვერ მოიცვლიდა მამულიდან, დღეს დემოკრატიული ქვეყნების მო-

ქალაქეები საკუთარი სურვილების შესაბამისად წყვეტენ თავისი საქმიანობისა და საცხოვრებელი ადგილის საკითხს და ამის მიზეზებში სხვადასხვა ქვეყნების (რეგიონების) საგადასახადო სისტემებს ბოლო ადგილი როდი უჭირავს¹. გარდა ამისა, ფეოდალიზმის დროს ადამიანებს, უნდოდათ თუ არ უნდოდათ, შრომას აძალებდნენ (გარკვეული შრომის სახით ახდევინებდნენ ბეგარას), დღეს მათ ძალით კი არ ამუშავენ ბეგარის გადასახდელად, არამედ მათივე სურვილის შესაბამისად გაწეული შრომის შედეგის გარკვეულ ნაწილს ჩამოართმევენ.

ზემოთქმული, ვფიქრობთ, გვაძლევს უფლებას ჩამოვაყალიბოთ გადასახადის არსი, გადმოვცეთ მისი ჩვენებური განმარტება. გადასახადი უეჭველად ფინანსური კატეგორიაა, ამას პრაქტიკულად ყველა აღიარებს და ჩვენც ასე მიგვაჩნია. ამასთან, ვფიქრობთ, ერთ გარემოებასაც უნდა გაესვას ხაზი, რასაც თვით ფინანსების განმარტებასთან აქვს კავშირი და რაშიც აზრთა სერიოზული განსხვავება არსებობს. უცხოურ (დასავლურ) ლიტერატურაში თითქმის ვერ შეხვდებით ფინანსების როგორც საჯარო (სახელმწიფო) ფულადი ფონდების ფორმირების ინსტიტუტად აღიარებას. არის, მაგალითად, ასეთი განმარტებები:

„ფინანსები (finance) არის: 1. ფულის გამოყენებისა და მართვის პრაქტიკა. 2. კაპიტალი, რომელიც რომელიმე პროექტში მონაწილეობს; პირველ რიგში კაპიტალი, რომელიც მიღებული უნდა იქნეს ახალი საქმის დაწყე-

¹ მართალია, მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესის შედეგად შეიძლება ვისაუბროთ საგადასახადო სისტემების განსხვავებულობის ნიველირების საერთო ტენდენციაზე, მაგრამ დღესდღეობით განსხვავებები მაინც მნიშვნელოვანია.

ბისათვის. 3. ფულადი სესხი გარკვეული მიზნისათვის, განსაკუთრებით საფინანსო კომპანიის მიერ აღებული¹;

- „დაფინანსება (finance). ვიწრო მნიშვნელობით ეს სიტყვა ეხება ფულად კაპიტალს, რომელსაც გაასესხებენ ან სესხად აიღებენ საფინანსო ბაზრების ან ინსტიტუტების საშუალებით ჩვეულებრივად კაპიტალდაბანდების განხორციელებისათვის. ყოველდღიურ სიტყვახმარებაში ეს ტერმინი გამოიყენება ნებისმიერი წყაროებიდან მიღებული ფონდების აღსანიშნავად, რომლებიც განკუთვნილია ნებისმიერი ხარჯის გასაღებად²;
- ინგლისურიდან რუსულად თარგმნილ „Финансовый менеджмент“ – ში აღნიშნულია, რომ „ფინანსები“ როგორც დისციპლინა სამი განყოფილებისაგან შედგება: 1. „კორ-ორაციების მენეჯმენტი“, რომელიც განიხილავს პირველ რიგში სახსრების მოზიდვის და გამოყენების საკითხებს;... 2. „საფინანსო ბაზრები და დაწესებულებები“; 3. „ინვესტიციები“.

ჩვენ ამ განმარტებების საწინააღმდეგო არაფერი გვჭკვს, ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენთანაც ფინანსების დაახლოებით ასეთივე გაგებაა გავრცელებული³, მაგრამ რაკი საუბარი სახელმწიფოს

¹ Финансы. Оксфордский толковый словарь: Англо – русский. – М.: Издательство “Весь Мир”, 1997. стр. 154.

² Словарь современной экономической теории Максимиллана. – М.: ИНФРА – М, 1997. стр. 182.

³ Колл Ф.В. Родригес Р.Дж. Финансовый менеджмент: Учебник/Пер. 2-го англ. издания – М.: Издательство Финпресс, 2001. – стр. 26.

⁴ რად ღირს მართო რუსული სხარტული გამოთქმა “финансы поют романсы”.

ფუნქციონირების უზრუნველყოფის წყაროზე (გადასახადზე) გვაქვს, უპრიანი იქნება საჯარო ფინანსების ჩვენთან აღიარებული რომელიმე ტრადიციული განმარტების პოზიციიდან ვისაუბროთ. ასე მაგალითად, ერთ-ერთ ცნობილ სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: „სახელმწიფო (საჯარო) ფინანსები არის სახელმწიფოსათვის მისი ფუნქციების შესრულებისათვის საჭირო ფონდების ფორმირებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ფულადი ურთიერთობების სისტემა“¹. ამ პოზიციიდან გადასახადი (ბეგარა) ნამდვილად ფინანსური კატეგორიაა როგორც სახელმწიფოს ფუნქციონირების ძირითადი ფინანსური წყარო. ამასთან ერთ ნიუანსს მაინც უნდა გავეუსვათ ხაზი, რომელიც მიგვანიშნებს, რომ ბეგარა თეორიულ ასპექტში გარკვეულწილად სცილდება სუფთა ფულად ურთიერთობებს: შრომისა და მატერიალური სიკეთის ბეგარისებური გაღება² ამ განმარტებაში ვერ თავსდება, თუმცა არსობრივად ისინი სახელმწიფოს საქმიანობის უზრუნველყოფისათვის გაღებული გადასახადია – იმ ნაწილში მაინც, რომელიც საზოგადოებრივი სიკეთის შექმნას ხმარდება. ამასთან დაკავშირებით ყურადსაღებია პროფესორ რ. კაკულიას მოსაზრება, რომ „არასწორია ფინანსების გაიგივება ფულად რესურსებთან, თუმცა ფინანსების არსებობა – ფუნქციონირება ფულის გარეშე შეუძლებელია“³ ადრეც მივანიშ-

¹ Финансы. Учебник для вузов. Под ред. проф. М.В. Романовского и др.-М.: Изд-во “Перспектива”, Изд-во “Юрайт”, 2000, стр. 20.

² შრომამიგებით ბეგარაზე, სამხედრო სავალდებულო სამსახურზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. აქ კი დავუმატებდით, რომ ბეგარა იყო ფაქტობრივად სამამულო ომის დროს გამწევი პირუტყვის (ცხენი, ვირი) ფრონტის დასახმარებლად ჩამორთმევა. სხვა ასეთი მაგალითების მოყვანაც შეიძლება, ალბათ.

³ კ ა კ უ ლ ი ა რ. ფინანსების ზოგადი თეორია, გვ. 12.

ნეთ და აქაც გაეუსვამთ სხვა კუთხით ხაზს, რომ ბეგარის მთლიანი მოცულობა ერთმნიშვნელოვანი ხასიათისა არ არის. თავის დროზე ფეოდალის სასარგებლო შრომამიგებით ბეგარაში, სასოგადოებრივი მომსახურების ანაზღაურებასთან ერთად (ბატონი წარმართავდა მამულში ცხოვრების წესებს, ეწეოდა მასში დასახლებულთა დაცვას გარე ძალებისაგან და ა.შ.), შედიოდა ის ნაწილიც (თანაც მნიშვნელოვანი), რომელსაც ფეოდალი ართმევდა გლეხობას როგორც ექსპლუატატორი (ეს, რა თქმა უნდა, სიკეთის უნაცვალგებო წართმევა იყო), აგრეთვე მისი საკუთრების (მიწის), როგორც წარმოების ფაქტორის, გამოყენების საფასური. გადასახადს (შესაბამისად, ფინანსებს) რომ არა მარტო ფულადი ხასიათი შეიძლება ჰქონდეს, გულისხმობდა უეტყველად აკადემიკოსი ვ. ჩანტლაძე, როდესაც წერდა, რომ „გადასახადი, პირველ ყოვლისა, არის განაწილებისა და გადაანაწილების გზით მიღებული ნაციონალური შემოსავლისა და სიმდიდრის წილი, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების გარკვეულ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს“¹

მიუხედავად ზემოთქმულისა (რომ ბეგარა არა მარტო ფულად გამოხატულებაში გვხვდება), ვფიქრობთ, გადასახადის ფინანსურ კატეგორიად აღიარება მაინც სწორია.

რაც შეეხება ბეგარის არსობრივად განსაზღვრას, ამაშიც აზრთა სერიოზული განსხვავებულობა გვხვდება. ერთ – ერთ აღიარებულ დექსიკონში ვკითხულობთ, რომ დაბეგვრა² (taxation) არის „მოსაკრებელი, რომელსაც ამოიღებენ

¹ ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე ვ. ფინანსური მეცნიერების საფუძვლები. – თბილისი: 1995, გვ. 82.

² გადასახადი, როგორც ასეთი, მასში განმარტებული არ არის.

ცენტრალური მთავრობა ან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები ფიზიკური პირებისა და კორპორაციული ორგანიზაციებისაგან სახელმწიფოს ხარჯების დასაფინანსებლად, აგრეთვე ფისკალური პოლიტიკის გატარების საშუალებად¹. იგივე განსაზღვრავს მოცემული ზემოხსენებულ ოქსფორდის ფინანსების განმარტებით ლექსიკონში. მაკმილანის ლექსიკონში კი დაბეგვრა განმარტებულია შემდეგნაირად: ეს არის *„აუცილებელი მოსაკრებელი კერძო პირებისა და ორგანიზაციებისაგან, რომელსაც აწარმოებს სახელმწიფო საზოგადოებრივი სიკეთისა (public goods) და მომსახურების დასაფინანსებლად სახსრების მიღებისათვის, აგრეთვე ეკონომიკაში კერძო შემოსავლის მოცულობაზე კონტროლისათვის“* (ხაზგასმა ჩვენია. თუ რატომაა ეს მოსაზრება ხაზგასმული, ამაზე საუბარი წინა გვაქვს. – ავტ.). მაკონელისა და ბრიუს „ეკონომიკს“ – ში მოცემულია ბეგარის შემდეგი განსაზღვრა: „ბეგარა (tax) არის საოჯახო მეურნეობებისა და ფირმებისაგან მთავრობისადმი (სახელმწიფოსადმი) ფულის იძულებითი გადახდევინება (ან საქონელ – მომსახურების გადაცემა), რის სანაცვლოდ საოჯახო მეურნეობა და ფირმა უშუალოდ არ ლეგებლობენ საქონელს ან მომსახურებას, ამასთან ასეთი გადახდა ჯარიმა არ არის, რომელსაც მათ უკანონო საქმიანობისათვის სასამართლო დააკისრებდა.“³

¹ Бизнес: Толковый словарь: Англо – русский. – М.: ИНФРА – М, Издательство “Весь Мир”, 1998, стр. 628.

² Словарь современной экономической теории Макмиллана, стр. 485.

³ Кэмпбелл Р. Макконел, Стэнли Л.Брю. Экономикс: принципы, проблемы и политика. В 2 т., Т.2. – М.: Республика, 1992, стр. 390 (ხაზგასმა ჩვენია. –ავტ.).

ბიზნესის განმარტებით ლექსიკონთან შედარებით, ვფიქრობთ, მაკმილანის ლექსიკონში სწორად არის ხაზი გასმული გადასახადის აუცილებელ ხასიათზე, რაც მის არანებაყოფლობითობაზე მიგვანიშნებს. მეტად სერიოზული, გაბედული, და, ჩვენი აზრით, სრულიად მართალ¹სომიერია მასში იმის აღნიშვნაც, რომ ბეგარის საშუალებით ხელისუფლება კერძო შემოსავლების კონტროლს ეწევა. ამ მოსაზრებას გაბედული იმიტომ ვუწოდეთ, რომ მას ყველა როდი იზიარებს, თუმცა ეკონომიკისათვის სოციალური მიმართულობის მიცემის ძირითადი საშუალება სწორედ საგადასახადო პოლიტიკაა. მაკონელისა და ბრიუს განსაზღვრაში ყურადღებას იქცევს ისიც, რომ კონკრეტული ბეგარაგადამხდელუბი უშუალოდ არ ღებულობენ მის კომპენსაციას, რაც იმის მიმნიშნებელია, რომ გადასახადი საერთოდ კი არ არის სახსრების უნაცვალგებო გადაცემა (ამოდება), არამედ კონკრეტული პირისათვის მის მიერ უშუალოდ გაღებული ბეგარისა და არაპერსონიფიცირებულად მიღებული სახელმწიფო მომსახურების შეთანაზომვის თვალსაზრისით.

რუსულ ლიტერატურაში, ჩვენი დაკვირვებით, ბეგარის ეს მნიშვნელოვანი მახასიათებლები ზოგჯერ განმარტების მიღმა რჩება ან საერთოდ არასწორად წარმოჩინდება. მაგალითად, ლ.პ. ოკუნევა „დაძლებით მითვისებულ“ გადასახადს (მის მთლიან მოცულობას) ახასიათებს როგორც ღირებულების მხოლოდ ერთი მიმართულებით (ბეგარაგადამხდელისაგან სახელმწიფოსაკენ) მოძრაობას ეკვივალენტური გაცვლის გარეშე¹. სახელმძღვანელოში „Бюджетная система Российской Федерации (М.:

¹ Общая теория финансов. Л.А. Дробизина и др., стр. 93.

Юрайт, 1999)“ მიცემულია (გვ. 119) გადასახადების შემდეგი განსაზღვრა: “გადასახადები არის იმპერატიული ფულადი ურთიერთობები ბეგარის სუბიექტისათვის ყოველგვარი ეკვივალენტის მიცემის გარეშე, რომელთა პროცესში იქმნება საბიუჯეტო ფონდი” (ხაზგასმა ჩვენია – ავტ.). ფინანსების ზემოთ უკვე მოხსენიებულ ერთ – ერთ, ვფიქრობთ, საუკეთესო სახელმძღვანელოში ზემომოტანილი განსაზღვრა შეფასებულია რატომღაც როგორც „ვეელაზე ლაკონიური და ვეელაზე სწორი თეორიული პოზიციებიდან.“¹ ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ სწორედ ამ განმარტებაშია დაშვებული უზუსტობა. გასაგებია, რომ კონკრეტული გადასახადის სუბიექტი პირდაპირ არ ღებულობს ყოველ კონკრეტულ ბეგარაზე სიკეთის შესაბამის ეკვივალენტს, მაგრამ ამ მოსაზრების გადასახადის საერთო განმარტებაში ჩადება და ბეგარის მთლიანად სახსრების უნაცვალგებო ამოღებად კვალიფიცირება არამართლზომიერი უნდა იყოს. ეს, ჩვენი აზრით, საბჭოურ პოლიტეკონომიაში გაბატონებული არასწორი მოსაზრების გაგრძელებაა, რომელზედაც საუბარი გვქონდა ნაშრომის პირველ თავში. ბეგარისადმი ასეთი მიდგომა კი ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს გადასახადი საერთოდ არაანაზღაურებადია, ეს კი ნამდვილად შეცდომაა. სახსრების უნაცვალგებო მოძრაობად არის წარმოჩენილი ბეგარა საქართველოს საგადასახადო კოდექსშიც, სადაც ვკითხულობთ, რომ ეს არის „ბიუჯეტში და სპეციალურ სახელმწიფო ფონდებში... სავალდებულო შენატანი, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადა-

Финансы: Учебник для вузов, под ред. проф. М. В. Романовского и др., стр. 278.

ხდის აუცილებელი არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე¹.

გადასახადის როგორც სახსრების (საკუთრების) არაეკვივალენტური, უსასყიდლო გადაადგილების გაგების მოსაზრებას არ იზიარებს და აკრიტიკებს პროფესორი გ. მაღლაშხია. უფრო მეტიც, ის თვლის (და ძნელია ამაში არ დაეთანხმო), რომ ასეთი განმარტებები „სცილდება გადასახადების ჭეშმარიტ სოციალურ – ეკონომიკურ არსს და მიუღებელია. მათ შეცდომაში შეჰყავთ არა მარტო თეორიული აზროვნება, არამედ გადასახადის გადამხდელთა უსარმაზარი მასა“... მის მიერ მოცემული განმარტებით კი გადასახადი „არის იმ მომსახურების სახლადური, რასაც სახელმწიფო უწევს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რის შედეგადაც მათ ექმნებათ ეკონომიკური შემოსავლების მიღებისათვის, აგრეთვე საერთოდ ცხოვრებისათვის აუცილებელი პირობები“² და შემდეგ: „მთლიანობაში გადასახადები წარმოვეიდგება საზოგადოების წევრთა შემოსავლების იმ ნაწილად, რომელიც საზოგადოებას ეკუთვნის ობიექტურ (სამართლიან) საფუძველზე და ხმარდება საყოველთაო სიკეთეთა შექმნას, საზოგადოების წევრთა კეთილდღეობის დამატებით

¹ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 3 (ხაზგასმა ჩვენია. – ავტ.). ბეგარის თეორიულ გააზრებას რომ თავი დაეანებოთ, ნებისმიერი მწიგნობარი შენიშნავს, თუ რა უხეიროდ არის წინადადება ჩამოყალიბებული: თითქოს ქართული ენა სინონიმებს არ იცნობდეს, რა გაჭირდა ასეთი, რომ ტექსტში ოთხი ერთი ფუძისაგან შემდგარი სიტყვა ერთიმეორეზე მიყოლებითაა ნახმარი.

² გ. მაღლაშხია. გადასახადების ობიექტურობისა და ეფექტიანობის პრობლემა. სტატია კრებულში „გარდამავალი პერიოდის საფინანსო – ეკონომიკური პრობლემები საქართველოში“, ტ. III. – თბილისი: ფსკი, 1999, გვ. 96.

ლონისძიებებს, ეკონომიკურ და სოციალურ რეგულირებას.”¹

არ არის, ჩვენი აზრით, დამაჯერებელი, ზოგიერთი ავტორის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ გადასახადი არ შეიძლება ვაღიაროთ სახელმწიფო მომსახურების საზღაურად (ფასად), ვინაიდან ამ ფასის ჩამოყალიბება არ ემორჩილება ფასწარმოქმნის ჩვეულებრივ კანონებს². მართალია, ამ მომსახურების ანაზღაურება მისი (მომსახურების) სპეციფიკურობის გამო არ ჰგავს ჩვეულებრივი საქონლის საფასურის გადახდას, ბაზარზე საქონლის ყიდვა – გაყიდვას (ამ საკითხს ჩვენ აქამდეც შევეხეთ და შემდგომშიც განვიხილავთ), მაგრამ აქედან იმის დასკვნა, რომ გადასახადის ნაკადი ეკონომიკაში ცალმხრივია, სახსრების უნაცვალებო წართმევაა, ჩვენი აზრით, მოკლებულია ლოგიკურობას.

ზემოგამართული მსჯელობა, ვფიქრობთ, გვაძლევს უფლებას შემოეთავაზოთ გადასახადის შემდეგი განმარტება: გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი (ბეგარა) არის ძირითადად (ე.ი. ოპტიმალური და რაციონალურად გამოყენებული მოცულობა) საზოგადოების (როგორც სოციალურ – ეკონომიკური ერთობლიობის) და მისი წევრების ნორმალურად ფუნქციონირებისათვის საჭირო წესების დამმუშავებელი და გამტარებელი სპეციალური ორგანოს (სახელმწიფოს) შენახვის და საქმიანობის ხარჯების სპეციფიკური (იძულებითი, სავალდებულო – კანონ-

¹ გ. მ ა ლ ა შ ხ ი ა. გადასახადების ობიექტურობისა და ეფექტიანობის პრობლემა, გვ.100.

² შ. ს რ ე ს ე ლ ი გადასახადები საბაზრო ეკონომიკის პირობებში. – თბილისი: ფინანსთა სამინისტროს გამომცემლობა, გორის სახელმწიფო ეკონომიკური ინსტიტუტი, 1994, გვ.12.

მდებლობით) ანაზღაურება, რომელიც საჭიროა ამ ორგანოს მიერ საზოგადოებისათვის გაწეული პოლიტიკურ – ადმინისტრაციული, ეკონომიკური და სოციალური მომსახურების დასაფარავად, აგრეთვე კერძო შემოსავლის მოცულობაზე კონტროლისათვის. ეს ერთობლივი ეროვნული პროდუქტის შექმნაა, რომლის ანაზღაურების სპეციფიკურობას განაპირობებს თვით ამ მომსახურების ჩვეულებრივისაგან განსხვავებულობა – მისი ბაზარზე შეფასების შეუძლებლობა, ორადი ხასიათი და, შესაბამისად, სწორი (ოპტიმალური) მოცულობის განსაზღვრის სირთულე, კონკრეტული გადამხდელებისათვის ბეგარის როგორც რეალურად შექმნილი სიკეთე – დოვლათის ანაზღაურების ფსიქოლოგიურად აღქმის პრობლემურობა.

როგორც ვხედავთ, გადასახადის ჩვენს მიერ მოცემული განსაზღვრა მნიშვნელოვანწილად უცხოური წყაროებიდან მოტანილი განმარტებების იდენტურია, მათი ინტერპრეტაციაა¹. ამასთან ერთი რამის გამოკვეთილად მინიშნება მიგვაჩნია საჭიროდ. ჩვენ ვთვლით (და ეს განსაზღვრაშიც გამოვიტანეთ), რომ ბეგარის მთლიანი მოცულობა ორჭოფულია (გაორებულია) და მასში შეიძლება წარმოდგენილი იყოს (ე.ი. არსებობდეს და, როგორც წესი, არსებობს კიდევაც) გადასახადის ერთი ნაწილი, როგორც აუცილებელი საზოგადოებრივი საქონელ – მომსახურების საფასური, ასევე მეორე ნაწილი – საზოგადოებაში ბეგარის ოპტიმალური მოცულობის გაანგარიშება – დადგენის თეორიულ

¹ ადრე ფსკი-ს კრებულში (ტ. IV) ერთ-ერთი ჩვენთაგანის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში მოცემულ განსაზღვრასთან (გვ. 249) შედარებით ეს განმარტება უფრო „მოღერნიზებულია“ (ავტ.).

– პრაქტიკულ სიძნელეებთან, აგრეთვე სახელმწიფოს საქმიანობაზე არასაკმარის საზოგადოებრივ კონტროლთან (დემოკრატიის დაბალი დონე) და მისი განვითარების შინაგან კანონზომიერებებთან (თვითზრდის ტენდენცია) დაკავშირებული კერძო სექტორიდან დოვლათ – სიკეთის გადამეტებული ამოღება. თუ პირველი ნაწილი სასარგებლო და გარდუვალია, ეშპ-ის შექმნაა, მეორე საზიანოა როგორც ეკონომიკური განვითარებისათვის, ისე მთლიანად საზოგადოების ფუნქციონირებისათვის. ამიტომ გადასახადის საერთო მოცულობის თეორიულად ასეთ ორ ნაწილად გააზრება – გამიჯვნა, ეფექტობთ, გამართლებულია და ხელს შეუწყობს ქვეყანაში სწორი საგადასახადო პოლიტიკის ჩამოყალიბებას.

2.2. გადასახადი როგორც ეკონომიკის რეზულირების და მწვანე

სოციალური პრობლემების გადაწყვეტა – შემსუბუქების საშუალება

გადასახადის აუცილებლობა, როგორც აღინიშნა, დაკავშირებულია სახელმწიფოს ფუნქციონირებასთან, მის ფუნქციებთან. საზოგადოების მმართველი ძალის – სახელმწიფოს არსებობა აუცილებელია და ამას დღეს ფაქტობრივად ყველა აღიარებს¹. ეს იმას ნიშნავს, რომ საჯარო საქონელ – მომსახურების გარკვეული მოცულობით წარმოება ობიექტური აუცილებლობაა სახელმწიფოებრივად

¹ მხედველობაში არაგვაქვს ანარქიზმის მქადაგებელი უმნიშვნელო ოლიოზური ჯგუფები; როგორც ჩანს, დაიწყებას მიეცა აგრეთვე მოსაზრება კომუნისტურ საზოგადოებაში სახელმწიფოს კვდომის თაობაზე.

ჩამოყალიბებული ნებისმიერი საზოგადოებისათვის; აქედან გამომდინარე, ასევე რეალური (ობიექტური) მოთხოვნაა ამისათვის საჭირო ხარჯების დაფარვის წყაროდ იმავე საზოგადოებისაგან გადასახადის ამოღება. პირველ რიგში ეს ხარჯები (შესაბამისად, დაფარვის წყარო – ბეგარა) აუცილებელია სახელმწიფოს უმაღლესი და უპირველესი, უმნიშვნელოვანესი ადმინისტრაციულ – პოლიტიკური ფუნქციის შესასრულებლად. ეს არის ქვეყანაში მართლწესრიგის და პოლიტიკური სიმშვიდის უზრუნველყოფა, მოქალაქეთა საკუთრებრივი უფლებების დაცვა, საგარეო ურთიერთობების მოგვარება. შესაბამისად, ხელისუფლების ასეთი საქმიანობის მატერიალური (ფინანსური) უზრუნველყოფის წყაროს – ბეგარას (დაბეგვრას) თავიდან თითქმის წმინდა ფისკალური ხასიათი ჰქონდა. ეს იყო ხაზინის შევსება, ფულადი და სხვა რესურსების შეგროვება სახელმწიფოს მიერ ამ ტრადიციული ფუნქციების შესრულებისათვის¹. ამიტომაც, რომ სახელმწიფოს შენახვის ხარჯები, შესაბამისად, გადასახადის მოცულობა შედარებით მცირე იყო: სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით მე-19 საუკუნის მიწურულამდე გადანაწილდებოდა ეროვნული შემოსავლის 20%-ზე ნაკლები.

გასაგებია, რომ ასეთი სახელმწიფოს ფუნქციები ეკონომიკაში წარმოინდებოდა, როგორც „ღამის დარაჯის“ საქმიანობა, მიმართული საკუთრების, წესრიგის და სიმშვიდის დაცვისაკენ. ის, როგორც წესი, არ აცხადებდა ეკონომიკურ აღწარ-

¹ ამ ობიექტურ მოვლენებს, როგორც ზემოთ აღინიშნა, ყოველთვის ემატებოდა ხელისუფალთა პირადი ინტერესების (ხშირად გაზვიადებულის) დაფარვა.

მოებით ურთიერთობებზე სემოქმედების პრეტენზიას¹. ამ შემთხვევაში სახელმწიფო საქმიანობის (სახელმწიფო ფუნქციის) მატერიალურ უზრუნველყოფას – ბეგარას თითქმის მთლიანად ფისკალური ხასიათი ჰქონდა. მაგრამ სახელმწიფოს ასეთი, წმინდა არაეკონომიკური საქმიანობაც კი თავისთავად ობიექტურად განაპირობებს გარკვეულწილად როგორც ცალკეული სუბიექტების ეფექტიან მეურნეობრიობას, ისე მთლიანად აღწარმოებით პროცესს; სასოგადოების ნორმალური ფუნქციონირების, მისი წევრების თანაცხოვრების (თანამშრომლობის ან ხელის არშეშლის მაინც) წესების შემმუშავებელი და გამტარებელი სახელმწიფო აქაც გვევლინება სასოგადოების ერთ-ერთი ძირითადი მეცადინეობის (ეკონომიკური, შრომითი საქმიანობის) ხელშემწყობად, მაშასადამე, ამ საქმის ერთგვარად მარეგულირებლად. ამასთან შეიძლება ითქვას, რომ სუფთა ფისკალური პოლიტიკაც² თავისთავად ქმნის ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს ჩარევის ობიექტურ წინაპირობას; უფრო სწორად, რაკი ფისკალური პოლიტიკა შექმნილი ეროვნული შემოსავლის გადანაწილებას გულისხმობს და მისი ჩვეულებრივი, ბუნებრივი გამოყენების სტრუქტურას

¹ თუ არ მივიღებთ მხედველობაში საგარეო – ეკონომიკურ ურთიერთობებში პროტექციონისტულ პოლიტიკას, რომელსაც, ზაზინის შევსების ამოცანასთან ერთად, სამამულო წარმოებისათვის ხელის შეწყობა ელო საფუძვლად და რომელსაც თითქმის ყველგან მიმართავდნენ.

² ცნობილია, რომ ფისკალური პოლიტიკის ცნებას ზოგჯერ გაფართოებული მნიშვნელობით ხმარობენ, მაგრამ ავტორები, ჩვენში მიღებული ტრადიციის შესაბამისად, მასში მარტო ბიუჯეტის შევსების ამოცანებს გულისხმობენ. როგორც პროფესორი ლ. ჩიქავა წერს, გადასახადების ფუნქცია სახელმწიფოს ფულადი შემოსავლის ფორმირებაში მდგომარეობს (ლ.ჩიქავა. ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი. – თბილისი: „სიახლე“, 1997, გვ. 345).

ცვლის, ეს უკვე ეკონომიკის ფუნქციონირებაში ჩარევაა ფაქტობრივად.

დროთა განმავლობაში სხვადასხვა მიზეზების გამო მდგომარეობა შეიცვალა: ეკონომიკის განვითარების გართულების, მასში ბაზრის ნორმალური ფუნქციონირების ხელშემშლელი მონოპოლიური პრობლემების წარმოქმნის და განმტკიცების, ამის შედეგად კი მაკროეკონომიკური წონასწორობის სუფთა საბაზრო მექანიზმებზე დაყრდნობით (ე.ი. ავტომატურად, თვითრეგულირების საწყისებზე) მიღწევის გართულების ან ამისათვის სოციალურად მიუღებელი ხანგრძლივი პერიოდის საჭიროების (საბაზრო მექანიზმების გამოძახილის დახანება) გამო გარდაუვალი გახდა ბაზრის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს შეზღუდული, მაგრამ უკვე პირდაპირი ჩარევა. თუ სახელმწიფო ამას არ იკისრებს, ეკონომიკაში უმნიშვნელო დეპრესია – ჩავარდნებსაც კი (ეს კი თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების თანდაყოლილი ნაკლია) უმართაობის შემთხვევაში შეიძლება ძნელად ასანაზღაურებელ – გამოსასწორებელი, კატასტროფული სოციალურ – ეკონომიკური შედეგები მოჰყვეს. ამან გააფართოვა და ერთგვარად შეცვალა სახელმწიფოს საქმიანობა, მას გაუჩნდა ეკონომიკის გარკვეულ ფარგლებში და ცალკეულ სიტუაციებში (პერიოდებში) მოზომილი და გათვლილი შეგნებული რეგულირების ფუნქცია. შედეგად ამისა აშკარა ზრდის ტენდენცია დაეტყო საზოგადოებისადმი სახელმწიფო სამსახურის მოცულობას: სუფთა ეკონომიკური თვალსაზრისითაც დღეს უკვე აუცილებლად არის მიჩნეული, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს არა მარტო იმ საქონელ – მომსახურების წარმოება (კოლექტიური მოხმარებ-

ის დოვლათი - სიკეთე, რომელსაც გამორიცხვის შეუძლებლობა ახასიათებს ან გამორიცხვა მიზანშეწონილი არ არის), რომელთა კერძო საწყისებზე შექმნა შეუძლებელი ან არარაციონალურია (არაეკონომიურია), ამას ის ყოველთვის აკეთებდა, არამედ სახელმწიფოებრივ ბერკეტებზე დაყრდნობით მიზანმიმართულად შეცვალოს კერძო სექტორის ქცევა და ამით ეკონომიკის განვითარების გარკვეული რეგულირება მოახდინოს¹.

დღეს ფართოდ არის აღიარებული, რომ აბსოლუტურად თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა არ არსებობს, რომ ნებისმიერ ქვეყანაში ეკონომიკა შერეულ ხასიათს ატარებს იმ თვალსაზრისით, რომ მასში პარალელურად მოქმედებს თვითრეგულირება - როგორც დოვლათ - სიკეთის ძირითადად კერძო საკუთრების და თავისუფალი კონკურენციის საწყისებზე წარმოება და სახელმწიფო რეგულირება როგორც სახელმწიფო საკუთრების საწყისებზე კოლექტიური მოთხოვნის საქონელ - მომსახურების წარმოება. გარდა ამისა, ეკონომიკის გართულებულ და ზოგჯერ თვისებრივად შეცვლილ სიტუაციაში ფუნქციონირების პირობებში გაჩნდა ან გაფართოვდა საქმიანობის ნაირსახეობები, რომელთა წარმართვაში საზოგადოებრივმა სექტორმა შეიძლება ზოგჯერ (გარკვეულ ფარგლებში) წარმატებულად გაუწიოს კონკურენცია კერძო სექტორს. ეს არის განათლება, სამედიცინო მომსახურება, ფუნდამენტური მეცნიერება. საქმე ის არის (და ამის მართლზომიერება ფართოდ არის აღიარებული,

¹ აქვე საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი მოსაზრების დაფიქსირება. სახელმწიფოს ეკონომიკის ფუნქციონირებაში ჩარევას სხვადასხვა მიზეზების გამო შეიძლება არასასურველი, არაპროგნოზირებადი შედეგი მოჰყვეს. ამ შემთხვევაში მისი ქმელობა, რა თქმა უნდა, სასარგებლო ვერ იქნება.

თუმიცა არა საყოველთაოდ), რომ საზოგადოების განათლებულობის და ჯანმრთელობის მაღალ დონეს საბოლოო ჯამში უფრო მეტი სარგებლიანობა მოაქვს თვით ამ საზოგადოებისათვის, ვიდრე ეს ფასდება სუფთა საბაზრო პრინციპებზე მოწყობისას. რაც შეეხება ფუნდამენტურ სამეცნიერო კვლევებს, რომელთა შედეგები განაპირობებს ხშირად თვისებრივად მაღალ ეკონომიკურ (და არა მარტო სუფთა ეკონომიკურ) შედეგებს, დიდი რისკიანობისა და უკუგების ხანგრძლივი პერიოდის საჭიროების გამო კერძო ბიზნესი მათზე ნაკლები სურვილით მიდის. ე.ი. ამ სიკეთის წარმოებაც მნიშვნელოვანწილად სახელმწიფოებრივ საწყისებზე უნდა მოეწყოს; ესეც ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებაა და ამასაც ხარჯები და მათი წყარო (ბეგარა) სჭირდება.

სახელმწიფო საქმიანობის გაფართოების აუცილებლობა განაპირობა დედამიწაზე ადამიანის არსებობისათვის საჭირო ზოგიერთი რესურსის ამოწურვის რეალურმა საშიშროებამ, უპირველესად თვით ადამიანების მნიშვნელოვანწილად უგუნური, ბოლომდე გაუზარებელი, შეუგნებელი საქმიანობის შედეგად ეკოლოგიური სიტუაციის გამწვავებამ და მისი ლიკვიდაციის (შესუსტების) მიზნით ამ მიმართულებით სახელმწიფო საქმიანობის ორგანიზება — გაფართოების აუცილებლობამ. პრობლემა იმდენად რთული და სერიოზულია, ამასთან ისე პირდაპირ არის დაკავშირებული ჩვენს თემასთან (სახელმწიფო ხარჯები, მათი ბეგარით დაფარვა და საგადასახადო ტვირთი), რომ მასზე უფრო ვრცელი საუბარი მოგვიწევს.

შეიძლება ითქვას, რომ, მიუხედავად ხშირი ბუნებრივი კატაკლიზმებისა (მიწისძვრები, წყალ-

დიდობები, გვალვები, ქარიშხალი და სხვ.), მისთვის დედამიწაზე საერთოდ ცხოვრების თვალსაზრისით, კაცობრიობა მე-20 საუკუნემდე შედარებით მშვიდად გრძნობდა თავს. დღეს ფართოდ არის აღიარებული, რომ გლობალური ეკოლოგიური პრობლემა უპირველესად თვით ადამიანის საქმიანობას უკავშირდება, გარემოზე მისი უარყოფითი გავლენით განისაზღვრება, რაც განსაკუთრებით აქტიური და საშიში გახდა პლანეტის ინდუსტრიალიზაციის კვალობაზე. მეცნიერთა მიერ გაანგარიშებულია, რომ:

- უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში განადგურებული იქნა დამუშავებაში მყოფი მიწის ერთი მეოთხედი, ტყეების თითქმის ორი მესამედი;
- XX საუკუნის მეორე ნახევარში ყოველ ათ წელიწადში დედამიწაზე ნადგურდებოდა და ფუჭდებოდა ნაყოფიერი ნიადაგის თითქმის 7%;
- ყოველწლიურად მინდვრებიდან გაჰქონადათ და იკარგებოდა 26 მლრდ ტონა მიწის მოსავლიანი ფენა;
- ყოველ წელიწადს 6 მლნ ჰექტარით იზრდებოდა უდაბნოდ ქცეული მიწების მოცულობა;
- თუ ზემონახსენები პროცესები ასეთი ინტენსივობით გაგრძელდა (ე.ი. თუ კაცობრიობა გონს არ მოეგო და შესაბამისად არ შეცვალა თავისი ქმედობა), ბუნებას ტოტალური დეგრადაცია ემუქრება: მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწის ფართობების მთლიანად განადგურებას 50 წელიც კი არ დასჭირდებოდა.

ბა, ხოლო ტყეების აბსოლუტურ გადა-
შენებას – კიდევ უფრო ნაკლები დრო.

ბევრი მონაცემი მეტყველებს იმაზე, რომ კა-
ცობრიობას ემუქრება დედამიწაზე მთლიანობაში
კლიმატის შეცვლა – ტემპერატურის საერთო მატე-
ბა და ესეც პირველ რიგში თვით ადამიანის არა-
კონტროლირებად ეკონომიკურ საქმიანობასთან და
მნიშვნელოვანწილად მის შედეგთან – სტრატოსფ-
ეროში ოზონის ფენის გადარიბებასთან არის დაკავ-
შირებული¹. ამას მოწმობს ისიც, რომ დედამიწაზე
საერთო ტემპერატურის მაჩვენებელი მე-20 საუკუ-
ნეში (ე.ი. ბოლო 100 წლის განმავლობაში) უფრო
მეტად გაიზარდა, ვიდრე ამის წინა ათასწლეულში.

გამოდის, რომ ადამიანის ბუნებასთან ურთ-
იერთობის მასშტაბები ისეთი ხასიათისაა, მათ
შორის გაცვლა უკვე იმდენად დისბალანსურია, რომ
არსებობს რეალური საშიშროება, რომ კაცობრიო-
ბა თვითონვე მოსპობს დედამიწაზე თავისი ნორ-
მალური ცხოვრების (ან საერთოდ არსებობის)
პირობებს. ეს რომ არ მოხდეს, ადამიანებმა უნდა
შეცვალონ ბუნებისადმი თავიანთი მტაცებლური
დამოკიდებულება, შეწყვიტონ მისი უგუნური ექს-
პლუატაცია (რაც პირველ რიგში ამ მიმართულებით
უმართავ, უკონტროლო კერძო საქმიანობასთან არის
დაკავშირებული, თუმცა არც სახელმწიფოებრივი
საქმიანობა გამოირჩევა განსაკუთრებული გონივრუ-
ლობით), პირიქით, სცადონ იმის აღდგენა, რასაც
ჯერ კიდევ არ მიუღია შეუქცევადი ხასიათი. გასაგე-
ბია, რომ ამის გაკეთება (კონტროლი ამ მიმა-

¹ უკვე აღნიშნულია ამ ფენაში ოზონის შემადგენლობის 2%-ით შემცირება.
ამავდროულად ანტარქტიდაზე ოზონის „ხვრელის“ ფართობი ორჯერ
აღემატება აშშ-ის ტერიტორიას.

რთულებით კერძო და სახელმწიფო საქმიანობაზე, ბუნების დაცვისა და გაჯანსაღების ღონისძიებები) ძირითადად მხოლოდ საზოგადოებრივ (სახელმწიფოებრივ) საწყისებზე შეიძლება და მას მნიშვნელოვანი სახსრები (ე.ი. ამისათვის რესურსების ბეგარის სახით ამოღება) სჭირდება. 1970 წელს ბუნების დაცვის ღონისძიებებზე კაცობრიობამ 40 მლრდ დოლარი დახარჯა, 1980წ. – 75 მილიარდი, 1990 წ. – 150 მილიარდი, 2000წ. (პროგნოზით) – 250 მლრდ დოლარი. ციფრები შთამბეჭდავია, მაგრამ ეს ხარჯები ვერ შეედრება მიმდინარე და მომავალი ეკოლოგიური კრიზისის უარყოფით შედეგებს. საქმარისია აღინიშნოს, რომ ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნებიც კი გარემოს დაცვის ხარჯებს ახმარენ ერთობლივი ეროვნული პროდუქტის 1-2 პროცენტს, მაშინ როდესაც ზარალი, რომელსაც ისინი აყენებენ გარემოს, ტოლია მათი ეშპ-ის ღირებულების 4-6 პროცენტისა. გაანგარიშებულია ასევე, რომ მარტო განვითარებადმა ქვეყნებმა მიაყენეს გარემოს 1993-2000 წლებში 600 მლრდ დოლარის ტოლფასი ზარალი, გარემოს დასაცავად კი მისი მეთაფიც ვერ გაიღეს.

როგორც ვხედავთ, მდგომარეობა ძალზე რთული და პრობლემურია ფინანსების (დაბეგვრის საშუალებით მისი გადაწყვეტისათვის სახსრების მობილიზების) თვალსაზრისითაც: ერთი მხრივ, მეტის ამოღება გარდაუვალია, ამასთან (მეორე მხრივ) ეროვნული შემოსავლის გადანაწილების კუთრი წონის ზრდა გამოიწვევს მომავალში ეკონომიკის ბეგარისებური დატვირთვის გაზრდას, შესაბამისად, კერძო ბიზნესის შესაძლებლობების შეზღუდვას ეროვნული შემოსავლის წარმოებაში. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენს ქვეყანასაც ეხება, სადაც

ბუნების დაცვაზე დღესდღეობით მიზერული თანხები გამოიყოფა; მაშასადამე, აქედანვე აუცილებელია ეკოლოგიაზე ხარჯების მომატების უსრუნველსაყოფად სხვა, შედარებით ნაკლებად აქტიუალური და მწვავე სახელმწიფო ხარჯების მინიმუმამდე შემცირების საზოგადოებრივი (სახელისუფლო) განწყობის დამკვიდრება და ხორცცმესხმა.

მეტად სერიოზული სახელმწიფოებრივი ამოცანაა ეკონომიკის განვითარების გართულებებიდან, მისი გლობალიზაციის პროცესებიდან გამომდინარე პრობლემების რეგულირება – მოსწორება, ვინაიდან ამ განვითარებისთვის დამახასიათებელი იმანენტური ციკლური მოვლენების აბსოლუტური თვითრეგულირების პირობებში გადალახვას შეიძლება საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის მიუღებელი დახანება (დროის გაჭიანურებული პერიოდი) დასჭირდეს. ამის თავიდან აცილებისათვის (ეკონომიკის სტაბილური განვითარების აღდგენისათვის საჭირო დროის შემცირებისა და უარყოფითი მოვლენების მოქმედების შერბილებებისათვის) ხელისუფლებამ შეიძლება (და ხშირად აუცილებელია) გამოიყენოს მის ხელთ არსებული ეკონომიკური ბერკეტები, მ.შ. ფულის მიმოქცევაზე შემოქმედება და საგადასახადო პოლიტიკა¹. „*იმ ეკონომიკურ ბერკეტებს შორის*, - წერს პროფესორი

¹ აქვე შევნიშნავთ, რომ, ეკონომიკაში მომხდარ ცვლილებებთან ერთად, ბაზრის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს ჩარევის გაფართოებას ხელი შეუწყო (ეს პროცესი სარგებლიანი და მეტ-ნაკლებად მისაღები გახდა) თვით სახელმწიფოს ხასიათის თვისებრივმა შეცვლამ, მასში დემოკრატიის და საჯაროობის პრინციპების დამკვიდრებამ, რაც, თავის მხრივ, თვით საბაზრო დემოკრატიის (თავისუფალი კონკურენციის) განვითარებამ განაპირობა (ეს ჩვენი მოსაზრება არ ეწინააღმდეგება ადრე გამოთქმულ დებულებას, რომ ნებისმიერ მმართველ სტრუქტურას ნევატიური თვითზრდა ახასიათებს).

რ. კაკულია, - რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფო შემოქმედებას ახდენს საბაზრო ურთიერთობებზე, განსაკუთრებული ადგილი გადასახადებს უჭირავს"... საგადასახადო პოლიტიკა ფართოდ გამოიყენება „როგორც ბაზრის ნეგატიურ მოვლენებზე შემოქმედების განმსაზღვრელი რეგულატორი“.

სწორედ საგადასახადო პოლიტიკით (გადასახადის განაკვეთის ცვლილებებით – გონივრული მანიპულირებით, სხვადასხვა შეღავათების დაწესებით), დაბეგვრის საშუალებით ბაზარზე მოთხოვნა – მიწოდების სასურველი შეცვლით ახდენს ხელისუფლება ზეგავლენას დანაზოგებზე, შესაბამისად, სახალხო მეურნეობაში კაპიტალის დაგროვებაზე და ეკონომიკურ ზრდაზე, ზრდის ტემპებზე როგორც მთლიანად, ისე ცალკეულ დარგებში და რეგიონებში, მოსახლეობის გადახდისუნარიანობაზე, მეცნიერულ – ტექნიკური პროგრესის განვითარებაზე. საგადასახადო პოლიტიკას და სუბსიდიებს სახელმწიფო იმისთვის გამოიყენებს, რომ დაასტიმულოს ბიზნესის, მისი (სახელმწიფოს) აზრით, საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობა. აშშ-ში, მაგალითად, ზაფხულის არდადეგების პერიოდში მოზარდთა სამუშაოზე მიღების სტიმულირებისათვის სახელმწიფოს მიერ დაწესებულია საგადასახადო შეღავათები; ბევრ ქვეყანაში საგადასახადო შეღავათებს ავრცელებენ იმ ფირმებზე, რომლებიც განათავსებენ (მოაწყობენ) წარმოებას მაღალი უმუშევრობის დონის რეგიონებში. ეს კი კერძო ბიზნესის საქმიანობის რეგულირებაა, რა თქმა უნდა. ასეთი ქმედობა (სუბსიდიები და საგადასახადო შეღავათები) უფრო ეფექტიანია, ვიდრე ამა თუ იმ საქონელ –

¹ რ. კაკულია. ფინანსების ზოგადი თეორია, გვ. 160.

მომსახურების სახელმწიფო საწყისებზე წარმოება.

მას საფუძვლად უძევს ფართოდ აღიარებული დებულება, რომ იმ კერძო ფირმებსაც კი, რომელთა საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება ხდება, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების უფრო ძლიერი სტიმული ამოძრავებთ, ვიდრე სახელმწიფო საწარმოებს¹; ამიტომ ამა თუ იმ სიკეთის წარმოების ორგანიზება – გაფართოებისათვის, სადაც კი ეს შესაძლებელია, მიზანშეწონილია ამის კერძო საწყისებზე გაკეთება.

არის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სხვა მიმართულებებიც, რომლებსაც ზოგან იყენებენ და ზოგან პრინციპულად არა, ერთნი უჭყრენ მხარს მეცნიერებაში, სხვები კატეგორიულად წინააღმდეგი არიან. ეკონომიკის რეგულირებაა, მაგალითად, სახელმწიფო შესყიდვები, რომლებსაც (განსაკუთრებით მათ ცვლილებებს) მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყანაში იყენებენ, ეყრდნობიან რა ბიუჯეტის ბეგარისებურ შემოსავალს. ყოველ შემთხვევაში, დღეს რომ სახელმწიფოს ეკონომიკის გარკვეულწილად მარეგულირებელი ფუნქცია გააჩნია² და ამის განხორციელების მაგისტრალური გზა საგადასახადო პოლიტიკაში ძევს, ეს ფართოდ აღიარებული მოსაზრებაა და ჩვენც ამ პოზიციაზე ვდგავართ. სერიოზული სახელმწიფო ქმედობის პრობლემაა სა-

¹ სხვათა შორის, კაპიტალის და შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებლები საქართველოს ეკონომიკის არასახელმწიფო სექტორში. სახელმწიფო სექტორთან შედარებით, 1999 წელს მეტი იყო, შესაბამისად, 2,5-ჯერ და 1,3-ჯერ (საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალები).

² და არა უმნიშვნელოვანესი, როგორც ზოგჯერ აღნიშნავენ. გადამწყვეტი როლი საბაზრო ეკონომიკაში კვლავინდებურად ბაზარს, თვითრეგულირების მექანიზმებს ეკუთვნის.

ბაზრო ეკონომიკის განვითარებისათვის დამახასიათებელი მონოპოლიური ტენდენციები. სახალხო მეურნეობაში მონოპოლიის წარმოქმნის შემთხვევაში საბაზრო მექანიზმები იზღუდება, ქრება, რასაც შეიძლება ეკონომიკური რესურსების არარაციონალური, არაეფექტიანი განაწილება მოჰყვეს. ამ ნეგატიური მოვლენის შეკვეცა-ნეიტრალიზაციისათვის, ადმინისტრაციულ მეთოდებთან ერთად (მონოპოლიის კანონით აკრძალვა-დაშლა), წარმატებით გამოიყენება საგადასახადო პოლიტიკაც.

დაბოლოს (არა მნიშვნელობის თვალსაზრისით), სახელმწიფოს ფუნქციების (საქმიანობის და, შესაბამისად, ამის ანაზღაურების) გაფართოება განაპირობა სასოგადოების განვითარების კვალობაზე საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი მწვავე სოციალური პრობლემების შეგნებულად გადაწყვეტა-მოსწორების (შემსუბუქების) აუცილებლობამ. ცნობილია, რომ ეკონომიკის თვითრეგულირების საწყისებზე განვითარებას თან სდევს შექმნილი ეროვნული შემოსავლის განაწილებაში უთანასწორობის პერმანენტულად გაღრმავება, მაღალ- და დაბალშემოსავლიანებს შორის დოვლათსიკეთის მოხმარების მრავალჯერადი (მრავალათეულ- და მრავალასეულჯერ) განსხვავებულობის წარმოქმნა¹. გარდა იმისა, რომ ამ მოვლენამ შეიძლება პრობლემები შექმნას, გაამწვავეს ურთიერთობები სასოგადოების ჯგუფებს (კლასებს),

¹ მაგალითად. ისეთ მდიდარ ქვეყანაშიც კი, როგორც აშშ-ია, მოსახლეობის 14% აბსოლუტურ სიღარიბეში ცხოვრობს; აქვე მოსახლეობის მაღალშემოსავლიანი 5% ღებულობს ერთობლივი შემოსავლის 16%, ხოლო ღარიბი 20% - მხოლოდ 5% (ეკონომიკური თეორია. სახელმძღვანელო/გ. ადვიშვილის და რ. ასათიანის რედაქციით. - თბილისი: „სიახლე“, 1998, გვ. 451).

აგრეთვე (გლობალური თვალსაზრისით) სხვადასხვა რეგიონების ხალხთა შორის, ეს სულ უფრო ზნეობრივად მიუღებელი ხდება (კვილიშებული სამყაროსათვის. ამიტომ შემოსავლის განაწილებაში, ცხოვრების დონეში მკვეთრი განსხვავებულობის (ზნეობრივად და სოციალური სიმშვიდის უზრუნველყოფის, აგრეთვე თვით ეკონომიკური ზრდის მიღწევის და განაწილებით ურთიერთობებში სამართლიანობის დამკვიდრების თვალსაზრისით) შეგნებულად მოსწორება სახელმწიფომ უნდა იკისროს და პრაქტიკულად კისრულობს კიდევაც ყველგან. „თავისუფალი კონკურენციის პირობებში (laissez faire), - წერდა პ. სამუელსონი, - შემოსავალი და სიმდიდრე ნაწილდება ძალზე უთანაბროდ. შერეული ეკონომიკა რამდენადმე შეარბილებს და მოასწორებს განაწილებით უთანასწორობას, რომელიც ასე დამახასიათებელია თავისუფალი კონკურენციის რეჟიმისათვის“¹.

ამიტომ არის, რომ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების ბიუჯეტების საგასაველო ნაწილში თითქმის ყველგან სერიოზული ადგილი უჭირავს მთლიანად სოციალურ ხარჯებს. ჩვენი თემის პოზიციიდან კი ამან ასახვა ჰპოვა იმაში, რომ ბოლო ათეულ წლებში პრაქტიკულად ყველა განვითარებული ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავლის სტრუქტურაში გაიზარდა სოციალური დაზღვევის და საშემოსავლო გადასახადის კუთრი წონა, ასევე თითქმის ყველგან შემოსავლის დაბეგვრისას გამოიყენება პროგრესიული განაკვეთები. ამასთან სპეციალურად გვინდა ხაზი გავუსვათ იმას, რომ არასწორია მოსაზრება,

¹ П. Самуэльсон. Экономика. В 2 т.-Москва: НПО Алгон. ВНИИСИ, 1992, том 2, стр 357.

თითქოს სოციალური საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მისი (ეკონომიკის) საგადასახადო რეგულირების ამოცანას მოსახლეობის ქონებრივი გამოთანაბრება წარმოადგენს, როგორც ეს ზოგიერთ ავტორს მიაჩნია¹. ბეგარისათვის ასეთი ფუნქციის დაკისრება, ჩვენი აზრით, ფაქტობრივად თავისუფალ საბაზრო ურთიერთობებზე უარის თქმას ნიშნავს; სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაში მართლწოდებულია შემოსავლების მკვეთრი (მრავალჯერადი) განსხვავებულობის (შესაბამისად, საზოგადოების ძალზე მდიდრებად და დატაკებად დაყოფის) მეტ-ნაკლებად მოსწორების ამოცანის დაყენება – გატარება, და, როგორც ჩვენ ვამტკიცებთ, შრომის ბაზარზე უთანასწორო (არაადეკვატური) პირობების კვალობაზე შრომაზე, როგორც წარმოების ფაქტორზე, ეროვნული შემოსავლის წილის ასევე უთანასწორო, შრომისათვის საზიანო განაწილების განეიტრალება.

საბაზრო ეკონომიკაში სოციალური პრობლემების გადაწყვეტა – მოგვარების საკითხში სახელმწიფოს როლი და ამაში საბიუჯეტო – საგადასახადო პოლიტიკის გამოყენება რთული და მრავალმხართულებიანი თემაა; ჩვენ კი მხოლოდ ერთ საკითხზე შევჩერდებით უფრო დეტალურად, რომელიც აქტუალურად მიგვაჩნია და რომლის გაშუქებაში გარკვეულწილად საკუთარ მიდგომებს ჩამოვაყალიბებთ. ეს არის, როგორც ჩვენ ვთვლით და რის დასაბუთებასაც შევუდგებით, ის, რომ ეროვნული შემოსავლის წარმოების ფაქტორებზე სუფთა საბაზრო პრინციპებზე დაყრდნობით განაწილებისას

¹ Черник Д. Г., Починок А. П., Морозов В. П. Основы налоговой политики. стр. 22.

სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო შრომის, როგორც წარმოების ფაქტორის, კაპიტალთან შედარებით პერმანენტულად დასარაღება ხდება, მის მიერ კუთვნილზე (მის მიერ შექმნილზე) ნაკლების მიღებას აქვს ადგილი¹.

როგორც ცნობილია, წარმოების ფაქტორების ზღვრული მწარმოებლურობის თეორიის შესაბამისად ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის პირობებში ამ ფაქტორების მესაკუთრეები წარმოებულ ეროვნული შემოსავლის იმ წილს ეუფლებიან, რომლის შექმნაც უზრუნველყო მათმა წარმოების ფაქტორმა. ე.ი. წარმოებას და განაწილებას ერთი საფუძველი აქვს – ფაქტორების ზღვრული პროდუქტი. ეს იმას ნიშნავს, რომ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა თვითონ, საზოგადოების (სახელმწიფოს) ჩარევის გარეშე განაპირობებს განაწილებითი ურთიერთობების სამართლიანობას, ანუ განზოგადებულად, მთლიანობაში ორივე ძირითადი სამეურნეო კონტრაქტის² მიერ წარმოებულ ეროვნული შემოსავლის იმ წილის მიღებას, რომლის შექმნაც უზრუნველყო მათ ხელთ არსებულმა წარმოების ფაქტორმა. მაშასადამე, ფაქტობრივად დადასტურებულია ეროვნული შემოსავლის წარმოებაში და განაწილებაში ავტომატიზმისა და ერთდროულობის ობიექტურად არსებობის დებულება. ეს ობიექტური განპირობებულობა დაკავშირებულია შესაბამისი წარმოების ფაქტორის ზღვრული ერთეულის მწარ-

¹ ჩვენ, რა თქმა უნდა, გვესმის, რომ განაწილებითი ურთიერთობების კვლევა პირდაპირ ვერ "ჯდება" წინამდებარე თემაში, მაგრამ მას აქ იმიტომ ვიხილავთ, რომ ამ საქმეში უსამართლობის დაძლევისათვის საჭიროა საგადასახადო პოლიტიკის გამოყენება; ეს კი უკვე საგადასახადო ტვირთია.

² ჩვენს მსჯელობაში ჩართული გვაქვს წარმოების მხოლოდ ორი ფაქტორი – შრომა და კაპიტალი და მათი მფლობელები.

მოებლურობასთან, ხოლო ამ ერთეულის წარმოებაში ჩართვა - ბაზრის კონიუნქტურასთან.

მიუხედავად ამ დებულების მართლზომიერება-დამაჯერებლობისა, განაწილების პრობლემის კვლევა კვლავინდებურად გრძელდება და ამის საფუძველი რეალურად არსებობს. განაწილებითი ურთიერთობების სამართლიანობაში როგორც ადრე, ისე დღესაც სხვადასხვა პოლიტიკური და ეკონომიკური სკოლები, მიმართულებები, ძალები განსხვავებულ შინაარსს დებენ. ჩვენ ამ სოციალურ - ეკონომიკურ კატეგორიაში წარმოების ფაქტორების მესაკუთრეებზე სათანადო ფაქტორის საწარმოო მომსახურების შედეგიანობის შესაბამისად განაწილებას ვგულისხმობთ და მიგვაჩნია, რომ საბაზრო ეკონომიკაში მისი თვითრეგულირების და თავისუფალი კონკურენციის, თავისუფალი ფასების საწყისებზე ფუნქციონირება ის მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოფს ძ ი რ ი თ ა დ ა დ წარმოების ფაქტორების მესაკუთრეების მიერ ეროვნული შემოსავლის იმ წილის დაუფლებას, რომლის შექმნაც განაპირობა შესაბამისი ფაქტორის ზღვრულმა მწარმოებლურობამ. ამასთან, ისევე საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების პრინციპებიდან გამომდინარე, მიგვაჩნია და ამ პრინციპებზე დაყრდნობით ვცდილობთ დავამტკიცოთ, რომ ეს კანონზომიერება მხოლოდ მართლზომიერი თეორიული კონსტრუქციაა, რომელიც სხვადასხვა ობიექტური მიზეზების არსებობის და მოვლენების ზეგავლენის გამოსისტემატურად ირღვევა და მხოლოდ ტენდენციად რჩება. ეს „დარღვევა“ კი, როგორც წესი, ერთი ფაქტორის - შრომის (მისი მესაკუთრის) საზიანოდ ხდება და დაკავშირებულია პირველ რიგში წარმოების ფაქტორების (შრომის და კაპიტალის) როგორც

განსოგადებულად საქონელთა თვისებრივ განსხვავებულობასთან და მათი მფლობელების ბაზარზე რეალურად არათანასწორ მდგომარეობასთან.

რა გვაქვს მხედველობაში?

ნებისმიერი სასოგადოების არსებობისათვის აუცილებელი წარმოების ორგანიზაციისათვის საჭიროა წარმოების ფაქტორები – შრომა და კაპიტალი. მათი მფლობელები – მუშები და კაპიტალისტები იურიდიულად ბაზრის თავისუფალი, თანაბარუფლებიანი სუბიექტებია და წარმოების ორგანიზაციისათვის საჭირო შრომის ყიდვა – გაყიდვაზე თავისი სურვილით მიდიან. დავსვათ კითხვა (და ვუპასუხოთ მას): რა უძევს საფუძვლად მათ ამ სურვილს და რა მოტივაცია უბიძგებს მათ, რომ ამ გარიგებაზე წავიდნენ?

შრომის გაყიდვის ხელშეკრულებაზე მუშის წასვლას პირდაპირ განაპირობებს (განსაკუთრებით კაპიტალიზმის განვითარების ადრინდელ პერიოდში, როდესაც მას, სამუშაოს შესრულების შესაძლებლობის გარდა, სხვა სიკეთე არ აბადია, არავითარი დანახოგი არა აქვს) პირველადი, საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სურვილი – აუცილებლობა. კაპიტალისტს კი მოგების მიღების მიუხეტი ამოდრავებს. გასაგები უნდა იყოს, რომ ამ ორი მოტივაციიდან პირველის მამოდრავებელი ბიძგი უფრო ძლიერია, უფრო გადაუდებელია: მუშას (არა ცალკეულ მუშაკს, არამედ მთელ მუშათა კლასს) არ შეუძლია დაახანოს შრომის გაყიდვა და დაელოდოს (კვალებად ბაზარზე მისთვის შრომის გაყიდვის (მისი ანაზღაურების) უკეთეს პირობებს. ის ფაქტობრივად იძულებულია შეერიგდეს ბაზარზე არსებულ ვითარებას და მყისვე წავიდეს გარიგებაზე. კაპიტალისტს კი მის ხელთ არსებული დოვ-

ლათი უმაგრებს პოზიციას: მიუხედავად მოგების დაუყოვნებლივ მიღების ძლიერი სურვილისა, მას შეუძლია გარიგების პირობების გაუმჯობესებისა და, საბოლოო ჯამში, მეტი მოგების მიღების იმედით დააყოვნოს გარიგებაზე წასვლა. დაელოდოს უფრო ხელსაყრელ ვითარებას. გამოდის, რომ ბაზარზე მხარეების შემოხსენებული თანაბარუფლებიანობა მათი მკვეთრად განსხვავებული მატერიალური მდგომარეობის, ასე ვთქვათ, სხვადასხვა ქონებრივი ძალის გამო გარკვეულწილად ფორმალურ ხასიათს ატარებს და საყოველთაო განხორციელების რეალურ საფუძველს მოკლებულია. შედეგად ამისა, ბაზარზე მთლიანობაში შრომის მიწოდება – მოთხოვნის წონასწორობის ფასი, რომელიც განსაზღვრავს შექმნილი ეროვნული შემოსავლის წარმოების ფაქტორებზე განაწილებას, როგორც წესი, იმაზე დაბლა მყარდება, ვიდრე ეს მოხდებოდა კაპიტალის მესაკუთრეთა და დაჭირავებულ მუშაკთა გარიგებაზე წასვლის მიუხედავად (მოტივაციის, ბიძგის) და მათი სამეურნეო ძალის შესადარისობის პირობებში. სწორედ ამას ვუწოდებთ ჩვენ შრომის ექსპლუატაციას.

აქვე უპრიანი იქნება კიდევ ერთ გარემოებას გავეხვით ხაზი, რომელიც ასევე შრომის ბაზრის კონტრაქტებს ეხება. საბაზრო ეკონომიკის (კაპიტალიზმის) განვითარებას ბაზარზე მარტო მუშათა კლასის მდგომარეობის განმტკიცების და მხარეთა მდგომარეობის თვისებრივი განსხვავებულობის მოსწორება – წაშლის ტენდენციები კი არ ახასიათებდა; პირიქით, სოციურთი მოვლენა საწინააღმდეგოდ მოქმედებდა. ეკონომიკაში მონოპოლიზმის განმტკიცება აძლიერებდა წარმოების ფაქტორების ბაზარზე კაპიტალის მესაკუთრეთა პოზიციას და

ასუსტებდა დაქირავებულ მუშაკთა მდგომარეობას, ამცირებდა ფაქტორ „შრომის“ წონასწორობის ფასს და, შესაბამისად, შრომის ანაზღაურების წილს ეროვნული შემოსავლის განაწილებაში. როგორც არასრულყოფილი კონკურენციის თეორიის ავტორი, ინგლისელი მეცნიერი ჯ. რობინსონი აღნიშნავდა, „*მართვის ერთეულის ზრდა აუცილებლად უწყობს ხელს სიკეთეთა განაწილებაში კიდევ უფრო მეტ უსამართლობას*“! რა თქმა უნდა, მონოპოლიური ტენდენციები ზემოქმედებდა კაპიტალის არამონოპოლიზებული მესაკუთრეების ინტერესებზეც, მაგრამ მთლიანობაში მაინც სწორედ კაპიტალის მესაკუთრეთა პოზიციებს ამაგრებდა და ამწვავებდა სოციალურ კონფლიქტებს (ამას კი პირველ რიგში შექმნილი „ღვესელის“ განაწილების შესაძლო შეცვლა ედო საფუძვლად).

გამოდის, რომ რეალური თანაბარუფლებიანობის დამყარების, შესაბამისად, შექმნილი ეროვნული შემოსავლის მთლიანად (ბოლომდე) სამართლიანი (წარმოების ფაქტორების მწარმოებლურობის კვალთბაზე) განაწილების უზრუნველყოფის უძღურობა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის იმანენტური ნაკლოვანებაა გარკვეულწილად, „ბაზრის ჩაყარდნა“, რომელიც, სხვა ნაკლოვანებების ანალოგიურად, ყოველმხრივ გათვლილ – გააზრებული სახელმწიფო რეგულირების საწყისებზე უნდა გადაიღახოს.

ბაზარზე არათანაბარი სამეურნეო ძალა განაწილებით ურთიერთობებში შრომისათვის უსამართლობის განპირობების ერთი მხარეა. არის სხვა

¹ Робинсон Дж. Экономическая теория несовершенной конкуренции. – М.: Прогресс, 1986, стр. 481. (ბაზასმა ჩვენსა – ავტ.).

მიზეზებიც, რომლებიც იმავე მიმართულებით მოქმედებს და ასუსტებს ბაზარზე დაქირავებულ მუშაკთა პოზიციას. ცნობილია, რომ კაპიტალისტების საკუთრების ობიექტი ბაზარზე შრომის დაქირავების დროს გამოდის როგორც ფულადი კაპიტალი. ფული კი საქონელთა შორის ყველაზე ლიკვიდურია, მის რეალიზაციას, თუ შეიძლება ასე ითქვას, არ გაანინია გამოყენების მიმართულებითი შესლუდვები. ერთი და იგივე მესაკუთრის ფული ერთნაირად საჭიროა ყოველგვარ წამოწყებაში და სამეურნეო საქმიანობის ნებისმიერი მიმართულებით. ის, ვინც კაპიტალს ყიდულობს, იმაზე არ ფიქრობს, თუ რა ფულზეა საუბარი, რა კუპიურებისაგან შედგება ის, ვის ხელში გაიარა და ა.შ. ამიტომ არის, რომ კაპიტალის რეალიზაციის ფასი (სასესხო პროცენტი) პრაქტიკულად ყველასათვის ნიველირებულია, ხოლო ფულის გაყიდვა ამ გასაშუალებული ფასით მეტად გაადვილებული.

სხვა საკითხია დაქირავებული მუშაკების საკუთრების – შრომის რეალიზაცია. ის ბაზარზე ყოველთვის გამოდის როგორც კონკრეტული სამუშაოს შესრულების უნარი, როგორც მეფოლადის, მენეჯერის, ექიმის, ინჟინრის, ზეინკლის, ბუღალტრის და სხვათა განსაზღვრული კვალიფიკაციის შრომა. ამიტომ მის გასაყიდად საჭიროა ამ შრომის (და არა საერთოდ შრომის) მყიდველის მონახვა; კაპიტალის რეალიზაციისათვის კი (მოგების მიღებისათვის მის გამოსაყენებლად) საკმარისია, რომ არსებობდეს კაპიტალზე საერთო მოთხოვნა. ეს არის სწორედ ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ არის შრომის მიწოდება უფრო ნაკლებად ელასტიკური (უპირველეს ყოვლისა, ბაზრის კონიუნქტურის ცვლილებების კვალობაზე მისი მიწოდების შემ-

ცირების თვალსაზრისით), ვიდრე კაპიტალის მოწოდება; დროის მოკლე პერიოდში შრომაზე მოთხოვნა კი (ეს ხომ მეტად მნიშვნელოვანია მისი ყოველი გამყიდველისათვის!) ფაქტობრივად სრულიად არაელასტიკურია.

ფასის მიმართ შრომის არაელასტიკურობას, ხემომინიშნებულ მიზეზთან ერთად, კიდევ უფრო ამძიმებს, შესაბამისად, ბაზარზე დაქირავებულ მუშაკთა მდგომარეობას კიდევ უფრო ასუსტებს ქვეყნებს შორის სამუშაო ძალის გადაადგილების სხვადასხვა ადმინისტრაციულ – პოლიტიკური შეზღუდვები და ენობრივი ბარიერი. გარდა ამისა (და ესეც სამუშაო ძალის მოწოდების ნაკლებად ცვალებად ხასიათს განაპირობებს), როგორც პოლ სამუელსონი აღნიშნავდა, „აღამიანი, გასაგებია, არ უნდა განვიხილოთ, როგორც უბრალოდ საქონელი“¹. მართლაც რომ აღამიანები კაპიტალი არ არიან: მათი ტერიტორიული და დარგთაშორისი გადაადგილება მარტო მატერიალური გამორჩენით არ განისაზღვრება. ადამ-წესები, ჩვეულებები, ნათესავ – ახლობლების არსებობა, საცხოვრებელი ადგილისადმი (სამშობლო, მშობლიური კუთხე) სიყვარული – შენევეა და სხვა ანალოგიური პარამეტრები, რომლებსაც ანგარიშს უწყევს პიროვნება სამუშაოს შეცვლის დროს, განაპირობებს იმას, რომ სამუშაო ძალა ნაკლებად მოძრავია. მრავალი სოციალური გამოკვლევები მოწმობს, რომ სასოგადოების ფენებს შორის სწორედ მუშათა კლასი (ე.ი. დაქირავებული მუშაკების ძირითადი ნაწილი) ფსიქოლოგიურად, თავისი მეტაფიზიკით უფრო ერთგულია (უფრო „მიბმულია“) თავისი ნათესავების და სკეული გარე-


¹ Самуэльсон П. Экономика, т. 2, стр. 171.

მოსი, ისინი უფრო ძნელად იცვლიან საცხოვრებელ ადგილს. „მათ არ სურთ შეიცვალონ სამუშაო და გადავიდნენ სხვაგან საცხოვრებლად. ისინი ამას აკეთებენ, როდესაც იძულებული არიან, და ეს იშვიათად არის მათი საკუთარი არჩევანი“¹. შრომის ნაკლები ელასტიკურობაა უეჭველად ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ შრომის თანაბარი მოცულობების ანაზღაურება სხვადასხვა ადგილებში უფრო ჭრელია, განსხვავებულია, ვიდრე სვეულებრივი საქონელ – მომსახურების ფასი და საპროცენტო განაკვეთი. ამასთან შრომის ასეთი დაბალი ელასტიკურობა ასუსტებს მთლიანობაში სამუშაო ძალის პოზიციას შრომის ბაზარზე.

მაშასადამე, გამოდის, რომ შრომის, როგორც საქონლის, ხასიათი იმდენად სპეციფიკურია, იმდენად თავისებრივად განსხვავებულია, რომ ყველაზე თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების პირობებშიც კი საჭიროა გარკვეული სახელმწიფო (საზოგადოებრივი) შეწვევა, რომ მის მფლობელს ეროვნული შემოსავლის ის წილი ერგოს, რომელიც რეალურად იქნა წარმოებული ამ ფაქტორის მიერ და რომელსაც ის მიიღებდა, რომ არა შრომის ფაქტორის ასეთი სპეციფიკურობა. ეს იმას ნიშნავს, რომ თავისუფალი ბაზრის კონიუნქტურა (განსაკუთრებით კაპიტალიზმის განვითარების ადრინდელ, საწყის პერიოდში) თითქმის ყოველთვის კაპიტალისტისათვის უფრო სასარგებლოა, უფრო მისაღებია, ვიდრე მუშისათვის. ამიტომ შრომის მიწოდების და მასზე მოთხოვნის წონასწორობის დონის წმინდა საბაზრო ურთიერთობებზე დაყრდნობით

¹ Тоффлер. Шок будущего. Пер. с англ. – М.: ООО “Изд-во АСТ”. 2001, стр. 135.

ჩამოყალიბება თავისთავად გულისხმობს განაწილებით ურთიერთობებში გარკვეულ უსამართლობას. მეწარმე ჩვეულებრივად იმაზე მეტის მიღებას აღწევს, რაც მას სამართლიანად კაპიტალზე (ასევე საკუთარ შრომასა და ნიჭზე) ეკუთვნის, მუშაკი კი იძულებულია დაუთმოს მას თავის შრომაზე კუთვნილი შემოსავლის ნაწილი. ბაზარზე მისთვის ასეთ პერმანენტულად ხელსაყრელ კონიუნქტურასთან დაკავშირებით კაპიტალის მესაკუთრე კაპიტალზე თავისებურ წანამატს („გარო-ცხიმს“) იღებს და სწორედ ეს არის შრომის ექსპლუატაცია და ექსპლუატაციის წყარო. ეს მოვლენა გრაფიკულად შეიძლება შემდეგნაირად გამოვსახოთ:



გრაფიკის შვეულ ღერძზე განთავსებულია შრომის ანაზღაურება (P), ანუ (რაც იგივეა) შრომის წილი ეკ-ში, გრაფიკის თარაზე ღერძზე კი განთავსებული გვაქვს შრომაზე მოთხოვნის (D) და შრომის მიწოდების (S1 და S2) მოცულობები.

დავეუშვათ, რომ კაპიტალის მესაკუთრეთა და დაქირავებულ მუშაკთა გარიგებაზე წახვლის მიხედვის (მოტივაციის, ბიძგის) ტოლობის და სხვა მიზეზების ადეკვატურობის შემთხვევაში¹ ჩამოყალიბდებოდა შრომის წონასწორული P_1 ფასი (S_1 მიწოდებისა და D მოთხოვნის მრუდების გადაკვეთა). რეალურად კი მაშინ, როდესაც დაქირავებულ მუშაკებს საკუთრებაში არავითარი დოვლათ-სიკეთე არ გააჩნიათ, რომ უკეთესი პირობების მიღებას შეეცადონ (დაელოდონ), ამასთან დაბალია მათი ორგანიზებულობის დონე, რომ ერთიანად (ერთ ძაღად და არა დაქსაქსულად) წარდგენენ ბაზარზე, და მოქმედებს სხვა შემოგანხილული მიზეზები, ისინი იძულებული არიან დათანხმდნენ თეორიულად სამართლიანად აღიარებულ პირობებთან შედარებით უფრო უარესზე. შრომის მიწოდების მრუდი მარჯვნივ – დაბლა გადაადგილდება, შრომის წონასწორობის ფასი კი იქნება P_2 (S_2 მიწოდების მრუდის და D მოთხოვნის მრუდის გადაკვეთა). შრომის ანაზღაურების შემცირება (მანძილი P_1 -დან P_2 -მდე) კი იქნება ის ნამეტი „გარო-ცხიმი“, რომელსაც კაპიტალის მესაკუთრე ღებულობს ეკპ-ის სამართლიან განაწილებასთან შედარებით. ამ შემცირების მოცულობის შეფარდებას შრომის საერთო ანაზღაურებასთან შეიძლება ექსპლუატაციის ნორმა ვუწოდოთ.

დროთა განმავლობაში კაპიტალიზმის განვითარების, კერძო საკუთრების თვისებრივი ცვლილებ-

¹ გასაგებია, რომ შესაბამისი საზღაურის ტოლობაზე კი არა გვაქვს საუბარი (ისინი რა თქმა უნდა, სხვადასხვაა და მათ სხვა თანაბარ პირობებში წარმოების ფაქტორების მწარმოებლურობა განაპირობებს, ე.ი. თავისთავად არაერთნაირი იქნება), არამედ იმაზე, თუ რამდენად ძალუძს ამა თუ იმ მხარეს არ წავიდეს გარიგებაზე და მოიცადოს ბაზარზე მისთვის უკეთესი კონიუნქტურის ჩამოყალიბებამდე.

ის (საკუთრების გაფანტვა-დიფუზია), მუშათა კლასის ორგანიზებულობის განმტკიცების (პროფკავშირები) და მატერიალურად მომძლავრების (მის მიერ გარკვეული სიკეთის მონაგრების), აგრეთვე სახელმწიფო პოლიტიკის გატარების (ხელფასის მინიმუმი¹, უმუშევრობისაგან დაზღვევა, ანტიმონოპოლიური პოლიტიკა და სხვ.) შედეგად მუშათა კლასის მდგომარეობა ბაზარზე თანდათანობით უკეთესობისაკენ იკვლება, რაც განაწილებით ურთიერთობათა თვისებრივ ცვლილებებში გადაისრდება – იკვეცება და მნიშვნელოვანწილად ქრება ექსპლუატაცია, ეცემა მისი ნორმა.

მაგრამ განაწილებით ურთიერთობებში სამართლიანობის დამყარების (შემოსავლის ფაქტორების ზღვრული მწარმოებლურობის შესაბამისად რეალურად გაყოფის უზრუნველყოფის) მთავარი სახელმწიფო ბერკეტი საგადასახადო პოლიტიკაში ძვეს². ბეგარის საშუალებით შრომის ექსპლუატაციის განეიტრალება (მოსწორება) შეიძლება მიღწეულ იქნეს კაპიტალზე (ქონებაზე) შემოსავლის (შრომის შემოსავალთან შედარებით) უფრო მაღალი საგადასახადო განაკვეთების დაწესებით, აგრეთვე საერთოდ შემოსავლის პროგრესიული განაკვეთებით დაბეგვრით. ვფიქრობთ, ასეთი მიდგომის მართლსაზიარება პირდაპირ გამომდინარეობს კლებადი ზღვრული სარგებლიანობის კონცეფციიდანაც: მდიდრის მიერ ერთი ღარის გაღება მისი საერთო სარგე-

¹ შევეცაში ხელფასის მოცულობა საერთოდ ეროვნულ დონეზე განისაზღვრება და ამაში მთავრობა ხშირად წამყვან როლს ასრულებს.

² გასაგებია, რომ ამ მიმართულებით მოქმედებს (გარკვეული წინააღმდეგობრიობის მიუხედავად) აგრეთვე სამუშაო დღის ხანგრძლივობის შეზღუდვა, შრომის ყიდვა – გაყიდვაზე კოლექტიური ხელშეკრულებების დადება და სხვ.


ბლიანობის ნაკლებად შემცირებას იწვევს, ვიდრე იგივე ერთი ღარის გადანაწილებას მოაქვს ღარობისათვის.

ამას რომ ვასაბუთებთ, აუცილებლად მიგვანინია იმის აღნიშვნაც, რომ მუშათა ორგანიზებულობაში მონოპოლიზმის გაჩენა-განმტკიცების და ხელისუფლების მიერ დაქირავებულ მუშაკთა აუცილებელზე მაღალი დონის მხარდაჭერის (გონივრულზე მაღალი მინიმალური ხელფასის და ხანმოკლე სამუშაო დღის დაწესება) შემთხვევაში ამ პროცესმა შეიძლება საწინააღმდეგო ნეგატიური ხასიათიც კი მიიღოს. ეს მოხდება მაშინ, როდესაც ბაზარზე მუშათა კლასის არახელსაყრელი მდგომარეობის „მოსწორების“ ზემოხსენებული შეგნებული ღონისძიებები ოპტიმალურ ზღვარს გადააჭარბებს, ე.ი. უსამართლო განაწილებას იმდენად „მოასწორებს“, რომ გამოიწვევს მეწარმეობრივი საქმიანობის მნიშვნელოვან შემცირებას (ან საერთოდ ჩაკვლა-ჩახშობას) და ხელს ააღებინებს მეწარმეს კაპიტალის დაბანდებაზე, უბიძგებს მას მეტიც მოხმარებისაკენ, ე.ი. ეკონომიკური ზრდის მუხრუჭი გახდება.

ეს მოსაზრება გრაფიკზე შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ (იხ. ნახ.).

როგორც გრაფიკიდან ჩანს, მუშათა კლასის მატერიალურად მომძლავრების, ასევე სასოციალური მიზანმიმართული ქმედობის (პროფკავშირების საქმიანობა და მათ მიერ შრომის დაქირავებაზე კოლექტიური ხელშეკრულებების დადების პრაქტიკის შემოღება, უმუშევრობისაგან დაზღვევა, აგრეთვე დაქირავებული მუშაკების ინტერესების დაცვისაკენ მიმართული ხელისუფლების სხვა ღონისძიებები) შედეგად შეიძლება მიღწეულ იქნეს

შრომის მიწოდების მრუდის (S_2 -ის) მარცხნივ – მაღლა გადაწევა და შრომის ანაზღაურების გადიდება (შესაბამისად, ეკპ-ის განაწილებაში დაქირავებულ მუშაკთა წილის გაზრდა). ეს პროცესი ნორმალური, მისაღები და სამართლიანია, სანამ S_2 მრუდი არ დაემთხვევა (არ დაედება) S_1 მრუდს, სანამ შრომის ანაზღაურება არ გახდება P_1 -ის ტოლი, ანუ სანამ ბაზარზე ეკპ-ის სამართლიანი განაწილება არ დამკვიდრდება (ე.ი. წარმოების ფაქტორების მწარმოებლურობის ადეკვატური).



შრომის მოცულობა

ნახ. 2. შრომის არახელსაყრელი მდგომარეობის მოსწორება და მოსწორების გადამეტება.

თუკი შრომის მიწოდების მრუდის მარცხნივ გადაადგილება (შესაბამისად, შრომის ანაზღაურე-

ბის P_1 დონეზე მაღლა გაზრდა) ამის შემდეგაც გაგრძელდება (ეთქვათ, S_3 მრუდამდე P_3 ანაზღაურებით), ეს განაწილებით ურთიერთობებში ახალ უსამართლობას წარმოშობს – ამ შემთხვევაში კაპიტალის მესაკუთრის წილი კაპიტალის ზღვრულ მწარმოებლურობაზე ნაკლები იქნება და კაპიტალდაბანდებების შემცირებას და ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელებას გამოიწვევს, ე.ი. საზიანო იქნება მთლიანად სასოგადოებისათვის, და არა მარტო მისი ერთი ნაწილისათვის.

გასაგებია, თუ რა მაღალი დონის უნარი უნდა გამოიჩინოს ხელისუფლებამ ამ პრობლემის აქტუალურობის შეფასებისას, ასე ეთქვათ, დიაგნოზის დასმისა და მკურნალობის დანიშნისას.

დასავლურ ეკონომიკურ ლიტერატურაში შრომის ექსპლუატაციის საკითხი არ ითვლება მაინცდამაინც აქტუალურად (რომ იტყვიან „არ არის მოდაში“), თუმცა განაწილებითი ურთიერთობების პრობლემები ცხარე დებატების და სერიოზული კვლევის საგანია. ალბათ, ეს იმით არის გამოწვეული, რომ შრომის ექსპლუატაციის არსი იქ, როგორც წესი, გაიგივებულია ამ მოვლენის (ცნება-კატეგორიის) მარქსისტულ გაგებასთან (რომ ეს არის კაპიტალისტის მიერ ზედმეტი ღირებულების მითვისება).

უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ თეორიული ასპექტით გარკვეულწილად მკვიდრდება მოსაზრება, რომ შექმნილი ეროვნული შემოსავლის კაპიტალსა და შრომაზე განაწილების პრობლემა პრაქტიკულად არ არსებობს, ვინაიდან წარმოების ამ ორი ფაქტორის მესაკუთრეებს შორის ევპ-ის განაწილება (ყოველი მათგანის კუთრი წონა) დროის ხანგრძლივ პერიოდში უცვლელი რჩება.

რა გვაქვს მხედველობაში?

ეკონომიკური ზრდის ანალიზისას ხშირად მიმართავენ ე.წ. კობ-დუგლასის საწარმოო ფუნქციას, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება:

$$Y=F(K, L)=AK^a, L^{1-a},$$

სადაც Y არის წარმოების მოცულობა (ეროვნული შემოსავალი), K -კაპიტალი, L -შრომა, A -დადებითი პარამეტრი, რომელიც სომავს არსებული ტექნოლოგიის მწარმოებლურობას; a -კი მუდმივი სიდიდეა 0-დან 1-მდე, რომელიც განსაზღვრავს კაპიტალის წილს შემოსავალში. ამასთან ამ წილის „მუდმივობის“ მიზეზები ახსნილი არ არის. აქედან კი აკეთებენ, ჩვენი აზრით, არამართლსომიურ დასკვნას, რომ დროთა განმავლობაში წარმოების ფაქტორების (შრომის და კაპიტალის) წილი უცვლელია და არ არის დამოკიდებული არც შრომისა და კაპიტალის მოცულობაზე, არც გამოყენებულ ტექნოლოგიაზე (A -ზე).

ჩვენ არაფერი გვაქვს ამ საწარმოო ფუნქციის საწინააღმდეგო, არც იმაში გვეპარება ეჭვი, რომ შეფარდება თითქმის მუდმივი (უცვლელი) იყო იმ პერიოდში, რომელიც პოლ დუგლასმა გამოიკვლია, და 1945-1990 წლებშიც, რომელთა მონაცემებიც აშშ-ის ეკონომიკისათვის მოყვანილია ნ. გრეგორი მენქიუს „მაკროეკონომიკაში“. ამასთან არ ვთვლით, რომ წარმოების ფაქტორთა წილის ეს უცვლელობა ეკონომიკის თვითრეგულირების საწყისებზე ფუნქციონირების უცილობელი შედეგია, კანონზომიერებაა. ჩვენ მიგვაჩნია: რომ არა ამერიკის შეერთე-

1 Мэнью Н.Г. Макроэкономика. М.: издательство МГУ, 1994, стр. 113.

ბული შტატების ხელისუფლებისა და საზოგადოების (პროფკავშირების) შეგნებულნი ნარევა განაწილებით ურთიერთობებში, ამ მუდმივობას ადგილი არ ექნებოდა.

კიდევ უფრო მეტს ვიტყვი. თვით დასავლეთის ქვეყნების პრაქტიკაში ფაქტობრივად აღიარებულია ეროვნული შემოსავლის წმინდა საბაზრო მექანიზმების საწყისებზე განაწილების უსამართლობა; ამას ნიშნავს უეტკველად „კანონი შრომის სამართლიანი პირობების თაობაზე“, რომელიც მიღებულ იქნა შეერთებულ შტატებში 1938 წელს და რომლითაც, სხვა დონისძიებებთან ერთად, ხელფასის მინიმუმი დაწესდა.

ცნობილია, რომ დასავლეთის ქვეყნებში ფუნქციონირებს უმუშევრობისაგან დაზღვევის ეფექტიანი სისტემა, რომელიც მნიშვნელოვნად ამსუბუქებს სამუშაოდაკარგულთა (დაუსაქმებელთა) მდგომარეობას. გარდა ამისა, აძლევს რა მუშაკებს საშუალებას – უარი თქვან არამიმზიდველ სამუშაოებზე („არამიმზიდველობას“ კი ძირითადად მაინც დაბალი ანაზღაურება განაპირობებს), ეს სისტემა, ჩვენი აზრით, ხელს უწყობს იმას, რომ ეკონომიკაში დამკვიდრდეს სამუშაო ძალის მახასიათებლებსა და თავისუფალი ადგილების სტრუქტურას შორის უფრო მისაღები (სამართლიანი) შესაბამისობა. ეს კი გარკვეული ფორმით ექსპლუატაციის აღიარება და მისი მოსწორებაა.

შრომის დაქირავების საკითხებისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში განიხილავენ იმის მაგალითებს, თუ როგორ უწყობს ხელს ხელფასის სიმკაცრე (არაელასტიკურობა) ე.წ. ლოდინის უმუშევრობის არსებობას, და ამის დამადასტურებლად მოჰყავთ წონასწორობის დონესთან შედარე-

ბით ხელფასის უფრო მაღალ დონეზე გაშეშების ფაქტები. ცნობილია შრომის ეფექტიანი ანაზღაურების თეორიები, რომელთა მტკიცებით ბიზნესისათვის ხშირად სასარგებლოა ხელფასის საბაზრო წონასწორობის დონეზე მაღლა დანიშვნა. ესეც ფაქტობრივად იმის აღიარებაა, რომ წონასწორობის დონეზე მუშაკი ვერ ღებულობს ზღვრულ (კუთვნილ) პროდუქტს და ნაკლებ მონდომებას იჩენს საქმიანობაში.

ვფიქრობთ, ზემოთქმული მიგვანიშნებს, რომ კობ-დუგლასის საწარმოო ფუნქციიდან გამომდინარე წარმოების ფაქტორების მესაკუთრეთა წილის ეროვნული შემოსავლის განაწილებაში მუდმივობის მინიშნება (მიგნება) მხოლოდ მომხდარი ფაქტის კონსტატაციაა და ვერ ხსნის იმ ძალების (მიზეზების) მოქმედების მექანიზმს, რომლებმაც ამ წილების უცვლელობა უზრუნველყო.

ამ საკითხში ჩვენ უფრო მართებულად გვესახება ცნობილი ინგლისელი ეკონომისტის ჯოან ვაიოლეტ რობინსონის მოსაზრებები, რომელიც ასაბუთებდა მუშის ხელფასსა და მის ზღვრულ პროდუქტს შორის სხვაობის არსებობას¹. ჯ. რობინსონი აკრიტიკებდა შემოსავლის ფუნქციური განაწილების კონცეფციას და თვლიდა, რომ შრომასა და საკუთრებას შორის განხეთქილება კონფლიქტს ნიშნავს (აქედან გამომდინარე, საქონლის რეალიზაციის პირობებს ის მოგებისა და ხელფასის მოძრაობის დაპირისპირებულობის პოზიციიდან აანალიზებდა). ამიტომ ხელფასის გაზრდისაკენ მიმართული პროფკავშირების მოწადინება აუცილებელი და სასარგებლოა. მისი აზრით, არასრულყოფილი

¹ Словарь современной экономической теории Макмиллана, стр. 173.

ოფილი კონკურენციის გამო საბაზრო ეკონომიკას რეალურად ახასიათებს მუშათა ფაქტობრივ ხელფასსა და შრომის ზღვრულ პროდუქტს შორის სხვაობის არსებობის შესაძლებლობა.

ისეთი მდგომარეობის არსებობის შესაძლებლობას, როდესაც წარმოების ფაქტორი იმაზე ნაკლებს მიიღებს, ვიდრე მისი წვლილია ეკპ-ში, არტურ პიგუც აღიარებდა და მას „ექსპლუატაციას“ უწოდებდა. მაგრამ ამის მიზეზს ის საბაზრო ეკონომიკის საერთო კანონზომიერებებში კი არ ხედავდა, არამედ შრომის ბაზარზე მონოპსონიის არსებობას უკავშირებდა, რომელიც იწვევს საშუალო და ზღვრულ ფაქტორულ დანახარჯებს შორის სხვაობას (შრომის პროდუქტის ზღვრული ფასეულობა არასრულყოფილი კონკურენციის შედეგად მეტია მის საშუალო ანაზღაურებაზე). მისი აზრით, ასეთ შემთხვევაში ხდება მთელი საზოგადოების ექსპლუატაცია, ვინაიდან არ არის უზრუნველყოფილი წარმოების მაქსიმალური ეფექტიანობა.

არის კი შემოგამოთქმული მოსაზრებები ეროვნული შემოსავლის განაწილებისას შრომის დაზარალების თაობაზე აქტუალური საქართველოსათვის? ძალზე საჭირობოროტოა უეჭველად და ამას სხვადასხვა გარემოება განაპირობებს. შეეცხებით ზოგიერთს:

- პირველი (საერთო შეფასება). როგორც ჩანს, საქართველომ, სამწუხაროდ, დიდი ხნით „გაინაღდა“ განვითარებადი ქვეყნის სტატუსი. ასეთ ქვეყნებში კი შემოსავლის წარმოების დაბალი დონის გამო განაწილებითი ურთიერთობები (ურთიერთობა შრომასა და კაპიტალს შორის) ყოველთვის უფრო მწვავედ დგას და მათ მოწესრიგებას საზოგადოების და ხელისუფლების განსაკუთრებული ყურადღე-

ბა, მოწადინება, ცოდნა და უნარი (პროფესიონალიზმი) სჭირდება. ჩვენ ამის გამოცდილება პრაქტიკულად არ გავგაჩნია;

• მეორე. როგორც ვნობილია, ამ პრობლემების მოგვარება-მოწესრიგებაში განსაკუთრებული როლი მუშათა მოძრაობიდან ამოსრდილ პროფკავშირებს ეკუთვნის. ჩვენთან კი პრაქტიკულად პროფკავშირული მოძრაობის არავითარი ტრადიციები არ არსებობს. დღეს ამ მიმართულებით ფუნქციონირებადი ორგანიზაციები საზოგადოებისადმი საბჭოთა სისტემის დროს თავსმოხვეული ფსევდოპროფკავშირების გაგრძელებაა ფაქტობრივად. გარდა ამისა, მათში წევრობა ძირითადად ფორმალურია. და ეს იმით კი არ არის მარტო განპირობებული, რომ მშრომელებს მათი სარგებლიანობის არ სჯერათ და საწევრო შესატანის გაღება სახსრების დაკარგვად მიაჩნიათ; უფრო სერიოზული მიზეზი ისაა, რომ მათ ძირითად მასას არ ესმის და არა აქვს გათავისებულებული, რომ ბაზარზე შრომის გაყიდვის საკითხებში მუშების ინტერესები შეიძლება დაცულ იქნეს მხოლოდ მათი მაღალი ორგანიზებულობის პირობებში (ეს ობიექტური რეალობაა და არა - „გვჭირდება-არგვჭირდება“ საკითხი);

• მესამე. მშრომელთა მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ საქართველოში ამჟამად ჩამოყალიბებული ეკონომიკა (ბიზნესი) მნიშვნელოვანწილად კრიმინალური ხასიათისაა, ხოლო ამ მიმართულებით საქმის გამოსწორების სახელმწიფო ქმედობა ჯერჯერობით არ ჩანს (პირიქით, უფრო იკვეთება კრიმინალური ბიზნესის და სახელმწიფო სტრუქტურების ურთიერთშეხრდის ტენდენციები). ასეთი ბიზნესი (მეწარმე) კი ყოველთვის უფრო აქტიურია (აგრესიულიც კი) შემოსავლის თავის

სახარგებლოდ განაწილების მოწადინებაში. ყველასათვის ცნობილია, რომ დღეს წყნთან მასობრივია ფაქტები, როდესაც მუშაკების დაქირავება ზეპირი შეთანხმებით ხდება, მათი ინტერესების დაცვისათვის კი არავითარი ინსტიტუტი არ არსებობს. დაბალი საგადასახადო დისკიპლინის გამო ბიზნესი თავს არიდებს სოცდაზღვევის ისედაც მცირე თანხების გადახდას;

- მეოთხე. მწირი ეკონომიკური (მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის) შესაძლებლობების (და არა მარტო ამის) გამო საქართველოში ძალზე დაბალია ხელფასის მინიმუმი და უმუშევრობისაგან დაცვის დახმარება (უმუშევრობის ძალზე მაღალი დონის პირობებში-!). ეს კიდევ უფრო ასუსტებს დაქირავებულ მუშაკთა მდგომარეობას შრომის ბაზარზე, აიძულებს მათ დათანხმდნენ შრომის ანაზღაურების უმძიმეს პირობებზე, რის შედეგადაც ეროვნული შემოსავლის განაწილებაში შრომის კუთრი წონა მნიშვნელოვნად ჩამორჩება მისი ზღვრული მწარმოებლურობის მოცულობას. (იხ. ცხრილი 1)

ზემოგანხილულმა მიზეზებმა (საქმიანობის ზოგიერთი მიმართულებით „ბაზრის ჩაყარდნამ“) განაპირობა ის, რომ სახელმწიფომ ეკონომიკის გარკვეულწილად მარეგულირებელი ფუნქცია შეიძინა, შესაბამისად, ამ ფუნქციის გატარების ძირითად ბერკეტად გადასახადები იქცა. ეს არის იმის მიზეზი, რომ, როგორც ზემოთ მოტანილი ცხრილიდან ჩანს, უკანასკნელი 110 წლის განმავლობაში სახელმწიფოს ხარჯების წილი ეშპ-ში 3-4 ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა.

ეშპ-ში სახელმწიფო ხარჯების კუთრი წონის ზრდამ განაპირობა იმ მოსაზრების წარმოქმნა, რომლის შესაბამისად დღეს ლიტერატურაში ხშირ-

ერთობლივ შინა პროდუქტში სახე ღმწიფო ხარჯების წილი 1888-1998 წ.წ., პროცენტობით¹

ქვეყნები	წლები					
	1888	1929	1960	1980	1990	1998
აშშ	8,0	10,0	27,8	31,4	32,8	33,1
იაპონია	11,0	19,0	18,3	32,0	31,3	35,5
ინგლისი	10,0	24,0	32,6	43,0	39,9	39,7
გერმანია	10,0	31,0	32,0	47,9	45,1	47,4
საფრანგეთი	15,0	19,0	34,6	46,1	49,8	53,2
შვეცია	6,0	8,0	31,1	60,1	59,1	60,8

ად ბიუჯეტის სოციალურ ფუნქციაზე საუბრობენ, რასაც სახელმწიფოს შეგნებული ქმედობა უძევს საფუძლად. მაგრამ აქვე შევნიშნავთ, რომ სოციალური საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება, სახელმწიფოს მიზანმიმართულ საქმიანობასთან ერთად, მნიშვნელოვანწილად განაპირობა თვით ობიექტურ ეკონომიკურ ურთიერთობებში მომხდარმა თვისებრივმა ცვლილებებმა, პირველ რიგში კი კერძო საკუთრების დიფუზიამ. ამასთან, ვფიქრობთ, იგივე ცხრილში მოცემული მანვენებლების დინამიკა გვინვენებს, რომ ეშპ-ში სახელმწიფო ხარჯების სრდის ტენდენცია, ადრინდელთან შედარებით,

¹ ჭ ი თ ა ნ ა ვ ა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ - ეკონომიკური პრობლემები, III ნაწილი. - თბილისი: ესპსკი, 2001. გვ. 339.

ბოლო ათეულ წლებში ერთობ შენეულა და ეს პროცესი, ეტეობა, რაღაც ობიექტურ ზღვარს მიუახლოვდა. მისანშეწონილია აგრეთვე იმის ხაზგასმაც, რომ სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის გარკვეულწილად რეგულირების და სოციალური პრობლემების მოხსნა – შემსუბუქების ფუნქციის მიღებამ, ე.ი. ეროვნული შემოსავლის ბეგარის სახით მეტი წილის გადანაწილების აუცილებლობამ, არა მარტო არ შეარბილა ეკონომიკაში საგადასახადო წნეხის, გადასახადის საერთო მოცულობის სწორად განსაზღვრის პრობლემა, არამედ კიდევ უფრო გაამწვავა ეს საკითხი. გამოდის, ერთი მხრივ, რომ დღევანდელ საბაზრო ეკონომიკაში, ადრინდელთან შედარებით, აუცილებელი და სასარგებლოა ეროვნული შემოსავლის მეტი წილის სახელმწიფოებრივი გადანაწილება; ამავდროულად (მეორე მხრივ) გადანაწილების მომატება იწვევს საგადასახადო წნეხის დამძიმებას და საზიანოა მეწარმეობრივი (ეკონომიკური) საქმიანობისათვის.

2.3. საბადასახადო წნეხი და მისი 'მისაქმე- ბლად მინიმისაციის უზრუნველყოფის სარბეზლიანი'ბა

ზემოგამართული საუბრის შემდეგ მართლ'სომ-
იერი იქნება ჩამოვაცალიბოთ ჩვენი მოსა'ხრება
საგადასახადო წნეხ'ზე, რომელიც ნებისმიერ
ეკონომიკაში არსებობს. მაკმილანის ლექსიკონში,
რომელიც ზემოთ მოვიშველიეთ, მოხსენიებულია
საგადასახადო წნეხის ცნება და დამაჯერებლად
არის განმარტებული, თუ რა ძნელია ხშირად მისი
ბეგარაგადამხდელებს შორის განაწილების უსუსტი
განსაზღვრა¹. მაგრამ, სამწუხაროდ, თვით „საგადა-
სახადო წნეხის“ კატეგორია ლექსიკონში განმარტე-
ბული არ არის; აქედან გამომდინარე, არაფერია
ნათქვამი საგადასახადო წნეხის მთლიანად ეკონომი-
კაში გაანგარიშების თაობაზე. ბიზნესის განმარტე-
ბით ლექსიკონში საგადასახადო წნეხი (tax burden)
განმარტებულია როგორც „ფიზიკური პირის ან
ორგანიზაციის მიერ გადახდილი ბეგარის თანხა“,
რომელიც შეიძლება არ დაემთხვეს ფაქტობრივად
გადახდილ ბეგარას, ვინაიდან არსებობს გადასახ-
ადის ან საგადასახადო წნეხის გადატანის (გადაკ-
ისრების) საშუალება². იგივე განსაზღვრაა მოცემუ-
ლი ოქსფორდის საფინანსო განმარტებით ლექსიკონ-
ში. როგორც ვხედავთ, აქ წნეხის ცნება გაიგივებუ-
ლია ფაქტობრივად თვით ბეგარასთან და აქაც არ
არის საუბარი მთლიანად ეკონომიკაში არსებულ
საგადასახადო დატვირთვაზე.

Словарь современной экономической теории Макмиллана. стр. 230-231.

² Бизнес: Толковый словарь, стр. 304. 629.

ჩვენ კი, საკვლევი თემის (ბეგარის არსი და დაბეგარის რაციონალურობა) ამოცანებიდან გამომდინარე, საგადასახადო წნეხი პირველ რიგში მთელი ეკონომიკის პოზიციიდან გვაინტერესებს. ამასთან, გამომდინარე კერძოსა და საყოველთაოს დიალექტიკური ურთიერთკავშირიდან, გვერდს ვერ ავუვლით ცალკეულ სამეურნეო სუბიექტებზე ბეგარისებური ტვირთის შემოქმედების მოვლენას¹. პირიქით, აუცილებლად მიგვაჩნია საგადასახადო წნეხის ორნაირი მნიშვნელობისათვის ხაზის გასმა და, შესაბამისად, ამ კატეგორიის მიკროეკონომიკის და მაკროეკონომიკის პოზიციებიდან განხილვა. გამომდინარე აქედან, შეიძლება საგადასახადო წნეხის შემდეგი განმარტებები შემოვთავაზოთ:

- **საგადასახადო წნეხი სამეურნეო სუბიექტისათვის** (მიკროეკონომიკური გაგება) არის მისი ეკონომიკური რესურსების იძულებით გადაანაწილების უარყოფითად შემოქმედების სიმძიმე, რომელსაც ფაქტობრივად ეწევა („ეზიდება“) ბეგარაგადაამხდელი სუბიექტი თავისი კომერციული თუ სხვა საქმიანობის წარმართვისას;
- **საგადასახადო წნეხი ეკონომიკაში** (მაკროეკონომიკური გაგება) არის ის ერთობლივი ფინანსური (რესურსული) სიმძიმე (ტვირთი),

¹ საბოლოო ჯამში მთლიანად ეკონომიკაში არსებული საგადასახადო წნეხი ხომ შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ცალკეულ მეურნეებზე შემოქმედ წნეხთა ჯამი, მაგრამ ეს რაღაც უბრალო არითმეტიკული შეჯამების შედეგი არ არის: დასაშვებია, მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ ერთობლივი საგადასახადო წნეხი ოპტიმალური და მოსათმენი იყოს, მაგრამ მისი სამეურნეო სუბიექტებს შორის არამართლზომიერი, უსამართლო განაწილების გამო ქვეყნის სოციალურ – ეკონომიკურ განვითარებაში სერიოზული პრობლემები შეიქმნას.

რომელიც აწვება ეკონომიკის ლეგალურ სექტორს მისგან კოლექტიური მოხმარების სიკეთის წარმოებისათვის ეროვნული შემოსავლის სახელმწიფოებრივი იძულებითი გადაანაწილების, კანონით გათვალისწინებული ბუგარის ამოღების შედეგად. მას, როგორც წესი, ოპტიმალურზე მეტის მოცულობით ჩამოყალიბების ტენდენცია ახასიათებს.

იმის შემდეგ, რაც ჩამოყალიბდით მაკროეკონომიკური პოზიციიდან საგადასახადო წნეხის განსახლვრა – განმარტების საკითხში (გადასახადის მოცულობის დამახინჯებით ხასიათს ჩვენ დროდადრო ვეხებით), მართლზომიერი იქნება შევუდგეთ იმის დამტკიცება – დასაბუთებას, თუ რა მოცულობის გადასახადის ამოღება (შესაბამისად, რა ოდენობის კოლექტიური მოხმარების სიკეთის წარმოება) იქნება სასიკეთო და საუკეთესო ქვეყნისათვის, როგორი უნდა იყოს საზოგადოების და ხელისუფლების მიდგომა ამ პრობლემის გადაწყვეტისადმი.

სახელმწიფოს (შესაბამისად, გადასახადების) არსებობა და მის მიერ ადმინისტრაციულ – პოლიტიკური ფუნქციის შესრულება რომ აუცილებელია საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის, ეს, როგორც აღინიშნა, საყოველთაოდ არის აღიარებული. ფაქტობრივად ასევე გათავისებულია საერთოდ, რომ გარკვეული სახელმწიფოებრივი ჩარევა (და ამის გაკეთებისათვის ბუგარის ამოღება) გარდაუვალია საზოგადოების მიერ ეკონომიკური საქმიანობის შედეგიანად წარმართვისათვის. ამასთან ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს ჩარევის საჭიროების ინტენსივობის, ეკონომი-

კაში რეგულირებისა და თვითრეგულირების შეფარდების (შესაბამისად, გადასახადის საერთო მოცულობის) საკითხზე არც ადრე იყო და არც ამჟამად არსებობს ერთნაირი მოსაზრება როგორც უცხოელ, ისე ქართველ მეცნიერებს შორის. ერთნი მეტი ხარევის (ე.ი. მეტი გადასახადის ამოღების) მომხრენი არიან, მეორენი ამ ხარევის შეზღუდვის სარგებლიანობას ამტკიცებენ; ერთნი თვლიან, რომ შემოსავლის დაბეგვრა პროგრესიული (ან უფრო მეტად პროგრესიული) უნდა იყოს, მეორენი ამას საზიანოდ მიიჩნევენ ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით. განსხვავებული მიდგომის მიზეზი, ალბათ, ბაზრის უკმარისობის ხარისხის და სახელმწიფოს მიერ მისი ნეიტრალიზაცია – მოსწორების შესაძლებლობების სხვადასხვანაირ შეფასებაში უნდა ვეძებოთ. ამას კი პირველ რიგში თვით ეკონომიკის განვითარების წინააღმდეგობრიობა განაპირობებს, რომელზედაც უამრავი მოვლენა მოქმედებს, თანაც მათი ზეგავლენის აქტიურობა და შედეგები სხვადასხვა სიტუაციებში ხშირად მკვეთრად განსხვავებულია.

დასავლელ ეკონომისტებს შორის ფართოდ გავრცელებული მიწოდების ეკონომიკური თეორიის მიმდევრები (ე.წ. სეკლასაიდერები) თვლიან, რომ თანამედროვე ეკონომიკის წინაშე მდგარი პრობლემების წარმატებით გადაწყვეტის, სახალხო მეურნეობის სტაბილური განვითარების უზრუნველყოფის მაგისტრალური გზა ეკონომიკურ საქმიანობაში სახელმწიფოს ხარევის და გადასახადების (პირველ რიგში ზღვრული საგადასახადო განაკვეთების¹)

¹ ზღვრული საგადასახადო განაკვეთი არის უმაღლესი განაკვეთი პროგრესიული დაბეგვრის დროს.

შემცირებაში ძეგს. მათი მტკიცებით, პრაქტიკულად უნდა გამოირიცხოს ბიუჯეტის დეფიციტი, ვინაიდან მისი არსებობის დროს ინფლაციის შიშით ხელისუფლება განათავსებს საფინანსო ბაზრებში თავის ფასიან ქაღალდებს, ართმევს კერძო სექტორს საკრედიტო რესურსებს და ძირითადად არამწარმოებლურად იყენებს მათ. ეკონომიკის ნორმალური განვითარების უზრუნველყოფისათვის მთავარია დაზოგვისადმი ხელის შეწყობა; კერძო სუბიექტებისაგან მნიშვნელოვანი გადასახადის ამოღება კი (განსაკუთრებით მაღალშემოსავლიანებისაგან, ვინაიდან ეს უკანასკნელნი, სხვებთან შედარებით, უფრო მეტად არიან განწყობილნი დაზოგვაზე) ამცირებს დანაზოგებს და, შესაბამისად, ინვესტიციებს და ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობებს. ამიტომ ამოცანა სახელმწიფო რეგულირების განმტკიცება – გაფართოებაში კი არ არის, არამედ ბაზრის (ეკონომიკის თავისუფალი განვითარების) შემოქმედებითი პოტენციალის სრულად გამოყენებაში, მაქსიმალურ გამოწვევა – ამოქმედებაში.

სეკლასიანიდერების, მით უმეტეს მონეტარისტების მოსაზრებები ეკონომიკის თვითრეგულირების პრინციპებზე ფუნქციონირების უპირატესობის თაობაზე არ ნიშნავს, ჩვენი აზრით, რომ ისინი აბსოლუტურად გამორიცხავენ სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის აუცილებლობას. მთავარია საკითხის შემდეგნაირად დაყენება (და ეს ჩვენც სრულიად მართლზომიერად გვესახება): სხვა თანაბარ პირობებში ნებისმიერი საქონლის წარმოება ბაზარს უნდა მიენდოს, იქ, სადაც კერძო საწყისებზე საქონელ - მომსახურების წარმოების ზღვრული სარგებლიანობა მისი საზოგადოებრივ (სახელმწიფოებრივ) საწყისებზე ორგანიზებაზე მაღალია,

უპირატესობა ბაზარს უნდა მიეცეს. ეს კი იმაზე გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ამ მოსაზრების მოწინააღმდეგეებს (კეინსიანელებს, ნეოკეინსიანელებს და მით უმეტეს ჩვენთან სახელმწიფოს როლის გამსხვიადებლებს) მიაჩნიათ. და რაკი ამ შედარებების გაკეთება და სწორი დასკვნის მიღება მეტად რთულია, იქ, სადაც გადაწყვეტილების სისწორე ოდნავ მაინც საეჭვოა, საკითხი „ნაცადი“ კერძო საკუთრების სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.

მიუხედავად აზრთა სეროზული განსხვავებისა სახელმწიფოს როლზე ეკონომიკის რეგულირებაში (შესაბამისად, გადასახადების მოცულობაზე), ერთ რამეში, ჩვენი დაკვირვებით, აზრთა თანხედრა მაინც არსებობს, ყოველ შემთხვევაში, უცხოურ ლიტერატურაში: რაღაც ოპტიმალურ ზღვარს იქით სახელმწიფო მომსახურების (შესაბამისად, გადასახადების მოცულობის) გაზრდა კერძო საწყისებზე საქონელ – მომსახურების წარმოებას იმდენად ამცირებს, რომ საერთო ჯამში კლებულობს ეშპ – ის წარმოება. მაშასადამე, დღეს იმაზე კი არ არის დავა – კამათი, ეწეოდეს თუ არა ხელისუფლება ეკონომიკის გარკვეულ რეგულირებას (ჩვენი თემის პოზიციიდან კი ამოიღოს თუ არა სახელმწიფომ ამ თავისი საქმიანობისათვის ბეგარა კერძო სტრუქტურებისაგან), არამედ ამ რეგულირების ინტენსივობა – მოცულობაზე.

ეკონომიკური თეორიიდან ჯერ მაკროეკონომიკის, ხოლო ბოლო ათეულ წლებში საზოგადოებრივი (სახელმწიფო) სექტორის ეკონომიკის დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის წარმოქმნა – დამკვიდრება იმაზე მეტყველებს უეჭველად, თუ რა სერიოზულ როლს აკისრებს დღეს მეცნიერება სახელმწიფოს ეკონომიკის ფუნქციონირებაში; მა-

გრამ ეს მოვლენა (სახელმწიფოს როლის სერიოზული მნიშვნელობისათვის ხაზის გასმა), ვფიქრობთ, არ უნდა იქნეს გაგებულნი ისე, თითქოს, ამ დისციპლინების მესვეურთა აზრით, სახელმწიფო ხარჯების (შესაბამისად, გადასახადების როგორც საერთო მოცულობის, ისე განსაკუთრებით ემპ – ში კუთრი წონის) შემდგომშიც პერმანენტული ზრდა ობიექტური რეალობაა, სასარგებლოა საერთო განვითარებისათვის. უფრო მეტს ვიტყვით. ჩვენი დაკვირვებით, სწორედ მეცნიერების ახალი დარგის – სახელმწიფო სექტორის ეკონომიკის წარმოქმნამ ისეთი კვლევების გაფართოებისაკენ უბიძგა, რომელთა შედეგებიც, ადრინდელთან შედარებით, გაცილებით უფრო პრაგმატულია სახელმწიფოს ეკონომიკის ფუნქციონირებაში და (რაც ჩვენ გვაინტერესებს) გადასახადების ოპტიმალური მოცულობის დაწესების საკითხში¹. მართალია, ეს დისციპლინა სახელმწიფოს ეკონომიკის რეგულირების ფუნქციის არსებობას კი არ უსვამს მარტო ხაზს, არამედ მას (სახელმწიფოს) ეკონომიკური საქმიანობის ჩვეულებრივ, სწორუფლებიან სუბიექტად მიიხსენებს (და ეს სწორია უეტყველად დღევანდელ პირობებში²); მაგრამ ამ სუბიექტის მიერ საქონელ – მომსახურების წარმოების ეფექტიანობის (ე.ი., ჩვენი თემიდან გამომდინარე, ამოღებული ბეგარის გამოყენების შედეგიანობის) შეფასების საფუძველად შექმლების-

¹ ასეთი კვლევები ყოველთვის აქტუალური იყო, მაგრამ საჭირო მეთოდოლოგიის არარსებობის კვალობაზე შედარებით არასაიმედო რეკომენდაციის გამომუშავების გამო გადაწყვეტილებები ხშირად ინტუიციურად, შეუცნობლად მიიღებოდა.

² ეს მოსაზრება დასაბუთებულია წიგნში: რ. ბ ა ს ა რ ი ა, ი. მ ე ს ხ ი ა. ეკონომიკური თეორიის საფუძვლები. – თბილისი: საფინანსო - ეკონომიკური აკადემია, 1996, გვ. 176 – 201.

დაგვარად ბაზრის ფუნქციონირების რეზულტატის შეფასების კრიტერიუმებს იყენებს. ე.ი. საკითხის გადაწყვეტისას საჭიროა გაითვალოს, ერთმანეთს შეუდარდეს და შეფასდეს, თუ რა სარგებელიანობა მოაქვს ამა თუ იმ სიკეთის წარმოებას, შესაბამისად, საბაზრო და სახელმწიფო საწყისებზე, ან დადგინდეს, რომელია უარესი: ბაზრის ზადი თუ სახელმწიფო ჩავარდნა¹.

მართალია, შედარებები, რომელთა გაკეთების აუცილებლობაზე ზემოთ გვქონდა საუბარი, ეოველთვის ვერ ხერხდება, მაგრამ აქეთკენ მიწრაფება აუცილებელია. ძნელია, მაგალითად, ასეთ მახასიათებლებში იმის გათვლა და გათვალისწინება, თუ რა ინტენსივობისაა გადასახადების გადანაწილების საშუალებით საზოგადოებრივი საქონლის შექმნისას ინტერესთა ის დაპირისპირება, რომელსაც ეს გადანაწილება თითქმის გარდუვალად იწვევს, და რა უარყოფითი სოციალურ – ეკონომიკური შედეგები მოჰყვება ამას, რომელთა გადალახვა – ლიკვიდაციას დამატებითი სახსრების გაღება შეიძლება დასჭირდეს.

გამოდის, რომ სახელმწიფო სტრუქტურებმა და მთლიანად სახელმწიფომ სახსრები ეკონომიკიდან, კერძო სტრუქტურიდან ავტომატურად, მაშინაღურად (მიღწეულიდან გამომდინარე, როგორც ხშირად ხდება ჩვენთან) კი არ უნდა ამოიღონ, არამედ დაუდასტურონ მომხმარებელს (კოლექტიური მოხმარე-

¹ რა გულსატკენი და დასანანი, რომ საქართველოში საგადასახადო პოლიტიკის ჩამოყალიბება – სრულყოფისას ასეთი შედარებების გაკეთების არა მარტო მცდელობა არ ყოფილა, არამედ ეს პრობლემა საერთოდ არ გაუღერებულა. გადასახადის განაკვეთის მომატება – შემცირების საკითხის გადაწყვეტისას უკეთეს შემთხვევაში ძირითადად მარტო იმას ექცევა ყურადღება, შესაძლებელია თუ არა ამ ბეგარის ამოღება.

ბის საქონელ – მომსახურების ამნაზღაურებელ, ბუგარაგადამხდელ საზოგადოებას), რომ ამით ისინი სხვებზე (კერძო სექტორზე) უფრო იაფი და უკეთესი ხარისხის მომსახურებას უზრუნველყოფენ. ამხურთგვარი გამოვლენაა ე.წ. პროგრამული დაფინანსება, რომელიც თითქოსდა ჩვენთანაც იკიდებს ფეხს და რომელიც ფართოდ არის გავრცელებული განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში¹. ასეთ მიდგომებზე დაყრდნობის, აგრეთვე არჩევნებზე ამათუ იმ პოლიტიკური პარტიის მიერ შემოთავაზებული საგადასახადო პოლიტიკისათვის გააზრებულად მხარდაჭერის შედეგად დასაველეთის დემოკრატიული ქვეყნები, მათი საზოგადოებები აღწევენ იმას, რომ გადასახადის საერთო მოცულობა ჩამოყალიბდეს მეტ – ნაკლებად იმ დონესთან მიახლოებით, როდესაც უზრუნველყოფილი იქნება ქვეყნის მოქალაქეთა კოლექტიური მოხმარების საქონელზე მოთხოვნილებების სრულად დაკმაყოფილება და გათვალისწინებული იქნება მათი განწყობა ეროვნული შემოსავლის გადანაწილების სამართლიანობაზე.

ჩვენ კი ვამტკიცებთ, რომ ნებისმიერ საზოგადოებას ყოველთვის კონტროლის ქვეშ უნდა ჰქონ-

¹ ამაზე ჩვენს მიერ ყურადღების გამახვილება არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო ხარჯების სწორად განსაზღვრის მოდელი შექმნილია. ვერ ერთი, როგორც ცნობილია, ასეთი ალტერნატიული პროგრამების გამოყენების წესმა ვერ უზრუნველყო ამ საქმეში კორუფციის მოსპობა და ხარჯების მინიმიზაცია (ამას მოწმობს აშშ – ში და სხვაგან სახელმწიფო შესყიდვების დროს მომხდარი გახმაურებული დანაშაულობები); მეორე, ეს სისტემა არ ეხება სახელმწიფო ხარჯების საერთო მოცულობას; ამ უკანასკნელთა ცვლილება (მესამე) უფრო პოლიტიკურ ძალთა საარჩევნო შეჯახებების შედეგად ხდება, ვიდრე საზოგადოებისათვის გასაგებ სასარგებლო გაანგარიშებებზე დაყრდნობით.

დეს გადასახადების ოდენობა და რომ სასარგებლოა ეს მოცულობა შესაძლებლად დაბალ დონეზე იყოს. ამის მიზეზები კი თვით ბეგარის არსში ძვეს, მის ორად, წინააღმდეგობრივ ხასიათში უნდა ვეძებოთ. გადასახადი თავისთავად, რა მოცულობისაც არ უნდა იყოს ის და რაგინდარა აუცილებლობით არ იყოს გამოწვეული, ტვირთია სამეურნეო სუბიექტისათვის, ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, ეს მისი შემოსავლის, მისი შესაძლებლობების შემცირებაა. ბეგარა იმთავითვე (ამოღებისთანავე) ამცირებს კონკრეტული ბიზნესის (მაშასადამე, საერთოდ ბიზნესის) უკუგებას. ე.ი. ბეგარის აკრება, ერთი მხრივ, ამცირებს კერძო სექტორის მიერ ეშპ - ის წარმოებას. გამოდის, რომ სახსრების გადასახადის სახით ამოღება, განსაკუთრებით ისეთი ბეგარა, როგორც საშემოსავლო გადასახადია, საზიანოა ბიზნესის საქმიანობისათვის. მეორე მხრივ, გარკვეული მოცულობის ბეგარის ამოღება და მისი გამოყენებით საზოგადოებრივი საქონელ - მომსახურების წარმოება აუცილებელი და სასარგებლოა როგორც საერთოდ კერძო მეწარმეობისათვის, ისე ყველა კონკრეტული ბიზნესმენისათვის. მაშასადამე, ცხადზე ცხადია, რომ კერძო საქონლის წარმოების შესაძლებლობის გარკვეული ნაწილის „მსხვერპლად გაღება“ კოლექტიური მოხმარების სიკეთის შესაქმნელად თვით კერძო სექტორის ინტერესებშია, მის მწარმოებლურობას უწყობს ხელს.

საზოგადოებრივი საქონელ - მომსახურების საერთოდ არწარმოების შემთხვევაში (ეს პრაქტიკულად ძნელად წარმოსადგენია, მაგრამ ასეთი თეორიული დაშვება მართლზომიერი უნდა იყოს) გაცილებით უფრო ნაკლები იქნება (თითქმის ნულის ტოლი დღევანდელ ცივილიზებულ საზოგადოე-

ბასთან შედარებით) საქონელ - მომსახურების კერძო წარმოებაც. ეს უკანასკნელი შემცირდება კოლექტიური მოხმარების საქონლის რაციონალურზე (ოპტიმალურზე) ნაკლების წარმოების პირობებშიც. მაშასადამე (გავიმეორებთ „ცხადზე ცხადიას“ მოსასრებას), ქვეყნის საწარმოო შესაძლებლობების მაქსიმალურად ამოქმედების უსრუნველსაყოფად, მოსახლეობის კეთილდღეობის უმაღლესი დონის მისაღწევად საჭიროა ოპტიმალური საზოგადოებრივი სექტორის არსებობა. ასე რომ ეშპ-ის წარმოების შესაძლებლობების (რომელთა ქვეშ უპირველესად შრომის, კაპიტალის და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დონეს გულისხმობენ) მაქსიმალურად გამოყენების აუცილებლობის თაობაზე საუბრისას უპრიანია, თეორიულად მაინც, სახელმწიფო სექტორის როგორც წარმოების ფაქტორის ოპტიმალური (მინიმალური¹) მოცულობის მოხსენიება.

გადასახადის ორადი ხასიათიდან გამომდინარე, ქვეყანაში მისი საერთო მოცულობის ორად გაყოფის მცდელობაც მართლზომიერი უნდა იყოს: მისი ერთი ნაწილი - აუცილებელი და სწორად გამოყენებული - სასარგებლოა და ეშპ-ის წარმოებას (ე.ი. საგადასახადო ბაზის გაფართოებას) უწყობს ხელს; მისი მეორე ნაწილი კი - გადაიმეტებულად აკრებილი ან არარაციონალურად გამოყენებული ბეგა-

¹ ფრჩხილებში, შეიძლება, უფრო სწორი იყო გვეთქვა: „არც მეტი და არც ნაკლები“. მაგრამ ჩვენ მაინც „მინიმალურის“ მინიშნება ვარჩიეთ, ვინაიდან უფრო აქტუალურად გვესახება ამ ოდენობის ზედა ზღვარის შეგნებულად მიგნება - დაწესება, რადგანაც სახელმწიფოს მოცულობის თვითზრდის ცნობილი ტენდენციის გამო სწორედ გადასახადის მინიმალური დონის შენარჩუნების ამოცანაა რთული, სწორედ ამის საზოგადოებრივი კონტროლია უფრო საჭირობოროტო.

რა¹ – პირიქით, სასიანოა ქვეყანაში ეშპ-ის შექმნის უზრუნველყოფისათვის. გასაგებია იმის გაანგარიშების სირთულე, თუ რა მოცულობის ბეგარაა აუცილებელი და რამდენის ამოღება ხდება გადამეტებულიად, მით უმეტეს, რომ კოლექტიური მოხმარების სიკეთის წარმოება – მიწოდებაზე მოთხოვნა სხვადასხვანაირია სხვადასხვა ქვეყანაში და ამის განმპირობებელი ბევრი მიზეზი არსებობს. როგორც აღვნიშნეთ, ნებისმიერი მოცულობის ბეგარის გაღება პირდაპირი მნიშვნელობით სასარალაო კომერციისათვის, მაგრამ ამის (დაძალებით ამოღებული გადასახადის) სანაცვლოდ კერძო სექტორი ღებულობს მისთვის აუცილებელ საზოგადოებრივ სიკეთეს. ეს სიკეთეც ეშპ-ია და ამის წყალობით კერძო სექტორი ნორმალურად ფუნქციონირებს და, მისი არარსებობის პირობებთან შედარებით, მეტ დოვლათს ქმნის. ეს იმას ნიშნავს, რომ მთლიანად საზოგადოებისათვის სასარგებლოა, რომ გადასახადის სახით ამოღებული დოვლათ – სიკეთის მოცულობა არ იყოს მეტი მის საფუძველზე შექმნილი საზოგადოებრივი სიკეთისა. ე.ი. საზოგადოებრივი საქონელ – მომსახურების წარმოების მოცულობის (შესაბამისად, ამისათვის საჭირო ბეგარის) განსაზღვრა უნდა მოხდეს შეგნებულად იმ პრინციპზე დაყრდნობით, რომ ასეთი სიკეთის შექმნით გადაფარულ იქნეს ის დანაკარგები მაინც, რომლებიც განიცადა კერძო სექტორმა (კოლექტიური მოხმარების საქონელი ხომ

¹ თუმცა ჩვენი მიდგომა ამოღებული გადასახადის ოპტიმალურობის თაობაზე აქამდეც გვაქვს მინიშნებული და ამ საკითხს შემდგომშიც შევეხებით, აქ განსაკუთრებით გავამახვილებთ ყურადღებას იმაზე, რომ ის მინიმალური მოცულობაც კი, რომელიც თეორიულად მისაღებია როგორც აუცილებელი და სასარგებლო, შეიძლება ზედმეტი და სასიანო გახდეს, თუ ხელისუფლებას არ აღმოაჩნდა მისი რაციონალურად გამოყენების უნარი.

ომიტომ იქმნება, რომ მის წარმოებაში ბაზარი ჩა-
ვარდნას განიცდის, ე.ი. სახელმწიფო საწყისებზე
მეტის შექმნა შეიძლება).

ზემოთქმული ეხება დოვლათ – სიკეთის კერ-
ძო და სახელმწიფო საწყისებზე შექმნის სწორი
შეფარდების (ე.ი. სახელმწიფოს ეკონომიკის ფუნქ-
ციონირებაში ჩარევის, ასევე ქვეყანაში ბეგარის
საერთო მოცულობის, საგადასახადო წნეხის)
მიგნების იმ სიძნელეებს, რომლებსაც კავშირი აქვს
ეკონომიკის განვითარებასთან, სტაბილური
ეკონომიკური ზრდის საკითხებთან. მაგრამ პრობ-
ლემას კიდევ უფრო ართულებს განაწილებით ურთ-
იერთობებში მეტი სამართლიანობის დამკვიდრებ-
ის ამოცანა, რომელზედაც ზემოთ ვისაუბრეთ და
რომელიც სულ უფრო აქტუალური ხდება და მზარდ
მხარდაჭერას პოულობს ცივილიზებულ საზოგადოე-
ბაში. საქმე ისაა, რომ საბაზრო ეკონომიკისათვის
დამახასიათებელი განაწილებითი ურთიერთობების
უსამართლობის შემსუბუქება – შენელებისათვის
საგადასახადო პოლიტიკის გამოყენება (ე.ი. იმაზე
მეტი ბეგარის ამოღება, ვიდრე ამას სტაბილური
ეკონომიკური განვითარების ამოცანები მოითხოვს)
მნიშვნელოვანწილად დამახინჯებით ხასიათს
აძლევს ბეგარას: მეტი სამართლიანობის მიღწევი-
სათვის საჭიროა ეფექტიანობის გარკვეული ნაწი-
ლის მსხვერპლად გაღება.¹

¹ ეფექტიანობის გარკვეული ნაწილის მინიშნებით ჩვენ იმის თქმა გვინ-
და, რომ განაწილებაში მეტი სამართლიანობის დასამკვიდრებლად გაღე-
ბული და გონივრულად გამოყენებული ბეგარის მხოლოდ ნაწილს აქვს
საერთო წარმოებისათვის დამახინჯებითი ხასიათი: ბევრი თვლის და ჩვენც
ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ საზოგადოებრივ საწყისებზე მოსახლეობი-
სათვის მაღალი განათლებულობის და ჯანმრთელობის მაღალი დონის
უზრუნველყოფა დადებითად მოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე. რაც შეეხ-

ეს იმას ნიშნავს, რომ ეროვნული შემოსავლის ერთი სოციალური ჯგუფისაგან მეორეს სასარგებლოდ გადამეტებული (არაოპტიმალური) გადანაწილება შეიძლება ორივე ჯგუფისთვის საზიანო აღმოჩნდეს: შემცირდეს უბრალოდ მთლიანად გასანაწილებლის (საერთო „ღვესელის“) მოცულობა. ეროვნული შემოსავლის სამართლიანი განაწილების დამკვიდრების ამოცანის გადაწყვეტა საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის ბეგარისებური წნეხის სამართლიანად განაწილებასაც გულისხმობს. იმაში გარკვევა კი, თუ ვინ იხდის ფაქტობრივად ამა თუ იმ გადასახადს, ხშირად ძალზე გართულებულია. ამის დასადასტურებლად შემდეგ უბრალო მაგალითს მოვიტანთ. თითქოსდა ცალსახად ნათელი უნდა იყოს, რომ სოციალური უზრუნველყოფის გადასახადის გაზრდის ტვირთი მეწარმეებს აწევა – ეს ბეგარა მათ მოგებასა და დივიდენდებს ამცირებს. მაგრამ თუ ამ გადასახადის მომატებამ სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შემცირება გამოიწვია (და ასეც ხდება პრაქტიკულად), მაშინ გასაგები ხდება, რომ საგადასახადო ტვირთის მნიშვნელოვანი ნაწილი იმათზე გადანაწილდება, ვის სასარგებლოდაც იქნა შემოღებული ეს ბეგარა. ამიტომ თვლის ამერიკელი ეკონომისტების დიდი ნაწილი, რომ სოციალური გადასახადის ძირითადი ტვირთი სწორედ დაბალხელფასიან დაქირავებულ მუშაკებს აწევა. მით უფრო გაუგებარია ის, რაც საქარ-

ეს სუფთა საბაზრო ურთიერთობების პირობებში ეროვნული შემოსავლის განაწილებაში შრომის ფაქტორის დაზარალებას (რაზედაც ვრცლად ვისაუბრეთ 2.2 პარაგრაფში), ეს უბრალოდ დაქირავებული მუშაკებისათვის კუთვნილის დაბრუნებაა და მის საზიანო ხასიათზე საუბარი არაკორექტულად გვესახება.

თველოში გაკეთდა. 2000 წლის აგვისტოში საგადასახადო კოდექსში (მ. 188) შეტანილ იქნა ცვლილება და დაწესდა, რომ იურიდიული პირების მიერ სოცუსრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდში დასაბეგრი თანხის 27%-ის გადახდისას საწარმოში დასაქმებულ ყოველ ფიზიკურ პირზე ამოღებული თანხა არ უნდა იყოს 16 ლარზე ნაკლები. ეს სიახლე თითქოსდა მხოლოდ ბიზნესმენტა შემოსავალს უნდა შეხებოდა; სინამდვილეში ამ გადასახადის სიმძიმე თითქმის მთლიანად დასაქმებულებს დააწვა – მოხდა დაბალხელფასიანების (ე.ი. დასაქმებულების უდიდესი ნაწილის) სამუშაოდან მასობრივი განდევნა ან ფაქტობრივად მომუშავეთა ოფიციალური მონაცემების გაყალბება. ასეთი გადაწყვეტილების მიღება ჩვენს ქვეყანაში (სადაც ხელფასზე საუბარი მისი სიმცირის გამო, რომ იტყვიან, ებადაღებული და თავშესაქცევი გახდა საზოგადოებაში), ვფიქრობთ, ამის ინიციატორ – მესვეურთა დაბალკვალიფიციურობაზე მიანიშნებს.

კიდევ ერთ სერიოზულ სირთულეზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება, რომელიც გვხვდება საგადასახადო პოლიტიკის გამოყენებით ეკონომიკის ფუნქციონირებაში დადებითი შედეგის მისაღებად ჩარევის საკითხის გადაწყვეტისას. ასეთი ჩარევა მიზნად ისახავს ერთობლივ მოთხოვნაზე და ერთობლივ მიწოდებაზე შემოქმედებას ან ეკონომიკაში სტრუქტურული სასურველი ცვლილებების მისაღწევად ცალკეულ დარგებში საგადასახადო შეღავათების (ან, პირიქით, შედარებით მაღალი განაკვეთების) დაწესებას. მაგრამ ამ გადაწყვეტილების მიღებისას ის კი არ არის მარტო საკმარისი, რომ ზუსტად გათვლილ იქნეს ამ შემოქმედებაზე (გადასახადის საშუალებით მოთხოვნის


გაზრდა ან შემცირება) შრომის და ინვესტიციების მიწოდების რეაგირება, მათი ელასტიკურობა; მეტად მნიშვნელოვანია ამ ჩარევის დროის დადგენა, იმის ზუსტი განსაზღვრა, განვითარების ციკლის თუ რა სტადიაზე აღმოჩნდა ეკონომიკა ამ ჩარევის რეალური ზემოქმედების მომენტში. თუ, მაგალითად, ეკონომიკაში მოთხოვნის შემცირების ღონისძიება (ბეგარის გაზრდა) ხელისუფლებამ მისი აღმავალ ფაზაში ყოფნის დროს მიიღო, მაგრამ ამ ღონისძიების რეალურად ამოქმედებისათვის (ამას კი გარკვეული დროითი ლაგი სჭირდება) სახალხო მეურნეობა უკვე დაცემის ფაზაში აღმოჩნდა, მაშინ ამ ჩარევას სასურველის საპირისპირო შედეგი მოჰყვება (შემცირებადი ან შემცირებული მოთხოვნა კიდევ უფრო შეიკვეცება).

ზემოგამართული შედარებით ვრცელი საუბარი სწორი საგადასახადო პოლიტიკის ჩამოყალიბების, ოპტიმალური ბეგარისებური წნეხის განსაზღვრის სირთულეზე იმიტომ დაგვჭირდა, რომ დაგვესაბუთებინა, თუ რა მაღალი ღონის პროფესიონალიზმია საჭირო ამ პრობლემის მეტ-ნაკლებად სწორად გადაწყვეტისათვის. სრულფასოვანი, ვარგისი საგადასახადო პოლიტიკის ჩამოყალიბებისათვის ერთი პრინციპული მიდგომის გათვალისწინება კი ყოველთვის აუცილებელია: რაც უფრო ნაკლები კერძო საქონლის, ასე ვთქვათ, „მსხვერპლად გაღება“ (ანუ რაც უფრო ნაკლები ბეგარის ამოღება) ხდება ქვეყანაში ერთი დამატებითი საზოგადოებრივი საქონლის შესაქმნელად, ე.ი. რაც უფრო შედეგია, რაც უფრო უკუგებიანად გამოიყენება ეს სახსრები (ან, უბრალოდ რომ ვთქვათ, რაც უფრო ქმედობაუნარიანია სახელმწიფო კოლექტიური მოხმარების სიკეთის შექმნაში), საერთო ჯამში მით

უფრო მეტი დოვლათი იქმნება და მოიხმარება ქვეყანაში. დამატებითი საზოგადოებრივი საქონლის შესაქმნელად ბეგარის ამოღებას რომ უარყოფითი ხასიათი აქვს ბიზნესისათვის, ჩვენ ამის თაობაზე უკვე ვისაუბრეთ. მაგრამ გარკვეულ ზღვრამდე პირველის (საზოგადოებრივი საქონლის) წარმოება მეორის (კერძო საქონლის) შემცირებაზე მეტია და მთლიანობაში ეროვნული შემოსავლის ზრდას აქვს ადგილი. ე.ი. არსებობს საზოგადოებრივი საქონლის წარმოებისათვის ეკონომიკიდან ბეგარის ამოღების რაღაცა ზღვრული დონე (იგივე კოლექტიური მოხმარების საქონლის მიღწევადი დონე), რომლის იქით კერძო საქონლის შემცირების კვალობაზე გარდუვალად ექნება ადგილი ეკონომიკურ დაცემას, ეშპ-ის (მაშასადამე, საგადასახადო ბაზის) შემცირების შედეგად თვით საზოგადოებრივი საქონლის წარმოების კლებას.

ეს მოსაზრებები უძვეს საფუძვლად ფრანგი წარმოშობის ამერიკელი მეცნიერის ა. ლაფერის დებულებას და მის ცნობილ მრუდს („ლაფერის მრუდი“ – იხ. ნახ.3), რომლის შესაბამისად საგადასახადო განაკვეთის ზრდა ბიუჯეტის შემოსავლის მომატებას მხოლოდ გარკვეულ წერტილამდე განაპირობებს; ამ ზღვარის შემდეგ შემოსავალი კლებას იწყებს. ამის მიზეზი კი ისაა, რომ, რაც უფრო მაღალია საგადასახადო განაკვეთი (საგადასახადო წნეხი), მით უფრო დიდია ბეგარაგადამხდელის სურვილი – მოტივაცია თავი აარიდოს მას. როგორც ლაფერი აღნიშნავდა, ადამიანები იმიტომ კი არ მუშაობენ, რომ ბეგარა იხადონ; შემოსავლისაგან გადასახადის გამოქვითვა განსაზღვრავს იმას, თუ რამდენად მათ უკმაყოფილოა კონკრეტული პიროვნება. გამოდის, რომ ბიუჯეტის შემოსავალსა

და საპროცენტო განაკვეთს შორის, ასე ვთქვათ, წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება არსებობს: გადასახადის გარკვეულ დონემდე (ზღვარი) ეს კაე- შირი პირდაპირია, მაგრამ მატებას კლებადი ხას- იათი აქვს; ამ ზღვარს იქით უკუკაეშირს ვღებუ- ლობთ, თანაც შემოსავლის კლება ბეგარის ზრდის კვალობაზე დაჩქარებულად მიმდინარეობს.



ნახ. 3. დამოკიდებულება ბიუჯეტში საგადასახადო შემო- სავალსა და დაბეგვრის დონეს შორის

ლაფერის მრუდი გვიჩვენებს, რომ ბეგარისე- ბური განაკვეთის ზრდას გარკვეულ დონემდე (ნახ- ატზე ზღვრული საგადასახადო განაკვეთი - სგ*) ბუჯეტის შემოსავლის (ბშ) ზრდა მოჰყვება. ე.ი. გადასახადის განაკვეთის მომატება შეიძლება, სანამ ხელისუფლება მოქმედებს, ასე ვთქვათ, მხოლოდ „ნორმალურ ზონაში“. თუ ფაქტობრივი საგადასახ-

ადო განაკვეთი ზღვრულ განაკვეთზე მეტი იქნება, ე.ი. „აკრძალურ ზონაში“ მოხვდება (ნახატ'სე, ვოქვათ, სგ₂), მაშინ შემცირდება მოსახლეობის დანაზოგი და შეიკვეცება ეკონომიკის ლეგალურ სექტორში ინვესტირების ინტერესი, შესაბამისად, საგადასახადო ბაზაც. ამასთან ბეგარის განაკვეთის ეს დასაშვები საერთო დონე სხვადასხვანაირია სხვადასხვა ქვეყანაში, გამომდინარე მისი მოსახლეობის მენტალიტეტიდან (ჩვენი აზრით, 30 პროცენტამდე, მაგრამ ეს უნივერსალური კი არ არის, არამედ უფრო აშშ-ის რეალობა¹) და სხვადასხვა სამეურნეო სუბიექტისათვის. გარდა ამისა, ძალზე რთულია მისი მიგნება. ეს უკანასკნელი კი მით უმეტეს იმიტომ, რომ, როგორც იგივე ნახატიდან ჩანს, ბიუჯეტის ერთნაირ შემოსავალს (ბშ₂) შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც ნორმალურ ზონაში (სგ₁-ის პირობებში), ისე აკრძალულშიც (სგ₂-ის პირობებში). ასე რომ, გამოყენების თვალსაზრისით, ზღვრული საგადასახადო განაკვეთის (ანუ ოპტიმალური ბეგარისებური წნეხის) დადგენისათვის ეს მრუდი, ჩვენი აზრით, უფრო თეორიული სარგებლიანობისაა, ვიდრე პრაქტიკული გაანგარიშების საშუალება: ის განამტკიცებს მეცნიერებაში, საზოგადოებაში, ხელისუფლებაში იმ სასარგებლო განწყობას, რომ ეკონომიკის საუკეთესო ფუნქციონირებისათვის, მასში მეწარმეობის მუხტის გაღვივება – გაფართოების უზრუნველყოფისათვის საჭიროა, რომ გადასახადი როგორც მთლიანად ქვეყანაში, ისე მეწარმეობის ცალკეული სასურველი მიმართულებით იყოს

¹ ამერიკელები თვლიან, რომ, თუ მათ ქვეყანაში ეროვნული შემოსავლის ბეგარისებური გადანაწილება შვეციის დონეზე იქნება (50 პროცენტზე მეტი), ეკონომიკური ზრდა შეჩერდება.

მინიმალური (ოპტიმალური), ე.ი. არ უნდა გასცდეს რაღაც ობიექტურად არსებულ ზღვარს.

როგორც ნახატიდან ჩანს, ზღვრული განაკვეთის მოცულობის ხაზისა და ბიუჯეტის მაქსიმალური შემოსავლის ხაზის გადაკვეთამდე (წერტილი A) გადასახადის ზრდა ხელს უწყობს (განაპირობებს) ბიუჯეტის შემოსავლის ზრდას; ამის შემდეგ შემოსავალი მცირდება, ვინაიდან მეწარმეობა ან ეცემა, ან ჩრდილოვან ეკონომიკაში გადადის, ან კიდევ ორივე მოვლენას აქვს ადგილი.

აქ აუცილებლად მიგვაჩნია შემდეგი მოსაზრების გამოთქმა: გადასახადის საერთოდ არარსებობის (როგორც ადრე, აქაც თეორიულ დაშვებაზეა საუბარი) ან აბსცისაზე მოცემული საგადასახადო განაკვეთის ფაქტობრივად ნორმალურ ზონაში (სგ*-ზე უფრო ნაკლები მოცულობის პირობებში) ყოფნისას კერძო ბიზნესი შემოსავლის მეტ ნაწილს დაზოგავდა და გამოიყენებდა ინვესტიციებზე და უფრო მაღალი იქნებოდა ეშპ-ის წარმოება, ვიდრე ეს იგულისხმება გრაფიკიდან გამომდინარე.

შევეცდებით უფრო გასაგებად ავხსნათ ეს დებულება.

ნახატზე გადასახადის სგ₁-ის განაკვეთის პირობებში ბიუჯეტის შემოსავალია ბშ₂. ვთქვათ, ეს უდრის 2 000 მლნ ლარს და ამდენივე ეშპ აწარმოვა სახელმწიფომ. დაუშვათ, რომ ამ შემოსავლის ბიუჯეტში ამოღების შესაძლებლობა განაპირობა 10 000 მლნ ლარის ეშპ-ის წარმოებამ. ვაკეთებთ რა ამის შემდეგ აბსტრაქტირებას ბიუჯეტისათვის ბეგარის სახით ბშ₂ შემოსავლის (2 000 მლნ ლარის) ამოღების აუცილებლობისაგან (ვთქვათ, ხელისუფლებამ იკმარა 1 500 მლნ ლარი და სახელმწიფომ აწარმოვა 500 მლნ ლარით ნაკლები კოლექტიური

მოხმარების საქონელი და ეს საკმარისი აღმოჩნდა საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად), ჩვენ ვთვლით და ვამტკიცებთ, რომ ამ შემთხვევაში ეშპ-ის წარმოება იქნება არა 10 000 მლნ. ლარი, არამედ რაღაც „**ნ**“ მოცულობით უფრო მეტი. ამ „მეტობას“ („**ნ**“ მოცულობას) კი განაპირობებს ის ცნობილი, აღიარებული და მათემატიკური გაანგარიშებებით დასაბუთებული დებულება, რომლის შესაბამისად სხვა თანაბარ პირობებში ფულის (კაპიტალის) ერთეული, გამოყენებული კერძო ბიზნესის მიერ, მეტ უკუგებას იძლევა სახელმწიფო სექტორთან შედარებით.

ვფიქრობთ, ასეთი მიდგომა საგადასახადო პოლიტიკის შეფასებისათვის, ბეგარის მოცულობის ოპტიმალურობის დადგენი-სათვის მართლზომიერია. მაგრამ აქედან გამოდის, რომ საგადა-სახადო განაკვეთის (ეკონომიკაზე ბეგარის საერთო მოცულობის) **A** წერტილამდე ზრდა კი უწყობს ხელს ბიუჯეტის შემოსავლის გადიდებას, მაგრამ გადასახადის ამ წერტილამდეც მატება არ შეიძლება ცალსახად შეფასდეს როგორც დადებითი (სასურველი) მოვლენა.

ამ მიდგომიდან ის დასკვნაც გამომდინარეობს, რომ გადასახადის მოცულობის და ბეგარისებური ტვირთის სიმძიმის შეფასებისას, საგადასახადო განაკვეთის მომატების საკითხის გადაწყვეტისას უფრო სწორია არა ამოღებული გადასახადის მოცულობის (ვთქვათ, „**X**“) შეფარდება მის საფუძველზე შექმნილი კოლექტიური მოთხოვნილების საქონლის ოდენობასთან (ვთქვათ, „**Y**“), არამედ ამ უკანასკნელის („**Y**“-ის) შედარება ეშპ-ის იმ მოცულობასთან, რომლის წარმოება ვერ მოხერხდა კერძო სექტორიდან „**X**“ ოდენობის ბეგარის აკრების

გამო (ეს ოდენობა „შექწირა“ Y მოცულობის კოლექტიური მოთხოვნების საქონელ – მომსახურების შექმნას). ეს შეწირული მოცულობა კი, გამოძინარე რესურსების კერძო საწყისებზე გამოყენებისას მეტი მწარმოებლურობის კონცეფციიდან (კერძო სტრუქტურების მიერ წარმოების ზრდის დაკარგული შესაძლებლობებიდან), იქნება $X+\Delta X$. მაშასადამე, ლაფერის მრუდის “ნორმალურ ზონაშიც” კი მნიშვნელოვანწილად არაკორექტულია გადასახადის მთლიანი მოცულობის მართლზომიერებაზე საუბარი. **A** წერტილამდე ბეგარის ზრდა შეიძლება, უკეთეს შემთხვევაში, დასაშვებად ჩაითვალოს; ხელისუფლების მოწადინება კი გადასახადის მოცულობის საკითხის გადაწყვეტისას, ჩვენი აზრით, **A** წერტილის მოძებნაში კი არ უნდა გამოიხატოს მარტო, არამედ ამის შემდეგ იმის აუცილებელივ მცდელობაში, რომ გადასახადის ოდენობა (საგადასახადო წნეხი) რაც შეიძლება დაბალი და მსუბუქი იყოს.

გადასახადი (გავიმეორებთ სხვა სიტყვებით ადრე თქმულს) ანტისტიმულია მეწარმეობისათვის არა რაღაც ზღვრული მოცულობის შემდეგ, არამედ ყოველთვის, ვინაიდან შემოსავლის ნებისმიერი ოდენობის ამოღება ზღუდავს, ჰკვეცს და ამცირებს მეწარმეთა შესაძლებლობას დააბანდონ შემოსავალი და გაზარდონ წარმოება. სხვა საკითხია, რომ გარკვეულ დონემდე (**A** წერტილი მრუდზე ან სგ* მოცულობა აბსცისაზე) ასეთ შეზღუდვებს ბიზნესი მოსათმენად თვლის და ეგუება. ამ ზღვარს შემდეგ კი გადასახადი, როგორც სწორად ასაბუთებდა ა. ლაფერი, ეკონომიკისათვის დამანგრეველ ხასიათს იღებს.

გამომდინარე უემოალნიშნულიდან, მიგვანინია, რომ ქვეყანაში გადასახადის მოცულობის საკითხი იმას კი არ უნდა დაუკავშირდეს, ის იმდენი კი არ უნდა იყოს, იმ წერტილამდე კი არ უნდა გაიზარდოს (მაქსიმუმში, ზღვრული), სანამ განაკვეთების ზრდა საგადასახადო ბაზის და, შესაბამისად, ბიუჯეტის შემოსავლის შემცირებას არ გამოიწვევს. ბიუჯეტის შემოსავლის მოცულობის ზღვარი უნდა იყოს არა გადასახადის შესაძლო ამოღების დონე (წერტილი **A** ლაფერის მრუდზე), არამედ ამის ფარგლებში (ე.ი. „ნორმალურ ზონაში“) ისეთი მოცულობა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ – ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე აუცილებელი (გარდაუვალი) საბიუჯეტო ხარჯების დაფარვას, სახელმწიფო საქონელ – მომსახურების ოპტიმალურ წარმოებას. ლაფერის მრუდიდან გამომდინარე უდავოდ მნიშვნელოვანი თეორიული მოსაზრებებიდან¹ ისეთი დასკვნა – რეკომენდაციის გამოტანა, რომ გადასახადი ამოღებული იქნეს ბეგარისებური განაკვეთის ზღვრულ დონემდე, ვფიქრობთ, არც თეორიულად არის გამართლებული და ბევრს არაფერს მოიტანს კარგს როგორც ეკონომიკის დინამიკური განვითარების უზრუნველყოფის და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების, ისე ბიუჯეტისათვის შემოსავლის გარანტირების თვალსაზრისით. ამ ზღვრული დონის მიგნება – განსაზღვრას, რამდენადაც ეს შესაძლებელია, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ხელისუფლების გადასახადის გაზრდის მისწრაფებისათვის აუცილებ-

¹ ეკონომიკურ თეორიაში შეტანილი ამ ღვაწლისათვის ა. ლაფერს „გადასახადების შემცირებაზე დამყარებული ახალი ეკონომიკური რელიგიის უმაღლეს სულიერ მოღვაწეს“ უწოდებენ.

ბელი ბარიერის დამკვიდრებისათვის. „ნორმალურ“ და „აკრძალურ“ ზონებს შორის ლაფერის მიერ საზღვრის გაღება ის ფასდაუდებელი მეცნიერული აღმოჩენაა, რომელიც გვკარნახობს, რომ ამაზე მეტი გადასახადის ამოღება ყოველნაირად მიუღებელი და დაუშვებელია. ისე კი, როგორც ჩვენ ვცდილობთ დავასაბუთოთ, კიდევ უფრო უკეთესია, რომ ნებისმიერი ხელისუფლება ესწრაფვოდეს არ მივიდეს ამ უკიდურესობამდე (ვინაიდან ეშპ-ის დანაკარგები მანამდეც არსებობს) და ეცადოს რაც შეიძლება უფრო დაბალ დონეზე ჩამოყალიბდეს საგადასახადო უღელი.

თავი 3. საბაღასახალო წმინი საქართვე- ლის ბარდამავალ ეკონომიკაში

3.1. საბაღასახალო წმინის სწორად გათვლა – ბაანბარიშებისა და განსაზღვრისათვის

ქვეყანაში ფაქტობრივად არსებული საბაღასახალო ტვირთის გაანგარიშება – შეფასება რომ ძნელია, ეს ზემოგამართული მსჯელობიდანაც ნათლად ჩანს. ამას მოწმობს, ალბათ, ისიც, რომ ასეთი გაანგარიშების ფართოდ აღიარებული მეთოდი არ არსებობს არც ჩვენთან და, როგორც ეტყობა, არც საზღვარგარეთ. ამასთან არასწორად გვესახება გაგრცელებული მიდგომა, როდესაც მთლიანად ეკონომიკაზე ბეგარისებური წნეხის სიმძიმე – სიმსუბუქის შეფასებისას ერთმანეთს ადარებენ სხვადასხვა ქვეყნებში არსებული ამა თუ იმ საბაღასახადების განაკვეთებს. ცალკეული საბაღასახადების მოცულობების შეფარდება, რა თქმა უნდა, მართლსაძიებია, ვინაიდან ამა თუ იმ ბეგარის გადასახადებზე ძირითადად ერთი საბაღასახადი ზემოქმედებს, მათ შორის განსაკუთრებით პირდაპირი (ვთქვათ, მოგების საბაღასახადი, ქონების საბაღასახადი). მაგრამ ამ შემთხვევაშიც მარტო განაკვეთების შედარება საკმარისი არ არის სწორი დასკვნის გაკეთებისათვის არა მარტო მთლიანად ეკონომიკაში არსებული ბეგარისებური წნეხის, არამედ კონკრეტული სუბიექტების საქმიანობაზე, მათ მოტივაციაზე ზემოქმედების შეფასებისათვისაც. გარდა ცალკეული საბაღასახადების არსებული განაკვეთების შედარებისა, აუცილებელია იმაში გარკვევაც, თუ როგორ განისაზღვრება ამა თუ იმ ქვეყანაში

დაბეგერის ბაზა; მეწარმის ქმედობაზე ბეგარის დამახინჯებითი ხასიათის დასადგენად საჭიროა აგრეთვე იმის დადგენა და გაანგარიშებაში ჩართვა, თუ რა სახის სხვა გადასახადს იხდის სამეურნეო სუბიექტი.

ამასთან დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ საგადასახადო პოლიტიკის მთლიანობაში შეფასებისათვის ცალკეული გადასახადების სხვადასხვა ქვეყნებში არსებული განაკვეთების ერთმანეთთან შედარება არასწორია. როგორც გერმანელი მეცნიერი ეკონომისტი პ. ფონ დერ ლიპე აღნიშნავს, მთლიანად საგადასახადო წნეხის შეფასებისათვის ასეთი მიდგომა მიუღებელია, ვინაიდან სხვადასხვა ქვეყნებში სრულიად განსხვავებული სისტემები არსებობს¹. ცალკეული გადასახადების ანალიზის საფუძველზე გამოტანილი დასკვნა უპერსპექტივოა მისი სისწორის დასაფუთების თვალსაზრისითაც: დავა ასეთი მიდგომის პირობებში დაუსრულებლად შეიძლება გაგრძელდეს, ვინაიდან ყოველთვის მოიძებნება განსხვავებული მაგალითები, როდესაც შედარებით მეტი განაკვეთის პირობებში სამეურნეო აქტივობა არა მარტო არ არის ჩაკლული, არამედ ძალზე ინტენსიურია. გარდა ამისა (და ესაა მთავარი), სხვადასხვა გადასახადების ცალკეულ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ განაკვეთებს საერთო ბევრი არაფერი აქვს მთელ სახალხო მეურნეობაში არსებულ ბეგარისებურ დატვირთვასთან.

მიგვახსნია, რომ მთლიანად ეკონომიკაში ერთობლივი შინა პროდუქტის (ეროვნული შემოსავ-

Петер фон дер Липпе. Экономическая статистика, т.1. – Висбаден. Федеральное статистическое управление Германии, 1995. стр. 399. სამწუხაროდ, თვითონ ლიპეც არ იძლევა ერთობლივი საგადასახადო წნეხის გაანგარიშების მეთოდოლოგიას.

ლის) გადასახადების მეშვეობით გადანაწილების მართლ'ზომიერების, ქვეყანაში მეწარმეობისათვის საგადასახადო პოლიტიკის მისაღებობის (სასურველობის) შეფასებისათვის (ე.ი. კონფისკაციურია ის საერთო ჯამში თუ ოპტიმალური) საჭიროა გაანგარიშებულ იქნეს ბეგარისებური და სხვა სავალდებულო გადასახადების საერთო მოცულობის შეფარდება **ლ ე გ ა ლ უ რ** ერთობლივ შინაგან პროდუქტთან ჩრდილოვანი ეკონომიკის გარეშე ან, უფრო უკეთესი, ლეგალური ეშპ-ის იმ ნაწილთან, რომელიც, ასე ვთქვათ, „გასუფთავებულია“ იმ მოცულობისაგან, რომლის წარმოება (რეალიზაცია) არ იბეგრება გადასახადით.

ზემოშემოთავაზებული მიდგომის (რომ წნეხის გაანგარიშებაში ჩართული იქნეს პროდუქციის მხოლოდ ლეგალურ სექტორში წარმოება) მართლ-ზომიერებას, სხვა მიზეზებთან ერთად, კიდევ უფრო განამტკიცებს ეშპ-ის აღრიცხვაში ბოლო დროს მომხდარი ცვლილებები. როგორც ცნობილია, ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, რომელიც აღრიცხავს ერთობლივ შინაგან პროდუქტს და ეკონომიკის განვითარების სხვა განზოგადებულ მნიშვნელოვან ასპექტებს, 1968 წლის ვერსიის შესაბამისად ეშპ-ის მოცულობის გაანგარიშებისას ეყრდნობოდა ე.წ. „მორალურ - ეთიკურ“ მიდგომას: რაც უკანონოდ იყო მიჩნეული საზოგადოებრივი თვალსაზრისით, იმის წარმოება მისთვის არ არსებობდა. ე.ი. ეშპ-ის მოცულობაში არ აღირიცხებოდა ე.წ. „ცუდი“ საქონელი და მომსახურება - ისეთი უკანონო პროდუქცია, როგორიცაა: ნარკოტიკული საშუალებები; პროსტიტუცია და პორნოგრაფია; კონტრაბანდა; დატაცება და მოპარულის გადამალვა; მექრთამეობა; ფულის გათეთრება; გამოძალვა; ყალბი

(რიოში) პროდუქცია; ისეთი საქმიანობა, რომელიც პრინციპში ნებადართულია, მაგრამ მას ასრულებს პირი (მწარმოებელი), რომელსაც ამის უფლება არა აქვს; ბრაკონიერობა; ფალსიფიცირებული საქონელი და სხვა. ეშპ-ში არ აღირიცხებოდა აგრეთვე ის, რაც საოჯახო მეურნეობებში იწარმოებოდა საკუთარი მოხმარებისათვის.

გასაგებია, რომ საზოგადოებაში ადამიანების ქცევა (რომლის შესწავლაა სწორედ ეკონომიკური მეცნიერების საგანი) იმ შედარებით ფასებსა და რეალურ დანახარჯებს ეყრდნობა, რომლებიც ფაქტობრივად ყალიბდება ეკონომიკაში (და ამაში უკანონო საქმიანობას და საკუთარი მოხმარებისათვის პროდუქციის წარმოებას ყველგან მეტ-ნაკლებად საგრძნობი, ჩვენთან კი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს), და არა ხელოვნურ, ჰიპოთეტიკურ სიტუაციას, რომელსაც „ცუდი“ საქონლის გამოქლების შედეგად (არდანახვის გამო) წარმოაჩენდა ხოლმე სტატისტიკა. აღირიცხვის ეს ნაკლოვანება გამოსწორებულ იქნა ეას-ის 1993 წლის ვერსიის შესაბამისად; ამიერიდან რეკომენდებულია ფარული, არალეგალური და არაფორმალური¹ ეკონომიკა, აგრეთვე საწარმოო საქმიანობის სხვა სახეები, რომლებიც არ არის მოცული ეროვნული სტატისტიკური სისტემების მიერ, შესაბამისი გაანგარიშებების საფუძველზე² წართულ იქნეს ეშპ-ის მოცუ-

¹ მიუხედავად მოცვის გაფართოებისა, საოჯახო მეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის წარმოებული საქონელ - მომსახურების დიდი ნაწილი კვლავინდებურად არ აღირიცხება ეშპ-ის მოცულობაში.

² ეას-ის ახალი ვერსიის რეკომენდაციების შესრულებაში დახმარებისათვის უმსხვილესი საერთაშორისო ფინანსურ - ეკონომიკური ორგანიზაციების და განვითარებული სტატისტიკის მქონე ქვეყნების ექსპერტების მიერ შექმნილ იქნა ვრცელი „სახელმძღვანელო დაუკვირვებლად ეკონომიკაზე“

ლობაში. გასაკებია, რომ ასეთი წესით გაანგარიშებული ეშპ-ის მანვენებლის (ე.ი. რეგისტრირებულ სექტორთან შედარებით მნიშვნელოვნად გაზრდილის - ჩვენთან ეს დაახლოებით 55 პროცენტია) გამოყენება საგადასახადო წნეხის გაანგარიშებისათვის ვერ გამოდგება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ უფრო მართლზომიერია ბეგარისებური წნეხის იმ სამეურნეო სუბიექტებზე გათვლა, რომლებმაც უნდა გადაიხადონ და იხდიან გადასახადს.

საგადასახადო წნეხის გაანგარიშების ჩვენს მიერ შემოთავაზებული მიდგომის კონკრეტიზაციისას წარმოჩინდება, რა თქმა უნდა, მეთოდოლოგიურად პრინციპულ და სტატისტიკურად რთულად გადასაწყვეტ (მაგრამ მოგვარებად) საკითხთა დასტა, რომელიც დაკავშირებულია, ერთი მხრივ, იმასთან, თუ როგორ უნდა იქნეს გაანგარიშებული „ბეგარისებური გადასახდელების“ მოცულობა (ე.ი. წილადის მრიცხველი) და, მეორე მხრივ, რას შეუფარდდეს ის (როგორ იქნეს გათვლილი წილადის მნიშვნელი).

ბეგარისებური ტვირთის გაანგარიშების აღიარებულ - აპრობირებული მეთოდის არარსებობა განაპირობებს იმას, რომ დღესდღეობით არ მოგვეპოვება ამ მოვლენის ამსახველი და მეტ-ნაკლებად მისაღები ოფიციალური სტატისტიკური მანვენებელი. ამიტომ არის, რომ ხშირად სხვადასხვა, მკვეთრად განსხვავებულ ციფრებს ვხვდებით (ზოგჯერ ერთ და იგივე პუბლიკაციაშიც კი); შესაბამისად, სხვადასხვა და ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნები და მოვლენის შეფასება: ერთნი, მოიშვე-

(Manual of the non observed economy), რომელშიც განზოგადებულია ეკონომიკის ამ სფეროს გაზომვის საკითხები.

ლიებენ რა მონაცემებს, რომ ეს მანვენებელი საქართველოში 10-15 პროცენტს არ აღემატება, ასევე იან, რომ, რაკი განვითარებულ ქვეყნებში ეს პროცენტი გაცილებით უფრო მაღალია (30-55 პროცენტი), ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება – ლიკვიდაციის მიზნით აუცილებელია გადასახადების გაზრდა; მეორენი (უფრო იშვიათად) ასახელებენ 60 და უფრო მაღალ პროცენტს¹ და აყენებენ ეკონომიკის აღორძინება – განვითარების უზრუნველყოფისათვის ბეგარისებური წნეხის შემცირების საკითხს.

საქმე ის არის, რომ სხვადასხვა ავტორები, სამეცნიერო ცენტრები, სახელმწიფო სტრუქტურები საგადასახადო წნეხის საერთო მოცულობის (ე.ი. მთლიანად ეკონომიკისათვის) გაანგარიშებისას სხვადასხვა ციფრებს სვამენ შეფარდების როგორც მრიცხველში, ისე მნიშვნელში. ზოგიერთი თვლის, რომ ბეგარისებური ტვირთის გაანგარიშებაში უნდა ჩაითვალოს პირდაპირი გადასახადები, სხვები ამას არაპირდაპირ ბეგარას და საერთოდ ყოველგვარ აუცილებელ გადასახადებს უმატებენ. ბეგარისებური გადასახადების ცნებას ერთნაირად არც დასავლეთში აღიქვამენ. აშშ-ში, მაგალითად, მასში შეაქვთ ანარიცხები სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდებში (როგორც სოციალური გადასახადი); სხვაგან ასე არ ხდება. პრინციპში ამერიკელთა მიდგომა სწორი უნდა იყოს: სამეურნეო (კომერციულ) საქმიანობაზე გადასახადის შემოქმედების თვალსაზრისით, კონკრეტული ბიზნესმენის მეწარმეობისათვის

¹ გ. ანდლულაძეს მიაჩნია, მაგალითად, რომ საქართველოს ბიუჯეტში „კონცენტრირებულია ქვეყნის რესურსების (!) ძირითადი ნაწილი (გ. ანდლულაძე. სახელმწიფოს როლი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრობებში. - ე. „პოლიტიკა“. 2000 წ., N2. გვ. 66).

(მაშასადამე, მთლიანად ეკონომიკაშიც) მართლაც და არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ ვის სასარგებლოდ ამოიღება მისგან სავალდებულო გადასახდელი და რა ქვეია ამას. ანარიცხები საპენსიო და საგსაო ფონდებში, დასაქმების ფონდში, სოციალური და სამედიცინო დაზღვევის ფონდებში და სხვა აუცილებელი გადასახდელი, რომელსაც გადასახადი არ ეწოდება, ჩვეულებრივად აწვება მეწარმეს, მოქმედებს მის მეწარმეობრივ მუხტზე.

ასეა თუ ისე და რა პოზიციაზეც არ უნდა ვიდგეთ ამ საკითხში, ერთ რამეში აზრთა სხვაობა არ უნდა იყოს: სხვადასხვა ქვეყნების მონაცემების ერთმანეთთან შედარება დასაშვებია (კორექტულია) მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს მაჩვენებლები გაანგარიშებულია ერთნაირ (ერთ) მეთოდოლოგიურ საწყისებზე. თუ არადა ის, რასაც ჩვენთან ვხვდებით, როდესაც ბეგარისებურ გადასახდელებში მხოლოდ „სუფთა“ გადასახადები შეაქვთ (ე.ი. მრიცხველი შემცირებულია), ხოლო ეშპის მოცულობაში ჩრდილოვანი ეკონომიკაც ჩათვლილია, ე.ი. საგრძნობლად ზრდიან მნიშვნელს, ასეთი წესით მიღებული წნეხი არაფრის მთქმელია და მისი სხვა ქვეყნების მონაცემებთან შედარება უაზრობაა. ასეთი მიდგომით გაანგარიშებული საგადასახადო დატვირთვა ხელოვნურად შემცირებულია (და არა დაბალი): 7-10 პროცენტი, ნაცვლად შემოდასახელებული მიდგომის შესაბამისად გაანგარიშებული დაახლოებით 40-45 პროცენტისა. ამის შედეგია, ალბათ, მ. ჭკუასელის მოსაზრება, რომლის შესაბამისად საქართველოში საგადასახადო წნეხი თითქოსდა ყველაზე დაბალია მსოფლიოში¹.

¹ ჭკუასელი მ. საქართველოს დამოუკიდებელი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება. - უ. „მაკრო - მიკროეკონომიკა“, 1995, 5, გვ. 22.

ასეთი მდგომარეობა, საქართველოში განსაკუთრებულად დაბალი საგადასახადო წნეხის არასწორი დებულების გავრცელება ართულებს, ჩვენი აზრით, ქვეყანაში სრულყოფილი, ეკონომიკის განვითარების უსრუნველყოფისათვის სასარგებლო საგადასახადო პოლიტიკის ჩამოყალიბებას. ნუთუ გაუგებარია: 1) რომ ბეგარის გადამხდელისთვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ რას დავარქმევთ ჩვენ მისგან დამალვებით ამოღებულ თანხას; 2) რომ ჩრდილოვანი ეკონომიკა ბეგარას არ იხდის, მაშასადამე, საგადასახადო წნეხის მანვენებლის გაანგარიშებაში მისი ჩათვლა (ამ მოცულობით მნიშვნელის გაზრდა) არაკორექტულია და დამახინჯებულად (შემცირებულად) წარმოაჩენს რეალურ სიტუაციას, ბეგარის გადამხდელთა სამეურნეო (კომერციული) საქმიანობის გადასახადით დატვირთვას? ადრეც დაგვიწერია და აქაც გავიმეორებთ, რომ საგადასახადო წნეხის 10 და 15 პროცენტის ფარგლებში წარმონენა, როდესაც დამატებული ღირებულების გადასახადი 20 პროცენტია, უხერხულია: ქვეყანაში წარმოებული დალიგას ჯამი ხომ ერთობლივი შინაგანი პროდუქტია.

ე.ი. საგადასახადო წნეხის ქვეშ მართლსომიერი ვიგულისხმობთ კანონის, აგრეთვე სხვა სახელმწიფო სტრუქტურების ნორმატიული აქტების შესაბამისი ყველა გადასახდელის შეფარდება ლეგალური ეშპ-ის მოცულობასთან¹ ან, უფრო უკე-

¹ დაახლოებით ასეთ მიდგომაზე დაყრდნობით გაანგარიშებული ბეგარისებური გადასახდელები გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში შეადგენდა იაპონიაში 27%-ს, აშშ-ში 29%-ს, ინგლისში 39%-ს, გერმანიაში 40%-ს, საფრანგეთში 43%-ს, რუსეთში 50%-ს, შვეციაში 54%-ს. აქ ერთ რამესაც უნდა გაესვას ხაზი: ეს მონაცემები გაანგარიშებულია ეას-ის 1968 წლის ვერსიის შესაბამისად; გარდა ამისა, ერთიანი

თესი, ლეგალური ეშპ-ის იმ ნაწილთან, რომელმაც, არსებული წესის შესაბამისად, უნდა გადაიხადოს ბეგარა (აუცილებელი გადასახდელი). სწორედ ეს უკანასკნელია, ჩვენი აზრით, ბიზნესისათვის, სამეურნეო საქმიანობისათვის ქვეყანაში არსებული გადასახადების ნამდვილი სიმძიმე, რომელიც შეიძლება დასაშვები (აუცილებელი, გარდუვალი) ან მიუღებელი იყოს წარმატებითი მეურნეობრიობისათვის; თუ ეს ტვირთი აუცილებელზე (შესაძლო მინიმალურზე) მეტია, მაშინ იწყება ქვეყანაში ლეგალური კომერციული და საერთოდ სამეურნეო საქმიანობის საგრძნობლად შეკვეცა, შესაბამისად, საგადასახადო ბაზის შემცირება. ამ სიმძიმის (წნეხის დონის) შეგრძნება და მისაღებობის განსაზღვრა, შესაბამისად, ადამიანების (ბეგარაგადამხდელების) ეკონომიკური ქცევა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის ქვეყნის მოსახლეობის ეკონომიკურ ტრადიციებზე, სახელმწიფოსადმი საზოგადოების ნდობაზე, მისი (საზოგადოების) მწვავე სოციალური პრობლემების სახელმწიფოებრივ საწყისებზე გადაწყვეტის რეალურ განწყობაზე და სხვა. აქედან გამომდინარე, საგადასახადო წნეხის ოპტიმალური მოცულობა განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში; სწორედ ამას მოწმობს ზემოთ მოტანილი (სქოლიოში) ციფრები, რომლებიც მეტ-ნაკლებად ზუსტად ასახავს საგადასახადო ტვირთს შესაბამის ქვეყნებში.

მიუხედავად წნეხის მოცულობის ასეთი განსხვავებულობისა, პრაქტიკულად ყველა ზემოთ

მეთოდოლოგიის არარსებობისა და სხვადასხვა ქვეყნებში ეკონომიკის განსხვავებული სტრუქტურის გამო ამ მაჩვენებლების შეფარდების მართლ-ზომიერების აბსოლუტიზაციაც არ შეიძლება.

ჩამოთვლილ ქვეყანაში მყარი ეკონომიკური ზრდა და მოსახლეობის ცხოვრების მაღალი დონე აღინიშნება. ამ ქვეყნების საგადასახადო სისტემები ისტორიულად სხვადასხვა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მოვლენების ზეგავლენით ჩამოყალიბდა და ამან განაპირობა ერთმანეთისაგან განსხვავება არსებული გადასახადების რაოდენობითა და მათი სახეების სტრუქტურით, ხელისუფლების სხვადასხვა დონის ფისკალური უფლებების, გადასახადების გამოყენებით ეკონომიკური პრობლემების რეგულირება – მოსწორების თვალსაზრისით. ამ სისტემების განსხვავებას ისიც განაპირობებს უდავოდ, ეკონომიკური თეორიის თუ რაკონცეფციის მიმდევარი და ერთგულია ქვეყნის ხელისუფლება. გამოდის, რომ საგადასახადო წნეხის სწორად და ერთნაირად (ერთი მეთოდოლოგიის საწყისებზე) გაანგარიშების შემთხვევაშიც კი სხვადასხვა ქვეყნების მონაცემების ერთმანეთთან შედარება რაღაც კარდინალური გადაწყვეტილების მიღებისათვის არ გამოდგება. იაპონელები არ აპირებენ აწიონ საგადასახადო წნეხი შვეციის ეკონომიკის დონემდე, არც შვედები ფიქრობენ ეროვნული შემოსავლის გადანაწილების რევოლუციურად შემცირებაზე. ამასთან, მიუხედავად ციფრების განსხვავებულობისა, საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების ხელისუფალნი პრაქტიკულად ყველგან უდიდესი ნდობით არიან განწყობილი კერძო ბიზნესისადმი და, როგორც წესი, არ ეცილებიან მას ისეთი სიკეთის შექმნაში, რომლის წარმოებაში კომერციული საქმიანობა მაღალეფექტიანია. ეს გვაძლევს უფლებას დავასკვნათ (უფრო სწორად, გავიმეოროთ სხვა სიტყვებით ადრე ნათქვამი, ვინაიდან ამას 23 პარაგრაფშიც შევეხეთ), რომ განვითარებული ქვეყ-

ნების სახელმწიფოები ერიდებიან ეკონომიკის ბეგარით გადატვირთვას.

საგადასახადო წნეხის ჩვენს მიერ შემოთავაზებული მიდგომის გამოყენებით სტატისტიკური გაანგარიშება შესაძლებელია და, ვფიქრობთ, სწორედ ასეთი მიდგომა უნდა იყოს გამართლებული სახალხო მეურნეობაში მეწარმეობისათვის გადასახადის მოცულობის სიმძიმის შეფასებისათვის, იმის დასადგენად, კონფისკაციურია თუ მისაღებია (დასაშვებია) კერძო სექტორისათვის ხელისუფლების საგადასახადო პოლიტიკა. მართლაც, რაკი გადასახადის სიმძიმე – სიმსუბუქეზეა საუბარი, გაუმართლებელია ამ მსჯელობაში იმ სამეურნეო სუბიექტების ჩართვა, ვინც საერთოდ არ იბეგრება ან იბეგრება, მაგრამ არ იხდის (ვინც არ იხდის, ის წნეხს გადაურჩა, უკვე გაეცალა მას). სხვა საკითხია, რომ ამ უკანასკნელთ შეიძლება ბეგარისაგან ასეთი „გადარჩენისათვის“ ვიღაცა რაღაცას გამოსტაცებს, წაგლეჯს (ასეც ხდება ეს უეჭველად), მაგრამ ეს სახელმწიფო ბეგარა კი არა, კრიმინალური გადასახდელია (თუმცა ამავდროულად სახელმწიფოს სუსტი ქმედობაუნარიანობის მანიჟენბელი).

ჩვენი ასეთი მიდგომა სახელმწიფოს საგადასახადო წნეხის გაანგარიშებისადმი არ ნიშნავს, რომ არ შეიძლება ან სასარგებლო არ იქნება ისეთი მონაცემების გათვლა, რომელიც გვინიყენებს, თუ რა მოცულობის ბეგარის ამოღება შეიძლება აბსოლუტური საგადასახადო დისკრიპლინის პირობებში ქვეყანაში არსებულ საგადასახადო სისტემაზე (ბეგარისებურ განაკვეთებზე) დაყრდნობით, და ის მოიცავს ეკონომიკის არალეგალურ სექტორსაც (ჩრდილოვან ეკონომიკას). მაგრამ ასეთი მანიჟენ-

ბელი ბეგარისებური წნეხის დახასიათებისათვის არ გამოდგება. ეს უფრო ქვეყნის საგადასახადო პოტენციალის გამოყენების რეალიზაციის თეორიულად (აკადემიურად) დამახასიათებელი, ნაკლებად პრაქტიკული მნიშვნელობის მონაცემი იქნება, რადგანაც რეალურად მიუღწეველია როგორც აბსოლუტური საგადასახადო დისციპლინა, ისე მთელი ჩრდილოვანი ეკონომიკის ღუგალიზაცია („გათეთრება“); გარდა ამისა, ჩრდილოვანი ეკონომიკის გაანგარიშებითი მოცულობა, როგორც წესი, იმდენად მიახლოებითია, რომ ამ მანუქებლის საფუძველზე შორს გამიზნული პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავება მეტად გაძნელებულია.

გადასახადის სიმძიმის ეკონომიკაზე, სამეურნეო საქმიანობაზე ზემოქმედების საჭირო ღონეზე გაანალიზებისათვის სერიოზული მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევასაც, თუ რამდენად სამართლიანად ნაწილდება ერთობლივი საგადასახადო წნეხი სხვადასხვა მეურნეობრივ სუბიექტებზე, მწარმოებლებზე და მომხმარებლებზე, მოსახლეობის სხვადასხვა ფენებზე, ვინაიდან მისი (ბეგარისებური ტვირთის) მთლიანად მისაღებობის პირობებშიც გადასახადებს, მათი არამართლზომიერი განაწილების გამო, შეიძლება მაინც ჰქონდეს სერიოზული დამახინჯებითი ხასიათი. ასევე ითქმის გადასახადების სტრუქტურაზეც.

ბეგარის (ბეგარისებური წნეხის) სასოგადოებაში განაწილების საკითხი, პრობლემის სოციალურად მწვავე ხასიათთან ერთად, მეცნიერთა და პრაქტიკოსთა მეტ ძალისხმევას მითხოვს გადასახადის ფაქტობრივი განაწილების დადგენის სირთულეებთან დაკავშირებით. საკმარისია, მაგალითად, აღინიშნოს, რომ აშშ-ის ეკონომისტები იმ თითქოს-

და უბრალო საკითხშიც არ არიან შეთანხმებული, თუ ვინ იხდის კორპორაციების მოგების გადასახადს: კაპიტალის მესაკუთრეები თუ საქონლის მომხმარებლები. არც აშშ-ში და არც სხვაგან არ არსებობს საერთო შეთანხმება, თუ რა ითვლება ამ საქმიანობაში (გადასახადის განაწილებაში) სამართლიანობად და რა არა. ამასთან სამართლიანად უნდა ჩაითვალოს, ალბათ, ის საგადასახადო სისტემა, რომლის მოქმედების (განხორციელების) შედეგად მიიღწევა ყველა ბეგარაგადამხდელისადმი (იურიდიული და ფიზიკური პირისადმი) ერთნაირი მიდგომა¹. მაგრამ საბაზრო ეკონომიკის თანდაყოლილი ნაკლის გამო – რომ მისი აბსოლუტურად თვითრეგულირებადი განვითარების პირობებში ადგილი აქვს საზოგადოების ძალზე მდიდრებად და ძალიან ღარიბებად დაყოფას – ასეთი საერთო მიდგომაც კორექტირებულ უნდა იქნეს გარკვეულწილად იგივე საგადასახადო სისტემის გამოყენებით. საუბარი გვაქვს ქონებრივი მდგომარეობის და შემოსავლის მოცულობის პოზიციიდან პროგრესიული საგადასახადო განაკვეთების დაწესების მიზანშეწონილობაზე. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ საზოგადოების განსაკუთრებით შეძლებული და ძალიან მაღალი შემოსავლების მქონე წევრები შედარებით უფრო

¹ რა თქმა უნდა, შეიძლება შეგვეღაპონ თვით „ერთნაირი მიდგომის“ სამართლიანობაშიც და ეს შენიშვნა მართლზომიერი იქნება: რაკი ადამიანები ერთნაირები არ არიან (ერთი აქციზით დაბეგრილ სიგარეტს ეწვეა ან ზომიერად მიირთმევს ალკოჰოლურ სასმელს, მეორე კი არც ეწვეა და არც სვამს), ეს მიდგომა უსამართლობას ქმნის ბეგარის გადახდის თვალსაზრისით. მაგრამ ჩვენ ასეთი მიდგომის პრიორიტეტულობაზე (სამართლიანობაზე) იმიტომ ვამახვილებთ მანც ყურადღებას, რომ ის საშუალებას აძლევს ყველას სურვილის და მოწადინეობის შემთხვევაში არ გადაიხადოს სხვაზე მეტი ბეგარა.

აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო სახელმწიფო მომსახურების (საზოგადოებრივი საქონლის) წარმოებაში. ე.ი. ვინც ეკონომიკურად სხვებზე გაცილებით უფრო უკეთეს მდგომარეობაშია, ვისაც საზოგადოების სხვა წევრებთან შედარებით ბევრად უფრო მეტი შესაძლებლობები გააჩნია, სახელმწიფოს შენახვაში, კოლექტიური მოხმარების საქონელ – მომსახურების წარმოების უზრუნველყოფაში მათი წილი მეტი უნდა იყოს, უფრო სწორად, მათ საკუთარი შემოსავლიდან, ღარიბებთან შედარებით, მათდამი გადასახადის პროგრესიული განაკვეთის დაწესების კვალობაზე მეტი წილი უნდა გაიღონ საერთო ყულაბაში. ეს ხელს შეუწყობს სოციალური ორიენტაციის ქვეყანაში უფრო მეტი თანასწორობის დამყარებას¹.

ამასთან საგადასახადო სისტემაში ამ მოსაზრების (ამ მიდგომის) ჩადებისას აუცილებელია დიდი სიფრთხილე და წინდახედულობა, მეწარმეების, ბუგარაგადამხდელეების მენტალიტეტში დეტალური გარკვევა, რომ ამ ღონისძიებამ არ გამოიწვიოს უშპის წარმოების, თვით საგადასახადო ბაზის შემცირება. გარდა ამისა, ისიც ფაქტია (მაშასადამე, ყურადღება მისაქცევია), თუ რა სირთულეებთან არის დაკავშირებული იმის დადგენა – შეფასება, თუ ვინ არის უკეთეს მდგომარეობაში და ვის გააჩნია ბუგარის გადახდის მეტი შესაძლებლობები. მთავარია, ალბათ, ერთი პრინციპის დაცვა მაინც, რომ გადასახადების (შემოსავლის) ასეთი გადანაწილების

¹ აქვე აღვნიშნავთ, რომ როგორც სამართლიანობის, ისე თანასწორობის კატეგორიების გაგებაში ეკონომისტებში (სოციოლოგებში) ერთიანი მოსაზრება არ არსებობს, ამის განსაზღვრის ამოსავალი ბაზა მიგნებული არ არის.

შედგებად ღარიბების მიერ მიღებული სიკეთის ზღვრული სარგებლიანობა აღემატებოდა მდიდრებისათვის მათგან ამოღებული სიკეთის ზღვრულ სარგებლიანობას, რომ ასეთი გადანაწილების შედეგად არ შემცირდეს მთლიანად საზოგადოების კეთილდღეობა. რაკი საგადასახადო განაკვეთის პროგრესიული ხასიათი ვახსენეთ და ასეთ დაბეგვრას დავეუჭირეთ მხარი¹, საჭიროა ხაზი გავესვათ იმ გარემოებას, რომ ბეგარის პროგრესიული და რეგრესული ხასიათი მარტო მისი განაკვეთის ხასიათზე არ არის დამოკიდებული. მინეულია, მაგალითად, რომ სიგარეტზე უცვლელი გადასახადი ფაქტობრივად პროგრესიულია ღარიბებისათვის, ვინაიდან ისინი მის შექენაზე შემოსავლის მეტ ნაწილს ხარჯავენ, ვიდრე მდიდრები. პირიქით, ფაქტობრივად პროგრესიული ხასიათისაა პარფიუმერიის ნაწარმზე მყარი გადასახადი, ვინაიდან, როგორც დაკვირვებებიდან ჩანს, ღარიბებთან შედარებით მდიდრების მიერ მასზე დანახარჯების კეთრი წონა მეტია მათ შემოსავალში.

გადასახადების სწორი სტრუქტურის ჩამოყალიბებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს შორის ოპტიმალური შეფარდების მიღწევას. არაპირდაპირი გადასახადები ბიუჯეტის ეფექტიან ფისკალურ ინსტრუმენტად არის აღიარებული და ფართოდ გამოიყენება დასავლეთის ბევრ ქვეყანაში ამ ბეგარის უბრალოებისა და ამოღების სიადვილესთან დაკავშირებით². მით უფრო „გამოყენებადია“ ეს

¹ ზოგიერთი მკვლევარი ამის წინააღმდეგია სამართლიანობის დამკვიდრების პოზიციიდანაც კი.

² თუმცა ყველგან არა. აშშ-ში, მაგალითად, უარი თქვენს ასეთ გადასახადებზე. ამასთან იმ ქვეყნების უმეტესობაშიც, სადაც ადგ-

ბეგარა პოსტსოციალისტური გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, სადაც კერძო სექტორის დაბეგურის ტრადიციები ფაქტობრივად არ არსებობს და გადასახადის ამოღება სხვადასხვა მიზეზების გამო ძალზე გართულებულია. ამასთან ამ პირობების გადაწყვეტისას (არაპირდაპირი და პირდაპირი გადასახადების შეფარდების ჩამოყალიბებისას) აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს, რომ სამართლიანობის პრინციპის დამკვიდრებას ხელს არ უწყობს არაპირდაპირი გადასახადები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს დაყოფა გარკვეულწილად პირობითია, მიახლოებითია, ვინაიდან ერთი გადასახადი შეიძლება მეორეში გადავიდეს და პირიქით. თუ, მაგალითად, შესაძლებელია მოგებაზე გადასახადის ფასებზე გადატანა, მაშინ ეს პირდაპირი ბეგარა ფაქტობრივად არაპირდაპირის ხასიათს იღებს. ასევე არაპირდაპირი დამატებული ღირებულების გადასახადი ბაზარზე მოსახლეობის დაბალი მიდევლობითი უნარიანობის პირობებში (როგორც ჩვენთანაა) მნიშვნელოვანწილად პირდაპირ ბეგარად იქცევა (მცირდება მოთხოვნა, კლებულობს რეალიზაცია). აქედან გამომდინარე. ვფიქრობთ, ეკონომიკის განვითარებას, ბაზარზე სამამულო წარმოების ხვედრითი წონის ზრდას აყვრებს გარკვეულწილად ჩვენთან ჩამოყალიბებული შეფარდება პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს შორის (მარტო დადიგაზე მთელი საგადასახადო შემოსავლის 40 პროცენტზე მეტი მოდის) და შეძლებისდაგვარად შეცვლას მოითხოვს.

ილი აქვს ბიუჯეტის შემოსავალში არაპირდაპირი ბეგარის კუთრი წონის ზრდას. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში ამ ზრდას წინ უსწრებს ფიზიკურ პირთაგან ამოღებული გადასახადის წილის ზრდა.

საგადასახადო წნეხის სამართლიანობის დადგენა – შეფასებისათვის აუცილებელია გადასახადების სიმძიმის განსაზღვრა მოსახლეობის სოციალური ჯგუფების მიხედვით, რისი სისტემატიზებული სტატისტიკური კვლევა ქვეყანაში, სამწუხაროდ, არ ხორციელდება. ასეთი კვლევა კი იმიტომაც არის საჭირო, რომ მარტო გადასახადების მოცულობების ანალიზის შედეგები არ მოგვცემს ბოლომდე ობიექტურ (რეალურ) სურათს, ვინაიდან მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფები განსხვავებულ დახმარება – ტრანსფერებს ღებულობენ სახელმწიფოსაგან, რომელთა წყარო იგივე გადახდილი ბეგარაა. ამას ისიც ემატება, რომ ძნელია როგორც საერთოდ, ისე განსაკუთრებით მოსახლეობის ჯგუფების მიხედვით გაწეული დანახარჯების შეფარდება სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის შედეგად მიღებულ სარგებლობასთან. გავისხენოთ ადრე ნათქვამი, რომ საგადასახადო სისტემის სამართლიანობის სწორად შეფასებას ართულებს საგადასახადო წნეხის, ასე ვთქვათ, ფარული სახეები, დაკავშირებული სახელმწიფო ორგანოების საქმიანობასთან (სავალდებულო სამხედრო სამსახური, ხელისუფლებისათვის აუცილებელი ანგარიშგების წარდგენა; ასეთი ხასიათის ბეგარაა, მაგალითად, ისიც, რომ ქალაქის ზოგიერთ ქუჩაზე ბიზნესმენს ევალება ტროტუარის დასუფთავება და სხვ.).

3.2. საბადასახადო სისტემის და ბიზარისებური წნეხის ჩამოყალიბება და მოუპოვებელ საქართველოში და მისი (სისტემის) შეფასება

დღეს ბევრი მეცნიერი ეკონომისტი, პოლიტიკური მოღვაწე თუ მეურნე აღნიშნავს, რომ საქართველოში არაოპტიმალურია საგადასახადო სისტემა, მაღალია ბეგარისებური წნეხი. ეს უკანასკნელი კი, სხვა პარამეტრებთან ერთად, პირდაპირ კავშირშია არაოპტიმალურ სახელმწიფო ხარჯებთან. ამას კი, სამწუხაროდ, შედარებით ნაკლებად აქცევენ ყურადღებას. სახელმწიფო ხარჯების (შესაბამისად, გადასახადების მოცულობის) ასეთი ჩამოყალიბება ბევრმა მიზეზმა განაპირობა. ერთ-ერთი ძირითადი ობიექტური მიზეზი, ჩვენი აზრით, საქართველოში (და მთლიანად სსრ კავშირში) არსებული სოციალურ – ეკონომიკური წესრიგის მყისიერ რღვევაში და ახლის ასევე სასწრაფოდ შექმნა – ჩამოყალიბების აუცილებლობაში ძეგს. საქმე ისაა, რომ საჭირო გახდა რეფორმების (გარდაქმნის) ერთდროული გატარება პოლიტიკაში, სამართალში და მეურნეობრიობაში. ამოცანა იმის გარკვევაში კი არ იყო, თუ როგორ უნდა მოიქცეს სახელმწიფო ეკონომიკაში ურთულესი გარდაქმნების წარმატებით გატარებისათვის, არამედ თვით ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში. ამისათვის კი გასააზრებელ – გასათვლელად იყო საზოგადოების ფუნქციონირების მრავალი სოციალური და ეკონომიკური ასპექტის (კვლილებების ან არსებულის ახალი წესრიგისადმი შეგუების ღირებულება (საფასური), ახალი სახელმწიფოს საქმიანობის

ყველა აუცილებელი მიმართულება და ამ მიმართულებების ოდენობის განსაზღვრა; სწორი საგადასახადო პოლიტიკის ჩამოყალიბებისათვის საჭირო იყო ხარჯების მოცულობის საკითხის გადაწყვეტამდე სახალხო მეურნეობის შესაძლებლობების გარკვევა, მათი შემცირების პროგნოზირება¹.

სპონტანურად ჩამოყალიბებადი ხელისუფლება (როგორც ჩვენთან), რა თქმა უნდა, ამას მაღალ დონეზე ვერ გააკეთებდა. მართალია, დასავლეთის ქვეყნებისაგან განსხვავებით, რომლებსაც დღევანდელი საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების ადეკვატური სახელმწიფოების შექმნისათვის საუკუნეები დასჭირდათ, ჩვენ მდგომარეობას გვიადვილებდა ასეთი სახელმწიფოების რეალური არსებობა, რომელთა ერთ-ერთი მოდელის გადმოღება თითქოსდა შედარებით მარტივად მოხერხდებოდა. ეს შესაძლებლობა არ იქნა გამოყენებული. შეიძლებოდა აგრეთვე რამდენიმე მოდელის საფუძველზე, ჩვენი საზოგადოების ისტორიული განვითარების სპეციფიკიდან გამომდინარე, სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ჩვენებური კონსტრუქციის დამუშავება. ესეც არ გაკეთდა და, შესაბამისად, პრობლემის გადაწყვეტა კიდევ უფრო გართულდა.

ოპტიმალური საგადასახადო სისტემის (პოლიტიკის) ჩამოყალიბებას ისიც ართულებდა, რომ სსრკ-ის როგორც მკაცრ ცენტრალიზებულ საწყისე-

¹ საუბარია ეკონომიკის იმ გარკვეულ ობიექტურ დაქვეითებაზე, რომელიც პრაქტიკულად თითქმის ყოველთვის თან სდევს საზოგადოების ერთი თვისებრივი მდგომარეობიდან მეორეზე გადასვლას, და არა იმ კოლაფსურ დაცემაზე, რომელიც მოჰყვა ჩვენთან დატრიალებულ პოლიტიკურ – ადმინისტრაციულ კატაკლიზმებს, ე.ი. მნიშვნელოვანწილად სუბიექტურ მოვლენებს (თუმცა გონივრულ საზოგადოებებში სუბიექტური მოვლენების განვითარებასაც წარმატებით წინასწარმეტყველებენ ხშირად და ღებულობენ ადეკვატურ ღონისძიებებს).

ბზე ფუნქციონირებადი სახელმწიფოს რღვევის და, შესაბამისად, მისი საფინანსო სისტემის მოშლის შედეგად თითქმის ერთბაშად გაქრა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის წყაროები, ამასთან ქვეყანას არ გააჩნდა რაიმე სერიოზული მარაგი და რესურსი; ინგრეოდა ისედაც სუსტი და დამახინჯებული სასაქონლო ბაზარი, დაიწყო და მოკლე პერიოდში კატასტროფული ხასიათი მიიღო წარმოების დაცემამ. სახელმწიფო ხარჯების დაფინანსება კი (რომლებმაც განვითარებული უმართავი პოლიტიკური მოვლენების გამო არაკონტროლირებადი ხასიათი მიიღო) უპირატესად ემისიის საშუალებით ხდებოდა, რამაც (სხვა მიზეზებთან ერთად) ფასების მკვეთრი ზრდა (ჰიპერინფლაცია) და ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება – განვითარების დამატებითი სირთულეები შექმნა. ამას დაემატა აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკის მკვეთრად შემცირებული შესაძლებლობების გათვალისწინების გარეშე ყოფილი სოციალურ – ეკონომიკური წესრიგის (სოციალიზმის) დროს არსებული მაღალი სოციალური გარანტიების მნიშვნელოვანწილად ახალ რეალობებში გადატანა. ყველაფერმა ამან თავიდან სახელმწიფო ხარჯების ისეთი სტრუქტურის და მოცულობის, შესაბამისად, ისეთი საგადასახადო კანონმდებლობის შექმნა (თანაც სანქციროდ) განაპირობა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო უკიდურესად ფისკალური, კონფისკაციური ორიენტაცია. არც მერე შეცვლილა თვისებრივად მიდგომა ქვეყნის „ეკონომიკური კონსტიტუციის“

¹ ეს „სხვა მიზეზები“ უფრო მნიშვნელოვანი იყო, მათ შორის ე.წ. „ფულის ჰაერიდან კეთება“ (ამის შესახებ იხ. რ. ბასარია, ა. მესხია. გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკური პრობლემები. – თბილისი, 1995, გვ. 123 – 133).

მიღებისადმი; უფრო მეტიც, 1998 წელს საგადასახადო კოდექსის მომზადებისას გამოჩენილი გულსწრაფობა (დაშურება), რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა მისი ნაკლოვანებები¹ და მასში მოკლე პერიოდში უამრავი (ასობით) შესწორების შეტანა, ჩვენი აზრით, ეკონომიკურ მიზეზებს კი არ უკავშირდებოდა – ეს უფრო პოლიტიკური წინასაარჩევნო ნაბიჯი იყო: „აი, ჩვენ პირველებმა მივიღეთ პოსტსაბჭოურ სივრცეზე საგადასახადო კოდექსი“.

ბეგარის მეწარმეობაზე ზემოქმედების სიმძიმეზე არა მარტო მისი მოცულობის მანევრებელი ციფრები მიგვანიშნებს. როგორც ცნობილია, საქართველოში ადგილი აქვს მეწარმეების მიერ შესაბამის ორგანოებში წარდგენილ ანგარიშგებაში დეკლარირებული მონაცემების შეგნებულად მნიშვნელოვან დამახინჯებას. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტმა შეისწავლა ამ პრობლემის მიზეზები, გამოკითხა რა 2000 წლის მარტში 500 საწარმოს ხელმძღვანელი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში. გამოკითხულთა 57 პროცენტმა აჩვენა, რომ სხვადასხვა დონით ამცირებს (ამახინჯებს) დეკლარირებულ მანევრებლებს; ამის მიზეზად მათმა უმეტესობამ ქვეყანაში არსებული მაღალი საგადასახადო განაკვეთები დაასახელა. რესპოდენტებს მიაჩნიათ, რომ საქართველოში ეკონომიკის განვი-

¹ პროფესორი ა. კურატაშვილი „მესაკუთრეთა ძარცვას“, „ახალ, დაკანონებულ ექსპლუატაციას“ უწოდებს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად ზოგიერთი მიმართულებით ბეგარის ამოღებას (ა. კურატაშვილი. ადამიანის სოციალურ – ეკონომიკური ინტერესები და საგადასახადო სისტემა. პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების კრებული „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“, ტ.1. – თბილისი: „მეცნიერება“, 2000 წ., გვ. 190.).

თარების ხელშეშლულ ფაქტორებს შორის პირველ ადგილზეა კორუფცია და საგადასახადო სისტემის მოუწესრიგებლობა¹. ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთ არასასიამოვნო ფაქტსაც უნდა მიექცეს ყურადღება: ჩვენ არა მარტო ამჟამად გვაქვს მძიმე საგადასახადო წნეხი ეკონომიკაში, არამედ, სამწუხაროდ, ხანგრძლივ პერსპექტივაშიც ასე იქნება – ათეული წლების განმავლობაში გარანტირებული გვაქვს მნიშვნელოვანწილად ანალოგიური მდგომარეობა, გამომდინარე მილიარდობით დაგროვილი საგარეო ვალიდან: არაუფექტიანად გამოყენებული² ან საერთოდ გაფლანგულ – დატაცებული ამ უცხოური კრედიტების დაფარვის წყარო მხოლოდ მაღალი გადასახადები შეიძლება იყოს მომავალში.

ჩვენს ქვეყანაში არაოპტიმალური ბიუჯეტური ხარჯების არსებობაზე სამართლიანად მიგვითითებენ საზღვარგარეთის საფინანსო ორგანიზაციები. ამის თაობაზე დასაბუთებული მოსაზრებები რამდენიმე წლით ადრე გამოითქვა ქართველი მეცნიერების მიერ, მაგრამ მაშინ, სამწუხაროდ, სხვა კონცეფციამ გაიმარჯვა. საერთოდ საზოგადოებრივი საქონლის (სახელმწიფო სექტორის), აქედან გამომდინარე კი ქვეყანაში გადასახადის ერთობლივი

¹ საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალები. რაც შეეხება ქვეყანაში კორუფციის მასშტაბებს და მიზეზებს, როგორც თსუ-ის სოხუმის ფილიალის სტუდენტმა ა. გუგუშვილმა განაცხადა სამეცნიერო კონფერენციაზე, სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობას არ აღმოაჩნდა იმ დონის კულტურა, ისეთი მენტალიტეტი, რომ შეწინააღმდეგებოდა ამ მოვლენას.

² ჩვენ გერმანელები არა ვართ, მაგრამ, რაც მოხდა, ეს ნამდვილად არ იყო გარდაუვალი. დასავლეთ გერმანიამ კი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში ე.წ. მარშალის გეგმით მიღებული ყოველი დოლარიდან 10-20 დოლარის შრომითი და მატერიალური უკუგება მიიღო (Эрхард Л. Благостояниє для всех. – М.: Начала – Пресс, 1991, стр. 264).

მოცულობის განსაზღვრა (დადგენა), როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ძალზე რთულია ნებისმიერი საზოგადოებისათვის. საქმე ისაა, რომ ამ საკითხის გადაწყვეტისას (რომელიც შეგნებულად ხდება ხელისუფლების მიერ) ძნელია ზღვრული დანახარჯებისა და ზღვრული სარგებლიანობის შეფარდება (ჩვეულებრივი, კერძო საქონელ – მომსახურების წარმოებისას ბაზრის მექანიზმების მოქმედების კვალობაზე ეს ადვილად, ე.ი. ავტომატურად, ხორციელდება). ამ პრობლემის მოგვარებისას მეტ-ნაკლები წარმატებით (უფრო „ნაკლები“, ვიდრე „მეტი“) შეიძლება მოსახლეობის გამოკითხვის მონაცემებზე დაყრდნობა. ეს არის ფაქტობრივად არჩევნებზე ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის სოციალურ – ეკონომიკური პროგრამის მხარდაჭერა¹, რასაც ჩვენ პრაქტიკულად ვერ ვიყენებთ. ამასთან, ზოგიერთი საზოგადოებრივი საქონლის (პირველ რიგში სახელმწიფო თავდაცვის) წარმოების ოდენობის განსაზღვრისას საზოგადოებრივ აზრზე დაყრდნობის მიდგომა მნიშვნელოვანწილად მიუღებელია: მოსახლეობამ, მისმა უმრავლესობამ უბრალოდ არ იცის (ვერ განსაზღვრავს), თუ რა უშიშროებას უზრუნველყოფს თავდაცვაზე სახსრების ამა თუ იმ მოცულობით გამოყოფა. ამიტომ ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით შეეჩერდებით.

სამხედრო ხარჯების ოპტიმალურობის შეფასებისას არა მარტო ჩვენთან, არამედ ყველა სახელმწიფოში ძირითადად ექსპერტების დასკვნებს ეყრდნობიან. ამასთან (და ესეც არა მარტო ჩვენი, არამედ

¹ ჩვენთან, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არც პოლიტიკოსები ამუშავენ და სთავაზობენ ამომრჩევლებს რიგიან საგადასახადო პოლიტიკას და არც საზოგადოებაში არსებობს მისი კვალიფიციურად შეფასების ტრადიცია – უნარი.

საერთო სენია) ექსპერტებს, განსაკუთრებით სამამულო (ეროვნულ) სპეციალისტებს, სამხედრო ხარჯების ეფექტიანობის შეფასებისას ყოველთვის ახასიათებთ იმ ხარჯების აუცილებლობის და უკუგების გაზვიადების ბუნებრივი, წინასწარაკვიატებული განწყობა, რომლებზედაც თვითონ ისინი აგებენ პასუხს. ამას ემატება თავდაცვის ხარჯების გაზრდის მოსაზრების პატრიოტიზმთან, ეროვნულობასთან გაიგივების თავისებური ტრადიცია.

გასაგები უნდა იყოს, რომ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების დროს ჩვენი სპეციალისტების პროფესიული დონე ქვეყნის ოპტიმალური სამხედრო (და, ალბათ, საერთოდ ძალოვანი სტრუქტურების შესანახი) ხარჯების ჩამოყალიბების უზრუნველყოფისათვის საკმარისი არ იყო. ამას ისიც უნდა დაემატოს (და ეს კიდევ უფრო საეჭვოს ხდის საკითხის სწორად გადაწყვეტის მოსაზრებას), რომ პირველი (მთავარი) სიტყვა მაშინდელ ხელისუფლებაში საერთოდ არაპროფესიონალებს ეკუთვნოდათ (სამწუხაროდ, სახელმწიფო მოხელეებად არაპროფესიონალების გამოყენება შემდგომშიც გაგრძელდა). ამასთან მაშინ (და მნიშვნელოვანწილად დღესაც) ამ გადაწყვეტილების საპირწონე (საპირისპირო) სამოქალაქო (და, სამწუხაროდ, მეცნიერული) მოსაზრება – განწყობა, რომელიც სრულიად აუცილებელია ნებისმიერი ქვეყნისათვის, საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობდა. დამოუკიდებლობას მოწყურებული და ეიფორიაში მყოფი აქტიური მოსახლეობა დარწმუნებული იყო, რომ თანახმაა ნებისმიერ მსხვერპლზე მისი შენარჩუნებისათვის (ან საერთოდ არ ფიქრობდა, რომ სერიოზულ სამხედრო ხარჯებს მნიშვნელოვანი სასსრების გაღება სჭირდება იგივე

მოსახლეობის შემოსავლიდან) და იმას არ აქცევდა ყურადღებას, რომ პრობლემის სწორად გადაწყვეტას სერიოზული დაფიქრება და გათვლები სჭირდება!

როდესაც ქვეყნის სამხედრო ხარჯების ოპტიმალურობა – სიმძიმეს ვაფასებთ, მარტო ბიუჯეტის საერთო ხარჯებში (აგრეთვე ეშპ-ში²) მათი კუთრი წონის გაანგარიშებით და ამ მონაცემის სხვა ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით არ უნდა შემოვიფარგლოთ. ჯერ ერთი, როგორც აღინიშნა, ამ ხარჯების გათვლა თავისთავად რთულია და სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულად კეთდება. გარდა ამისა (მეორე), გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დემოკრატიული ქვეყნების უმეტესობაში სამხედრო სავალდებულო გაწვევა კი არ არსებობს, არამედ დაქირავებული ჯარი ჰყავთ. გასაგებია, რომ ჯარში სავალდებულო გაწვევის სისტემა ამცირებს ქვეყანაში არსებულ ფაქტობრივ სამხედრო ხარჯებს (ჩვენი გაანგარიშებით, საქართველოში მინიმუმ 40 მლნ ლარით).

გადასახადების კონფისკაციური (გადამეტებული) ხასიათი მარტო მათ მოცულობაზე კი არ არის

¹ საზოგადოებაში დღესაც არ არის დაეწეული მაშინ ფართოდ ატაცებული და ბევრის მიერ მიამიტურად გათავისებული ლოზუნგი: "ჭრაკით ვიცხოვრებთ, ბატონო, ოღონდ დამოუკიდებლობა გექონდეს". ამჟამადაც ჩვენს ნახევრად მშიერ ქვეყანაში ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწე, დარწმუნებული საზოგადოების გაურკვეველობაში და მხარდაჭერაში, უპირველეს პრიორიტეტულ ამოცანად ძლიერი ჯარის შექმნას ასახელებს. საქართველოს თავდაცვის მინისტრის აზრით კი, ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალები ამიერკავკასიაში მშვიდობის გარანტი უნდა იყოს.

² ისე კი საქართველო მოიხსენიება იმ 15 სახელმწიფოთა რიცხვში, რომლებიც ერთობლივი შინა პროდუქტის ყველაზე მეტ პროცენტს ხარჯავენ (15,7%) თავდაცვაზე. იხ. . Гиннесс. Большая книга знаний. Перевод, изд. АСГ, 2000, стр. 343 (1997. Guinness Publishing Ltd.)

დამოკიდებული. შემოთ უკვე აღინიშნა, რომ დღევანდელ პირობებში ეკონომიკიდან ამოღებული ბეგარა მარტო ტრადიციული სახელისუფლო ფუნქციების შესრულების უზრუნველყოფისათვის კი არ გამოიყენება; მათზე დაყრდნობით სახელმწიფო ეწევა სერიოზულ სოციალურ საქმიანობას, თვითრეგულირებადი ეკონომიკის ნაკლოვანებების მოსწორება - დაძლევა, ეკონომიკის განვითარების გარკვეულწილად რეგულირებას. ამიტომ არის, რომ, წარსულთან შედარებით, დღევანდელ პირობებში ეროვნული შემოსავლის სახელმწიფო გადანაწილება თითქმის ყველგან მაღალია და ეს თავისთავად (პოტენციურად) ეკონომიკის ფუნქციონირების (განვითარების) სერიოზული მარეგულირებელი ძალაა. მაგრამ ეს ძალა, გამომდინარე იქიდან, თუ ვის ხელში ხვდება გადანაწილებული რესურსები, როგორია სახელმწიფო, რამდენად პროფესიულია მისი სტრუქტურები და რამდენად ზნეობრივად გამოიყენება ამოღებული ბეგარა (მთელი საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე თუ როგორც კორუფციული ინტერესების დაკმაყოფილების წყარო), შეიძლება შემოქმედებითიც იყოს და დამანგრეველიც. ჩვენ მარტო ერთ ფაქტზე შევჩერდებით, რომელიც ეხება ეროვნული შემოსავლის გადანაწილების ნაციონალური ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობისათვის გამოყენების საკითხს.

დღეს უკვე ცოტა ვინმე თუ დაობს იმაზე, რომ ხალხის კეთილდღეობის მიღწევა - ამაღლებისათვის აუცილებელია ქვეყანაში კონკურენციული გარემოს შექმნა, მწარმოებელ - მიმწოდებელთა შორის ჯანსაღი კონკურენციის არსებობა. ამასთან, ვფიქრობთ, რეალურად შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევენ იმას, რომ ნამდვილი კონკურენცი-

ის მიღწევას განაპირობებს არა მარტო საკანონმდებლო საქმიანობა და მიღებული კანონების პრაქტიკული გატარება (თუმცა ამის გარეშე კონკურენციულ გარემოზე საუბარი უაზრობაა), არა მარტო ბაზარზე სამეურნეო სუბიექტების იურიდიული თავისუფლება, არამედ ბაზარზე გატანილი საქონელ – მომსახურების მოცულობა – სიმრავლე, ამასთან პირველ რიგში საკუთარი (სამამულო) წარმოების საქონლისა. თუ ასეთი საქონელ – მომსახურების სიუხვე არ იქნება უზრუნველყოფილი, ქვეყანა ვერ გამდიდრდება, მისი მოსახლეობის კეთილდღეობა ვერ მიიღწევა. ამიტომ, ვფიქრობთ, საქართველოს სახელმწიფოს ეკონომიკური (მ.შ. პირველ რიგში საგადასახადო – საბიუჯეტო) პოლიტიკის პრიორიტეტი, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა – მოდინების პირობების აუცილებლად შექმნის პარადიგმურად, გარკვეულ პერიოდში უნდა იყოს სამამულო წარმოების განვითარებისათვის, ეროვნული ნაწარმის მიწოდების გაზრდისათვის ხელის შეწყობა¹, რაც პრაქტიკულად არ კეთდება.

ამ მხრივ ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა შეიძლება გარკვეულწილად დასავლეთ გერმანიის ომის შემდგომი წლების ვითარებას შევადაროთ: როგორც ჩვენთან ამჟამად, იქაც დანგრეული ეკონომიკა, მაღალი უმუშევრობა, გადატაკებული მოსახლეობა, ბიუჯეტის პერმანენტული დეფიციტი იყო². ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ის გარე-

¹ ეს, რა თქმა უნდა, საჭიროა განხორციელდეს ზომიერად და არ გადაიზარდოს საყოველთაო დამლუპველ პროტექციონიზმში.

² მართალია, ერთი სერიოზული განსხვავება მაინც სახეზეა: კორუფციის საშინელი დონე და, აქედან გამომდინარე, თავს გასული ნუკორიშების (უკანონოდ გამდიდრებულების) პარაზი, რაც ასე დამახასიათებელია ჩვენი რეალობისათვის, ომის შემდგომ გერმანიაში ნამდვილად არ იყო.

მოება, რომ „თავიდან საერთოდ საქონლის მიწოდების გაზრდისა და ამის კვალობაზე კონკურენციის გამოცოცხლების“, აგრეთვე უმუშევრობის შემცირების მიზნის მისაღწევად გფრ-ის ხელისუფლებამ ექსპანსიონისტურ პოლიტიკას მიჰყო ხელი. ეკონომიკური განვითარების „გერმანული სასწაულის“ კონსტრუქტორი, გამოჩენილი მეცნიერი ეკონომისტი და საზოგადო მოღვაწე ლუდვიგ ერჰარდი, იხილავდა რა გადასახადების და სახელმწიფო ხარჯების მოცულობის რაციონალურობის საკითხს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანისა და სტაბილური განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, წერდა, რომ, თუმცა არსებულ პირობებში ძნელია სახელმწიფო ფუნქციების (ხარჯების) შემცირება, „სამართლიანად უნდა ჩაითვალოს როგორც მოქალაქეების, ისე სამეურნეო წრეების სურვილი, რომელიც მიმართულია საგადასახადო ტვირთის შემცირებისაკენ“ და შემდეგ: „სახელმწიფო ხარჯების სტაბილიზაციის პირობებში“ მწარმოებლურობის ზრდა საშუალებას მოგვცემს ნამდვილად და რეალისტურად გადავწყვიტოთ „ყველა ჩვენთაგანის მტანჯველი საგადასახადო პრობლემები“.

ლიტერატურაში ხშირად აღნიშნავენ დღევანდელი საბაზრო ეკონომიკისათვის „კარგად“ მინეული საგადასახადო სისტემის შემდეგ მახასიათებლებს:

- ეკონომიკური ეფექტიანობა, ანუ ის, რომ საგადასახადო სისტემა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს რესურსების რაციონალურად გამოყენების უზრუნველყოფის ამოცანებს;

¹ Эрхард Л. Благосостояние для всех, стр. 18 (ხაზგასმა ჩვენია. — ავტ.).

- ადმინისტრაციული სისტემის უბრალოება და სიახლე გამოყენების თვალსაზრისით;
- საგადასახადო სისტემის მოქნილობა (ის ოპერატიულად უნდა ეხმაურებოდეს შეცვლილ ეკონომიკურ პირობებს);
- პოლიტიკური პასუხისმგებლობა (საგადასახადო სისტემა უნდა პასუხობდეს საზოგადოების უპირატეს მოთხოვნებს);
- სამართლიანობა (სხვადასხვა ინდივიდუუმებისადმი მიდგომაში საგადასახადო სისტემა სამართლიანი უნდა იყოს)¹.

ჩვენს მიერ ზემოგანხილული და სხვა გარემოებების გამო საქართველოს საგადასახადო სისტემაში საკმარისად ვერ (არ) იქნა გათვალისწინებული სწორი საგადასახადო პოლიტიკის ეს ძირითადი პრინციპები, რომლებიც ჩამოყალიბებულ – მიგნებული იქნა მეცნიერების სახელმწიფოს ფუნქციონირებაზე მრავალსაუკუნოვანი დაკვირვების შედეგად, და ეს არის, ალბათ, ეკონომიკის ჩავარდნის და შემდგომ უმძიმეს კრიზისში ყოფნის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ საქართველოში სახელმწიფო ხარჯები (სახელმწიფოს მოცულობა) თავიდან თავისთავად, საჭირო გათვლა – გაანგარიშების გარეშე ჩამოყალიბდა; სამწუხაროდ, ფაქტობრივად ასეთივე სპონტანური (თვითნებური) ხასიათი აქვს მათ შემდგომ ცვლილებებსაც. ხარჯების დაგეგმვა, როგორც წესი, ე.წ. „მიღწეული დონიდან“ ხდება, ე.ი. თავიდანვე მიდგომა არასწორია. სახელმწიფო ხარჯების დაგეგმ-

¹ Стиглиц Дж. Ю. Экономика государственного сектора/Пер. с англ. – М.:Изд-во МГУ: ИНФРА – М, 1997, стр. 369.

ვისადმი ასეთი დამოკიდებულება ასე თუ ისე დასაშვებია მხოლოდ ისეთ საზოგადოებაში, სადაც ხანგრძლივ პერიოდში „სინჯისა და შეცდომების“ მეთოდის, ასევე გარკვეულწილად მეცნიერული მიდგომის გამოყენების და დემოკრატიის არსებობის შედეგად საზოგადოებრივი სექტორის მოცულობა უკვე მეტ-ნაკლებად ოპტიმალურია, საზოგადოებას აკმაყოფილებს და ქვეყანაში სერიოზული (რადიკალური) გარდაქმნები არ მიმდინარეობს.

ჩვენთან კი, სადაც ახალი სოციალურ-ეკონომიკური წესრიგი ფორმირდება და სადაც აქამდე ჩამოყალიბებული ხარჯები არაოპტიმალურია როგორც საერთო მოცულობის, ისე სტრუქტურის თვალსაზრისით, საკითხის ასეთნაირად გადაწყვეტა არაფერს კარგს არ მოიტანს. მართლაც, საზოგადოების სახელმწიფო მომსახურების მოცულობის სასურველთან, ჩვეულთან შედარებით დაბალი დონის გამო (პირველ რიგში უმწვავესი სოციალური პრობლემები), აგრეთვე სხვადასხვა პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ხელისუფლება პერიოდულად ზრდის საბიუჯეტო ხარჯებს. შემდგომში კი, რაკი შემოსავლის პროგნოზული (უფრო სასურველი, ვიდრე რეალური) ზრდა პრაქტიკულად ეოველთვის მიუღწეველი რჩება, ასეთივე (ან უფრო ხშირი) პერიოდულობით, ზოგჯერ თავისი ინიციატივით და უფრო ხშირად სხვისი რეკომენდაცია – მოთხოვნით კონფულსიურად აწარმოებს ბიუჯეტის ხარჯების შეკვეცას (სეკვესტრირებას¹) მთელი

¹ თუმცა ასეთი მნიშვნელობით სეკვესტრის ცნება ჯერჯერობით არც ერთ ლექსიკონში არ არის განმარტებული (აქამდე კი ეს ნიშნავდა: 1) სამართლ. ხელისუფლების გადაწყვეტილებით რაიმე კერძო ქონების გამოყენების შეზღუდვა – აკრძალვას; 2) მელიც. რაიმე ქსოვილის მკვდარ ნაწილს), ეს ისე სწრაფად „შემოაგორეს“ ენაში, რომ ჩვენც იძულებული ვართ ვინმართ, როგორც გეგმური ხარჯების შემცირება – შეკვეცა.

სახელმწიფო ძალისხმევა ამ პირობებში მიმართულია მხოლოდ სახსრების მობილისაციასზე და, როდესაც ეს უშედეგოდ მთავრდება (ე.ი. ხშირად), ხარჯების შემცირება ხდება, როგორც წესი, პროპორციულად, ე.ი. ავტომატურად, უკეთეს შემთხვევაში ე.წ. დაცული მუხლების შეუცვლელად, აუმცარატომად, მაგალითად, ხელფასი, ე.ი. სახელმწიფო ჩინოვნიკების, სამართალდამცავ და სამხედრო მოხელეთა რიცხოვნობა „დაცული“, ამის სერიოზულ გაანალიზებას არავინ ცდილობს. დაუჯერებელია, მაგრამ საპირისპირო მოვლენებსაც ვხვდებით. 2001 წლის ივლისში, როდესაც უკვე ცხადი იყო, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი ვერ შესრულდება და დაეგმილი ხარჯები შესამცირებელია¹, პარლამენტის წევრებმა (თანაც ერთხმად!) მნიშვნელოვნად (ორჯერ) გაიზარდეს საკეთარი ხელფასები.

ჩვენს ქვეყანაში მაღალ ბეგარისებურ წნეხს და საგადასახადო სისტემაში არსებულ სხვა ნაკლოვანებებს (მის გაუმართაობა – სისუსტეს), ზემოწამოთვლილებთან ერთად, აქვს სხვა, პოსტსოციალისტური ქვეყნებისათვის დამახასიათებელი მიზეზებიც. ეს არის ბევრი სახელმწიფო ხარჯის ზრდის პირობებში ეკონომიკის დაცემის შედეგად საგადასახადო ბაზის მკვეთრად შეკვეცა, მოსახლეობის (ფიზიკური პირების) მიერ საგადასახადო დისციპლინის ნებაყოფლობით დაცვის ტრადიციის არარსებობა, საგადასახადო ორგანოების სისუსტე და მოუმზადებლობა უზრუნველყონ თვისებრივად ახლებურ პირობებში ბეგარის მაქსიმალურად აკრება. ჩვენ აქ შედარე-

¹ ამის თაობაზე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიც გვაწვდიან მონაცემებს.

ბით დაწვრილებით ერთ მათგანზე შეკვეთდებით, რომელიც ძლიერ უშლის ხელს მდგომარეობის გაუმჯობესებას, მათ შორის ოპტიმალური საგადასახადო პოლიტიკის დამუშავება – გატარებას, საგადასახადო წნეხის შემცირებას. ეს არის საზოგადოებაში ფართოდ დამკვიდრებული სახელმწიფო ბეგარის არგადახდის განწყობა¹. მიგვაჩნია, რომ საქართველოში სწორი საგადასახადო პოლიტიკა და, მასთან ერთად, ოპტიმალური (მისაღები, მიწი-მალური) ბეგარისებური ტვირთი მხოლოდ მაშინ შეიძლება შეიქმნას, თუ მოხერხდება ამ მიმართულებით მოსახლეობის მენტალიტეტის სერიოზულად გარდაქმნა. ეს რთულია, მაგრამ არა შეუძლებელი. საზოგადოებრივი სიკეთის ხასიათი, - რომლის ყველასათვის არის საჭირო (უაღასახადო ეს არის შექმნისათვის ამოცანა) – უბიძგებს საზოგადოების წევრებს, გამომდინარე ერთიანი ინტერესებიდან, თანხმობისაკენ: ძნელია ეკონომიკური, ანუ არაეკონომიკური გადაღახვა – დაძლევა, მაგრამ შესაძლებელი და აუცილებელია, ყველასათვის და თითოეულსათვის სასარგებლო და სწორი გადაწყვეტილება, სახელმწიფოებრივი მომსახურება, მისი ოპტიმალურობის პირობებში, ზრდის ერთგულ შემოსავალს, მაშასადამე, მოსახლეობის მოთხოვნის

¹ ამასთან დაკავშირებით შემდეგ შენიშვნას ვაუკეთებთ, რომ იტყვიან, ნაშრომის კიდევ: როგორც ეკონომისტებს, ბევრ, ნაშრომის ავტორებს, ვეხამუშება, როდესაც გადასახადების მოსალოდნელ (პროგნოზულ) მოცულობას „გვემას“ უწოდებენ და ამ გვემის შესრულებისათვის ცენტრალიზებული საგვემო ეკონომიკისათვის დამახასიათებელ მიდგომა – მეთოდებს იყენებენ. ამასთან, როგორც რეალურ მდგომარეობას დაკვირვებული სისტემის მუშაკები, ვხედავთ: რომ არა ასეთი მიდგომა, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს შემოსავალი პრაქტიკულად საერთოდ არ ექნებოდა, ალბათ.

ბების დაკმაყოფილებას, მის კეთილდღეობას. აუცილებელი და გარდუვალია, რომ მოსახლეობა, თუ მთლიანად არა, ძირითადადში მაინც, თუ ის მზად არის და თუ მას სურს ფუნქციონირებდეს როგორც ნორმალური თანამედროვე საზოგადოება და ჰქონდეს დამოუკიდებელი სახელმწიფო, უნდა განეწყოს ბეგარის ნებაყოფლობით გადახდისათვის, უნდა გაიგოს და გაითვალისწინოს, რომ, რაც უფრო ნაკლები შეგნებულობაა საზოგადოებაში ბეგარის გადახდის, ამ სახელმწიფო ვალდებულების შესრულების საქმეში, მით უფრო ძვირი უჯდება ქვეყანას გარდუვალი გადასახადის ამოღების ხარჯები, ე.ი. მით უფრო მეტი ბეგარის გადახდა მოუწევს თვით ამ საზოგადოებას.

ამასთან პრობლემის გადაწყვეტისათვის მარტო საერთო ზნეობრივ მახასიათებლებში გარკვევა და შესაბამისი, ასე ვთქვათ, სახელმწიფოებრივი იდეოლოგიურ – განმარტებითი (აღმზრდელობითი) მუშაობის ჩატარება არ კმარა. ბეგარის გადახდის არნდომის საერთო მიზეზთან ერთად (საზოგადოებრივი საქონლის სპეციფიკურობა – რომ მისი მოხმარების დონე არ უკავშირდება ანაზღაურების, ანუ ბეგარის, მოცულობას), სწორი საგადასახადო პოლიტიკის ჩამოყალიბებისათვის და მისი შედეგიანად გატარებისათვის აუცილებელია იმის შესწავლა – შეცნობა, თუ როგორი ინტენსივობითაა ეს გრძნობა გამჯდარი საზოგადოების სხვადასხვა ფენებში და რით არის ეს, ჩვეულებრივ ეგონისტურ მიდრეკილებასთან ერთად, განპირობებული. ჯერ არისდა, ზოგიერთი ინდივიდუუმი ნაკლებადაა განწყობილი საზოგადოებრივი საქონლის მოხმარებისადმი, შესაბამისად, ნაკლებ სურვილს გამოიჩენს ასეთი საქონლის წარმოებისათვის ხარჯების გაღე-

ბაზე. ნათელია, მაგალითად, ისეთი ეკოლოგიური ხარჯების საზოგადოებრივი სარგებლიანობა, როგორცაა ზღვის და მდინარეების გასუფთავებისათვის ან არგაჭუჭყიანების უზრუნველყოფისათვის სახელმწიფო რესურსების გაღება, მაგრამ ასევე გასაგებია საზოგადოების იმ ნაწილის ნაკლები სურვილი დაფაროს ეს ხარჯები (გაილოს შესაბამისი ბეგარა), ვინც ამ სიკეთით პრაქტიკულად არ სარგებლობს. ამ უკანასკნელთათვის გაღებული კერძო საქონლის ზღვრული სარგებლიანობა მიღებულ საზოგადოებრივ სარგებლიანობაზე გაცილებით უფრო მეტია.

გარდა ამისა, ინდივიდთა შემოსავალი განსხვავებულია, ზოგჯერ მკვეთრადაც, ამიტომ ამ სხვადასხვა შემოსავლის მქონეთათვის საზოგადოებრივი საქონლის შესაქმნელად გაღებული კერძო სახსრების ზღვრული დანახარჯები (დაკარგული სარგებლიანობა) და მიღებული საზოგადოებრივი საქონლის ზღვრული გამორჩენა (სარგებლიანობა), შესაბამისად, მათი შეფარდება სხვადასხვა იქნება. ხელმოკლეთათვის ნორმალურ პირობებში კერძო საქონელთა მარგებლობის ზრდა აღემატება საზოგადოებრივ სიკეთეთა ანალოგიური ზრდის სარგებლიანობას. როგორც ამერიკელი მეცნიერი ჯ. ი. სტიგლიცი აღნიშნავს, „*მთლიანობაში საზოგადოებრივ სიკეთეზე ხარჯების ნებისმიერ დონეზე შენაცვლების ზღვრული ნორმა – საზოგადოებრივი სიკეთის ერთი ერთეულით გაზრდისას კერძო სიკეთეთა თუ რამდენი ერთეულის შეწირვაზე არიან ინდივიდები თანახმა – მით უფრო დაბალია (ნაკლებია), რაც უფრო ღარიბია ინდივიდუუმში. შედეგად ამისა ერთნაირი დაბეგვრის დროს შეძლებული ადამიანები უპირატესობას მისცემენ საზოგა-*

დობრივ სიკეთეზე ხარჯების უფრო მაღალ დონეს¹. ეს დებულება ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენს უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ ქვეყანაში საგადასახადო პოლიტიკის კონცეფციის შემუშავებისათვის: გადატაკებული მოსახლეობა და უღონო ბიზნესი უფრო ძნელად მიდის საზოგადოებრივი სიკეთის შესაქმნელად კერძო სიკეთის დათმობაზე. ის მოსაზრებები სახელმწიფოს როლის გადიდებაზე, რომლებიც ხშირად გვესმის და იწერება („სახელმწიფომ ეს გააკეთოს“, „ის პრობლემა გადაწყვიტოს“ და ა.შ.), ვფიქრობთ, უფრო გაუგებრობის, საკითხის გაუთვითცნობიერებლობის ბრალია, იმის შედეგია, რომ ინდივიდები (ხშირად პოლიტიკური მოღვაწეები და ზოგჯერ მეცნიერებიც კი) ვერ (ან არ) ითვალისწინებენ დამატებითი საზოგადოებრივი საქონლის წარმოება – მიწოდების საგადასახადო ფასს, ვიდრე რეალურად არსებული (მატერიალურად განმტკიცებული, ე.ი. ბეგარის გაზრდის თანხმობიდან გამომდინარე) სურვილი².

საგადასახადო პოლიტიკის შეფასებისათვის, განსაკუთრებით მისი მარეგულირებელი ფუნქციის შესრულების თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს გადასახადების სტრუქტურაში გარკვევას, ვინაიდან კონკრეტული სამეურნეო სუბიექტების მეწარმეობრივი საქმიანობის აქტივობაზე უშუალოდ სწორედ კონკრეტული გადასახადი (მისი განაკვეთი) მოქმედებს. ბეგარის განაკვეთების მოცულობის და ცვლილებების განსაზღვრისას მათი წარ-

¹ Стиглиц Дж. Ю. Экономика государственного сектора. стр. 148.

² ამ შემთხვევაში იმაზეც კი არ არის საუბარი, თუ რამდენად რაციონალურად, ოპტიმალურად იყენებს ხელისუფლება ამოღებულ გადასახადს საზოგადოებრივი სიკეთის წარმოებისათვის.

მოებაზე ზემოქმედების დადგენის მიზნით ასევე აუცილებელია გადასახადების წყაროებში დეტალური გარკვევა, იმის გათვლა – პროგნიზირება, თუ რა სტრუქტურული ცვლილებების პროვოცირება შეუძლია მიღებულ გადაწყვეტილებას. საქმე ისაა, რომ ზოგ შემთხვევაში და ზოგიერთი ბეგარა (მისი მოცულობა და განაკვეთის ცვლილება) გარკვეულ ფარგლებში ნეიტრალურია წარმოების მიმართ, ზოგჯერ კი მყისვე მოქმედებს – ზრდის ან ამსუბუქებს საგადასახადო წნეხს, ცვლის მეწარმის მოტივაციასა და ქცევას. თანაც ეს ზემოქმედება შეიძლება გადასახადის ცვლილების ინტენსიურობაზე ნაკლებიც იყოს, მეტიც და ტოლდღიიც. ასე მაგალითად, გადასახადები, რომლებიც შეიტანება პროდუქციის თვითღირებულებაში, შედარებით ნაკლებად ზემოქმედებს წარმოების (კვლავწარმოების) პროცესზე, ვიდრე გადასახადები, რომლებიც დაეწერება საფინანსო შედეგებს, ვინაიდან პირველნი ფასში შეიტანება და გარკვეულ საზღვრამდე ანაზღაურდება პროდუქციის მიედევლთა მიერ. გასაგებია, რომ, თუ საქონელზე მოთხოვნა ელასტიკურია ფასის მიმართ, თვითღირებულებაში შეტანილი გადასახადის ზრდა გამოიწვევს მოგების ხვედრითი წონის და ბიუჯეტში გადასახადის შემცირებას. ფასისადმი არაელასტიკური მოთხოვნის საქონელზე თვითღირებულებაში შესატანი ბეგარის გაზრდა კი განაპირობებს მიწოდების ფასის მომატებას.

ეკონომიკის განვითარების რეგულირებისათვის, სოციალური პრობლემების გარკვეულწილად მოგვარება – გადაწყვეტისათვის საგადასახადო პოლიტიკის გამოყენებაში სერიოზული მნიშვნელობა აქვს, როგორც ალინიშნა, პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების შეფარდებას. ზოგიერთი აფ-

ტორი მიიჩნევს, მაგალითად, რომ ისეთი არაპირდაპირი ბეგარა, როგორიცაა დამატებული ღირებულების გადასახადი, რომელსაც განსაკუთრებით ფართოდ იყენებენ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები ამოღების სიადვილესთან დაკავშირებით, გამოირჩევა მაღალი ეფექტიანობით ეკონომიკის რეგულირებაში¹. ვფიქრობთ, ეს მოსაზრება სწორი არ უნდა იყოს, ვინაიდან გადასახადებზე დაყრდნობით ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება გულისხმობს უპირველესად კაპიტალის მიმართვის ხელშეწყობა – ხელშეშლას ამა თუ იმ დარგში და რეგიონში. ამისათვის კი უფრო ეფექტიანად სწორედ პირდაპირი გადასახადების, მათი მოცულობა – შეღავათების გამოყენება შეიძლება. დამატებული ღირებულების გადასახადი, ჩვენი აზრით, უფრო საკუთარი (სამამულო) საქონელ – მომსახურებით გაჯერებულ ეკონომიკაში ამართლებს; მისი ძალზე ფართოდ გამოყენება არამართლზომიერია საგადასახადო პოლიტიკაში სამართლიანობის მიღწევის თვალსაზრისითაც. საქმე ისაა, რომ დალიგა, როგორც ერთნაირი განაკვეთის მქონე ბეგარა, არც რეგრესულია და არც პროგრესიული; უფრო სწორად, ის ერთიც შეიძლება იყოს და მეორეც, გამომდინარე იქიდან, თუ რა ხვედრითი წონა უჭირავს დალიგათი დაბეგრულ საქონელს მოსახლეობის ღარიბი და მდიდარი ჯგუფების მოხმარების სტრუქტურაში².

¹ Черник Д.Г., Починок А.П., Морозов В.П. Основы налоговой системы, стр. 20.

² მიჩნეულია, რომ არაპირდაპირ გადასახადს მომხმარებელი იხდის. ამასთან ისიც ცხადია, რომ, რაკი ასეთი ბეგარა აძვირებს საქონელს და ამცირებს მოთხოვნას, მისი სიმძიმის გარკვეული ნაწილი მწარმოებელსაც “ერგება”.

მეცნიერებაში კი მიზნეულია, რომ გადასახადების საშუალებით ქვეყნის მოქალაქეების კოლექტიური მოხმარების საქონლის შექმნაში მონაწილეობისას, სხვა გადასახადებთან შედარებით, მეტ სამართლიანობას განაპირობებს საშემოსავლო გადასახადი, განსაკუთრებით მისი პროგრესიული ხასიათის პირობებში. ამ მხრივ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, სხვა ქვეყნებთან შედარებით, დადიგას მაღალი კუთრი წონა (40,1 პროცენტი მთელი საგადასახადო შემოსავლებისა 2000 წელს¹) უარყოფითად უნდა შეფასდეს. ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ გადასახადისაგან თავის არიდების განწყობასთან დაკავშირებული „კურდღლის პრობლემა“ ძალზე აქტუალურია ჩვენთან. ამის მიღწევის „საგადასახადო თავსაძვრენები“ სწორედ ამ გადასახადს (დადიგას) ახასიათებს. სხვადასხვა ხერხების გამოყენებით მეწარმეები ხშირად არიდებენ თავს ბეგარის გადახდას, მაშინ როდესაც ის პირები, რომელთა შემოსავლის ძირითად წყაროს შრომის ანაზღაურება (ხელფასი) წარმოადგენს, ასეთ საშუალებას პრაქტიკულად მოკლებული არიან.

¹ აღსანიშნავია, რომ საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტის საერთო შემოსავალში დადიგას კუთრი წონა 2000 წელს 1995 წელთან შედარებით 2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა (სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალები).

3.3. საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში საბადასახადო წნეხის ოპტიმიზაცია – შემ- ცირების განწყობისა და დამკვიდრების აუცილებლობა

ზემოგამართული მსჯელობა და საქართველოს ეკონომიკის ბოლო წლებში განვითარების ანალიზი მიგვანიშნებს, რომ საგადასახადო პოლიტიკაში ბეგარისებური წნეხის მინიმიზაციის განწყობის დამკვიდრება და გატარებაა საჭირო. ეს კი, ერთი მხრივ, განაკვეთების შემცირების პარალელურად ბიუჯეტში ზომიერი გადასახადების საშუალებით მყარი შემოსავლების აკრების უზრუნველსაყოფად საგადასახადო დისციპლინის მკვეთრ განმტკიცებას მოითხოვს. ბეგარის გადახდა რომ აუცილებელი და გარდაუვალია, ამაში დარწმუნებული უნდა იყოს ქვეყანაში ფუნქციონირებადი ყველა სამეურნეო სუბიექტი, იურიდიული თუ ფიზიკური პირი; ხელისუფლებისათვის კი ამ პრინციპის გატარება – არგატარება (ან ცუდად შესრულება) უნდა აღიქმებოდეს არჩევნებზე მისი ვარგისიანობა – უვარგისობის შეფასების ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმად. მეორე მხრივ, ასევე აუცილებელია, რომ ხელისუფლებამ ცალსახად აღიქვას არსებული შესაძლებლობის ფარგლებში ცხოვრების აუცილებლობა: სახელმწიფო ხარჯები, როგორც წესი, იმაზე მეტი არ უნდა იყოს, რისი ატანაც შეუძლია მის ეკონომიკას. ეს საკითხი განხილვა – განსჯას არ უნდა ექვემდებარებოდეს, ქვეყნის ხელისუფლებას იმის ნებისყოფა და სიმტკიცე უნდა ჰყოფნიდეს, რომ განუხრელად გაატაროს ეს პრინციპი. სახელმწიფო ხარჯებზე საუბრისას მიზანშეწონილად გვესახება მოვიტანოთ ზემონახსენები რუსი სახელმწიფო

მოღვაწის მ. სპერანსკის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ეს დანახარჯები სახელმწიფოს შემოსავლის შესაბამისი უნდა იყოს და რომ ბიუჯეტში არცერთი ახალი ხარჯი არ უნდა იქნეს შემოღებული, სანამ არ იქნება ნაპოვნი შემოსავლის თანაზომიერი წყარო¹. ხარჯებისადმი ასეთი დამოკიდებულება აუცილებელია ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, იმპერიას ის, სხვა სახის ავტორიტარული (ტოტალიტარული) რეჟიმი თუ მაქსიმალურად დემოკრატიული სახელმწიფო.

სახელმწიფო ხარჯებისადმი ასეთი მიდგომის განხორციელების ხელის შეწყობისა და უზრუნველყოფისათვის აბსოლუტურად აუცილებელია ბიუჯეტის გასავალში მაქსიმალური (რეალური) საჯაროობა. ვფიქრობთ, საქართველოს ეკონომიკის აღორძინების და ნორმალური განვითარების მისაღწევად სახელმწიფო ხარჯები, იგივე საგადასახადო წნეხი, გაანგარიშებული ჩვენს მიერ შემოთავაზებული წესის შესაბამისად, არ უნდა აღემატებოდეს ლეგალური ეშპ-ის 20 პროცენტს და ხელისუფლების მიერ თავისი საქმიანობის ასეთი თვითშემსღუდვა უნდა გაგრძელდეს რამდენიმე ათეული წელიწადი. სინამდვილეში კი, როგორც მიახლოებითი გაანგარიშებები მოწმობს, ეკონომიკაზე ბეგარისებური წნეხი (არანაკლებ 40 პროცენტისა) საგრძნობლად აღემატება დასაშვებ მაქსიმუმს².

¹ Черник Д.Г., Починок А.П., Морозов В.П. Основы налоговой системы, стр. 62.

² სანამ საკითხს ეას-ის 1993 წლის ვერსიამდე არსებული მიდგომების შესაბამისად გაანგარიშებული ეშპ-ის მოცულობის საფუძველზე განიხილავდნენ. გადასახადების ოპტიმალურობის შეფასებები 20-დან (ასე თვლიდა ჯ.მ. კეინსი) 40 პროცენტამდე (ასე მიაჩნდა საფრანგეთის პრეზიდენტ ჟ.დ'ესტენს) მერყეობდა.

სამეურნეო სუბიექტების, ბიზნესის, მოღიანად ეკონომიკის დაბეგერის მაღალ, გადამეტებულ დონეს ბევრი უარყოფითი შედეგი მოაქვს ეკონომიკის ფუნქციონირება – განვითარებისათვის:

- ჯერ ერთი, მთლიანობაში სუსტდება მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის მოტივაცია. შემოსავლის შექმნა იმისათვის, რომ ბეგარა გადაიხადო და ამით (უკეთეს შემთხვევაში – თუ მისი ამკრების მიერ გადასახადი რაციონალურად, საზოგადოების მოთხოვნა – ინტერესების უკეთ დაკმაყოფილებისთვის იქნება გამოყენებული) საერთო საქმის უკეთ წარმართვას შეუწყო ხელი – როგორი საწყენი და გულსატკენი არ უნდა იყოს ეს საკითხისადმი მაღალზნობრივი პოზიციებიდან მიდგომის და სახელმწიფოებრივი ცნობიერების თვალსაზრისით – არ გამოდგება შრომისა და მეწარმეობის რეალურ (ძირითად, გადამწყვეტ) მოტივაციად¹. საკუთარი კეთილდღეობის ამადლების მიღწევის საქმიანობაში საგადასახადო სისტემა ბიზნესს (სამეურნეო სუბიექტებს) მუტის წარმოებისაკენ, ახალ-ახალი პროგრამების (პროდუქციის, მომსახურების სახეობების) დანერგვისაკენ უნდა უბიძგებდეს, და არა გადასახადის შემცირებისაკენ ძალისხმევის წარმართვაზე;

¹ ეს დებულება არ ნიშნავს, რომ ავტორები უგულუბელყოფენ საზოგადოებრივი მენტალიტეტის მნიშვნელობას. პირიქით, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბეგარის გადახდის ის მასობრივი არნდომა, რომელსაც ადგილი აქვს ქვეყანაში, საქართველოს მოსახლეობის სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტის მაჩვენებელია.

- მეორე, მაღალი ბეგარის პირობებში კაპიტალური დაბანდების წყაროს შემცირების გამო კლებულობს ფირმების (სამეურნეო სუბიექტების) შესაძლებლობები. ეს კი დაუშვებელია ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ბეგარის მოცულობამ არ უნდა დათრგუნოს, არ უნდა ნაკლას მისი გადამხდელის მეწარმეობრივი და სამეურნეო მუხტი, გადასახადის სუბიექტს უნდა დარჩეს შემოსავალი, რომელიც უზრუნველყოფს მისი ბიზნესის (საქმიანობის) ნორმალურ განვითარებას, სამუშაო ძალის კვლავწარმოებას¹;
- მესამე, მძიმე საგადასახადო ტვირთი უბიძგებს ბიზნესს ბეგარისაგან თავის არიდებისაკენ. იზრდება ჩრდილოვანი ეკონომიკა და კანონსაწინააღმდეგო გარიგებები სახელმწიფო ჩინოვნიკებსა და ბეგარაგადამხდელებს შორის;
- მეოთხე, მაღალი გადასახადები ზრდის საქონლის ფასს და ხელს უწყობს ინფლაციის გაღვივებას;
- მეხუთე, გადამეტებული ბეგარა შეიძლება სოციალური კონფლიქტების გამწვავების მიზეზიც გახდეს, ამასთან ურთიერთობები შესაძლოა დაიძაბოს არა მარტო მთლიანობაში ბეგარის გადამხდელებსა და სახელმწიფოს შორის, არამედ შრო-

¹ ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, ეკონომისტი, დეკაბრისტი ნ. ტურგენევი. რომელიც მიჩნეულია რუსული ფინანსური მეცნიერების პიონერად, ხშირად იმეორებდა, რომ ბეგარა ამცირებს ხალხის ქონებას და, ართმევს რა მრეწველობას კაპიტალის ნაწილს, ამუხრუჭებს და შეაკავებს მის განვითარებას.

მის დამქირავებელთა და გამქირავებელთა შორისაც ამ უკანასკნელთა მიერ ხელფასის მომატების მოთხოვნის წამოყენების, ხოლო შრომის დამქირავებლების მხრიდან ხელფასის შემცირების მცდელობის გამო;

- მეექვსე, გადამეტებული საგადასახადო წნეხი კიდევ უფრო აძლიერებს ჩვენი საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ბეგარის გადახდის არნდომას, რაც, თავის მხრივ, იწვევს მის ამოღებაში დაძალების გაფართოებას, შესაბამისად, გადასახადების აკრების ხარჯების გაზრდას და (ამის დასაფარავად) მეტი ბეგარის ამოღების საჭიროებას;
- მეშვიდე, გადასახადების აკრების ხარჯების ზრდა (მაღალი დონე) განაწყობს ხელისუფლებას ბეგარის ოპტიმალური სტრუქტურის დარღვევისაკენ: უპირატესობა ეძლევა იმ გადასახადებს, რომელთა ამოღება აკრებილი შემოსავლის ერთეულზე ნაკლები ადმინისტრაციული დანახარჯებით გამოირჩევა (არაპირდაპირი გადასახადები). ფაქტობრივად მეწარმეობაზე, სამეურნეო საქმიანობაზე საშემოსავლო გადასახადის დაწესების იგნორირება ხდება, რომლის საშუალებითაც მიიღწევა უპირველესად საგადასახადო სამართლიანობა (ბეგარის მოცულობის გადახდისუნარიანობასთან დაკავშირება), რისი დაჯვის ნდომა ასე ძლიერია ჩვენს მენტალიტეტში. ისტორიული წარსულით განპირობებულობასთან ერთად, ქართულ

საზოგადოებაში ამ სურვილ – განწყობის მომძლავრებას ბოლო დროს მომხდარი მოსახლეობის ძალზე მდიდრებად (უმნიშვნელო ნაწილი) და ლატაკებად (დიდი უმრავლესობა) დაყოფაც უწყობს ხელს და საგადასახადო პოლიტიკაში ამის არგათვალისწინება არაფერ კარგს არ მოგვიტანს.

ამასთან გადასახადის სამართლიანობის მიღწევის საკითხში მოზომილი მიდგომაა საჭირო. ეროვნული შემოსავლის ბეგარისებური გადანაწილება, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, საზოგადოებრივი საქონელ – მომსახურების შესაქმნელად გამოიყენება. მაგრამ, როგორც არ უნდა შევაფასოთ რესურსების კერძო სექტორიდან სახელმწიფოს მიერ ამოღება, კოლექტიური მოხმარების საქონლის სახელმწიფოებრივ საწყისებზე წარმოების საკითხის გადაწყვეტისას ყოველთვის დადგება განაწილებაში სამართლიანობასა და ეფექტიანობას შორის არჩევანის პრობლემა. როგორც კლასიკოსების, ისე კეინსიანელების აზრით, საგადასახადო სისტემა სამართლიანია, თუ განაკვეთები პროგრესიულია, ვინაიდან მხოლოდ ასე შეიძლება შეიქმნას სოციალური პოლიტიკის გატარებისათვის საჭირო ცენტრალიზებული ფონდები. სხვებს (სეკლასიანიდერები) მიაჩნიათ, რომ ყველაფერი პირიქით უნდა ხდებოდეს: უფრო მიზანშეწონილია პროპორციული და რეგრესული გადასახადიცი კი, ვინაიდან ეს მეტი შემოსავლის (მეტი დოვლათის) შექმნისაკენ უბიძგებს ბიზნესს და ამ შემთხვევაში გასანაწილებელ – გადანაწილებელიცი მეტი იქნება.

შეიძლება ითქვას, რომ ამ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებიდან რომელიმეს არამართლზომიერების დასაბუთება ძნელია, ამასთან ერთის აღნიშვნა კი, ვფიქრობთ, საჭირო იქნება: ყოველმა საზოგადოებამ, გამომდინარე თავისი ტრადიციებიდან და მენტალიტეტიდან, თავისი თბტიშში უნდა გამოიხატოს. ამ შემთხვევაში, საქართველოს საზოგადოების მენტალიტეტიდან გამომდინარე – მკვეთრად გამოხატული დირიჟიზმი (სახელმწიფოს როლის და შესაძლებლობების გაზვიადება) და, ამასთან ერთად, გულკეთილობა და ქუჩაში მათხოვრობის წინააღმდეგ ცალსახა განწყობა – თოთქოსდა ბეგარის საშუალებით ეროვნული შემოსავლის, ჩვეულებრივთან შედარებით, მეტის გადანაწილებას უნდა ვუჭერდეთ მხარს. ჩვენს მიერ გამართული მსჯელობა კი საწინააღმდეგო მოსაზრების დამტკიცებას ეძღვნება. ამის მიზეზია უპირველესად საქართველოს ეკონომიკის (განსაკუთრებით მატერიალური წარმოების) დაკნინებული მდგომარეობა, რომელიც (ეკონომიკა) ვერ დადგება ფეხზე თუ, სხვა ქვეყნებთან შედარებით, შექმნილის მეტი წილი არ დარჩება წარმოების განვითარებისათვის გამოსაყენებლად (ჩვენთან კი ნაკლები რჩება). ამ მოსაზრებას ისიც ამაგრებს, რომ ჩვენი სახელმწიფო, სამწუხაროდ, გადანაწილებულ ეროვნულ შემოსავალს (ესეც სხვებთან შედარებით) დაბალეფექტიანად იყენებს, პ. სამუელსონის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ბედოვლათობა – მფლანგველობას” იჩენს. გარდა ამისა ის დირიჟისტული მენტალიტეტი, რომელიც დამახასიათებელია ჩვენი მოსახლეობისათვის, მნიშვნელოვანწილად ზედაპირულია, წინააღმდეგობრივია, ვინაიდან არ არის გამაგრებული მეტი საზოგადოე-

ბრივი სიკეთის შექმნისათვის საჭირო ბეგარის გადახდის ნდობა – სურვილით.

სახელმწიფო ხარჯების მინიმიზაციას რომ ვუჭერთ მხარს, ჩვენ იმას კი არ ვამბობთ და ვამტკიცებთ, რომ საქართველოსათვის აბსოლუტურად ზედმეტია, ვთქვათ, 70 ათასი პოლიციელი, 30 ათასი ჯარისკაცი, 80 ათასი ჩინოვნიკი ან 65 ათასი სტუდენტი უფასო სწავლებაზე. ასეთი მიდგომა პრიმიტიული იქნებოდა. განა არ გვესმის, რომ თუ, მაგალითად, საქართველოს 500-ათასიანი პროფესიული ჯარი ეყოლებოდა, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის პრობლემა მყისვე მოგვარდებოდა ან საერთოდ არ დადგებოდა. მაგრამ ასეთი განწყობა ხომ პროექტიორობაა? ჩვენ მხოლოდ ის გვინდა დავამტკიცოთ, რომ სახელმწიფო ხარჯები ქვეყნის ეკონომიკის შესაძლებლობებს არ უნდა აღემატებოდეს და საზოგადოებრივ საქონელზე რეალური მოთხოვნებიდან უნდა გამომდინარეობდეს. რეალურ მოთხოვნაში კი იმას ვგულისხმობთ, რომ საზოგადოებას, მოქალაქეებს, მეწარმეებს გაცნობიერებული აქვთ ძირითადად ეს პრობლემა და მზად არიან გაიღონ შესაბამისი ხარჯები; ამასთან რესურსების ასეთი გადანაწილება არ გამოიწვევს მეწარმეობრივი მუხტის მნიშვნელოვნად შესუსტებას და, რომ იტყვიან, წელში არ გაწყდება ეკონომიკა. ჩვეულებრივი მოთხოვნილებების პოზიციიდან საზოგადოება, ალბათ, იმაზეც არ იტყვის უარს, რომ არსებობდეს უფასო უმაღლესი განათლება, საკენსიო ასაკი იყოს 50 წელი (და არა 65), რომ ხელისუფლებამ ყველა სოფელში რიგიანი, მოასფალტებული გზა გაიყვანოს. რეალურად კი ბეგარის გადახდის სურვილით და შესაძლებლობებით გამაგრებული ამ მოცულობის მოთხოვნა საზოგადოებრივ საქონელზე

ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. მაშ რამდენი არსებობს? ამის მიგნება და გადაწყვეტა სახელმწიფო მართვის ერთ-ერთი ურთულესი სამეცნიერო – პრაქტიკული ამოცანაა.

მაშასადამე, როგორც ადრეც აღვნიშნეთ, გადასახადის მოცულობის მეწარმეთა, სამეურნეო სუბიექტთა საქმიანობაზე ზემოქმედება, მისი წინააღმდეგობრივი ხასიათის გამო, ძნელად გასათუფლელ – დასადგენია, შესაბამისად, საგადასახადო პოლიტიკა – სათუთი და საპასუხისმგებლო. მაგალითად, გადასახადის მარეგულირებელი ხასიათის დადგენისა და ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელია იმაში გარკვევა, თუ წარმოების როგორ სტრუქტურასთან გვაქვს საქმე – დაბალი თუ მაღალი ფონდტევადობის, ენერგოტევადობის, კაპიტალტევადობის და შრომატევადობისაა დარგი თუ ქვედარგი, რომლის განვითარების (შეკვეცის) უზრუნველყოფისათვის არის საჭირო საგადასახადო პოლიტიკის გამოყენება. დიდი მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ ქონებაზე მაღალი გადასახადის დაწესებას დესტიმულირებადი ხასიათი ექნება კაპიტალტევადი დარგებისათვის (გაიზრდება მათზე უარყოფითად ზემოქმედი ბეგარისებური წნეხი); ამავდროულად ეს ღონისძიება შედარებით ნეიტრალურია იმ საწარმოებისათვის, სადაც მაღალია შრომის დანახარჯები. ხელფასის დაბეგერის და სოციალური დანიშნულების ანარიცხების შემცირებამ შეიძლება უზრუნველყოს სახალხო მეურნეობაში მაკროპროპორციების გარკვეული შეცვლა: ეს სტიმულს მისცემს საწარმოებს მოიზიდონ მეტი სამუშაო ძალა, შექმნან მეტი სამუშაო ადგილი და გაზარდონ ხელფასები.

ბეგარის, მისი მოცულობის დაწესება – შეცვლისას აუცილებელია აგრეთვე არა მარტო იმის გაანგარიშება, თუ როგორ იმოქმედებს ეს ბიუჯეტის შემოსავალზე, არამედ ასევე (ან უფრო მეტად) ამ ცვლილებების ბეგარაგადამხდელების საქმიანობაზე ზეგავლენის განსაზღვრა. საქმე ისაა, რომ სხვადასხვა ბეგარის ერთი და იგივე მოცულობით (ერთნაირი პროცენტული პუნქტით) შეცვლა არ ნიშნავს, რომ საგადასახადო ზეწოლაც ერთნაირად შეიცვლება შესაბამის გადამხდელებზე; ძალზე ბევრია დამოკიდებული საგადასახადო ბაზაზე: თუ ის (ბაზა) მნიშვნელოვანია მეწარმის აქტივებში, ბეგარის განაკვეთის მცირეოდნად შეცვლამაც შეიძლება თითქმის მთლიანად „შეჭამოს“ მისი საშუალებით ბიუჯეტში ამოსადები შემოსავალი. ამიტომ პარლამენტში გადასახადების შემოღება – შეცვლაზე მთავრობის მიერ შეტანილ წინადადებებს, ჩვენი აზრით, ყოველთვის თან უნდა ახლდეს დაწვრილებითი გაანგარიშება, რომელშიც წარმოსახული (შეფასებული) იქნება როგორც ფაქტობრივი მდგომარეობა (ბეგარისებური წნეხის შეფასება), ისე გადასახადის სახეობის, მისი განაკვეთის ცვლილებების მოსალოდნელი (პროგნოზული) ფისკალური და ეკონომიკის მარეგულირებელი შედეგები.

ზემოჩამოთვლილი მიზეზები მიგვანიშნებს, რომ საგადასახადო წნეხის შემცირების სარგებლიანობის განწყობის დამკვიდრება სასურველია ნებისმიერი საზოგადოებისათვის და ჩვენ ამას ადრეც გაეუხვით ხაზი. მით უფრო აუცილებელია ეს კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი გარდამავლური ეკონომიკისათვის, აგრეთვე ახალი, ჩვენსავით ჩამოყალიბების პროცესში მყოფი სახელმწიფოსათვის, რომელსაც სახსრების კერძო საწყისებზე და სახ-

ელმწიფოს მიერ გამოყენების შეთანაზომის გამოცდილება არა აქვს, „სამაგიეროდ“ ქვეყანაში მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში თავის შესაძლებლობებს მოჭარბებულად აფასებს.

კიდევ ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ ვუჭერთ ჩვენ მხარს გადასახადების (სახელმწიფო ხარჯების, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების) შემცირების აუცილებლობის თეზას, არის ის (და ამას ეკონომიკის ფართო მასშტაბით რეგულირების მომხრეებიც არ უარყოფენ), რომ ძნელია სახელმწიფო პოლიტიკის შედეგების სწორი განსაზღვრა. ამასთან დაკავშირებით იმის აღნიშვნაც აუცილებელია (და ესეც ბეგარის მინიმისაციის განწყობისაკენ გვიბიძგებს), რომ, როდესაც სახელმწიფოს მიერ სახსრების გამოყენების დაპროგნოზებული (მოსალოდნელი, შეპირებული) შედეგი ვერ (არ) მიიღება, ამის გამკეთებლებს და სახელმწიფო ღონისძიებების გამტარებლებს, გამომდინარე ეკონომიკის განვითარების წინააღმდეგობრივი ხასიათიდან და მასზე მრავალი ცვალებადი ფაქტორის ზემოქმედებიდან, ყოველთვის შეუძლიათ დაამტკიცონ, რომ პროგნოზი და ღონისძიება სწორი იყო, მაგრამ არასასურველი შედეგის მიღება იმ პირობების შეცვლამ გამოიწვია, რომლის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელი იყო.

გასაგებია, რომ გადასახადების შემოღება, გაზრდა თუ შემცირება სახელმწიფო ფუნქციაა, ხელისუფლების საქმეა. მაგრამ მოსახლეობისათვის, ფაქტობრივად ყველა ადამიანისათვის აგრერიგად აქტუალური ეს საქმე საზოგადოების განსაკუთრებული კონტროლის ქვეშ უნდა იყოს. ეს კონტროლი, ბეგარის მოცულობაზე, მის გაზრდა – შემცირებაზე თანხმობის მიცემა ცივილიზებულ ქვეყნებ-

ში ფაქტობრივად არჩევნების დროს ამა თუ იმ პოლიტიკური ძალისთვის, მისი სოციალური და, შესაბამისად, საგადასახადო პოლიტიკისათვის მხარდაჭერაში ვლინდება. ჩვენთან კი, მიუხედავად ეკონომიკის ხანგრძლივ პერიოდში უმძიმესი მდგომარეობისა, საგადასახადო პოლიტიკის („ეკონომიკური კონსტიტუციის“) საკითხები ვერ გახდა პოლიტიკურ ძალთა შორის ამომრჩეველთა ხმების მოპოვებისათვის მეტოქეობის საგანი. სანამ ეს ტრადიციები არ დამკვიდრდება, ქვეყანაში მაღალი დონის საგადასახადო სისტემა ვერ ჩამოყალიბდება.

ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მარტო საგადასახადო კანონმდებლობის შეცვლის პროგრამის აკარგებლობაში გარკვევა საკმარისი არ არის. მოსახლეობამ (ამომრჩეველებმა) საგადასახადო პრობლემა-მების პოზიციიდან ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის მხარდაჭერის საკითხის გადაწყვეტისას ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ პოლიტიკური ძალა (პარტია თუ ლიდერი), რომლის პროგრამა – შეპირებასაც მისცემს ის უპირატესობას, ხელისუფლებაში მოსვლისას და დანაპირების ცხოვრებაში გატარებისას (მათ შორის ბეგარისებური შემოსავლის საზოგადოებრივი სიკეთის შესაქმნელად გამოყენებაზე) ისეთივე რაციონალური ვერ იქნება, როგორც თვითონ ინდივიდუუმი კერძო საქონლის გამოყენებისას¹. რეალური სიტუაცია, ძალთა შეფარდება, სახელმწიფო სტრუქტურების პროფესიონალიზმი, მათი ნაკლები მატერიალური დაინტერესება (კერძო საქონ-

¹ აქ არაკეთილსინდისიერ პოლიტიკოსებზე კი არა გვაქვს საუბარი, არამედ იმათზე, ვისაც ნამდვილად სურს იმის გაკეთება, რასაც კპირდება ამომრჩეველებს.

ლის წარმოებისაგან განსხვავებით) და სხვა პარამეტრები ობიექტურად განაპირობებს სასოგადოებრივი საქონლის წარმოებისას, კერძო საქონლის წარმოებასთან შედარებით, მთლიანობაში (სხვა თანაბარ პირობებში) ნაკლებ რაციონალურობას. ამიტომ სასარგებლო და აუცილებელია სასოგადოების პერმანენტული მეთვალყურეობის ქვეშ იყოს სახელმწიფო ხარჯები და სახელმწიფო საგადასახადო პოლიტიკა; ხელისუფლება მაქსიმალური საჯაროობის პირობებში ბიუჯეტის ყოველწლიურად დამტკიცებისას უნდა უსაბუთებდეს პარლამენტს, ხალხს ბეგარის საერთო მოცულობის მართლზომიერება – აუცილებლობას. ამ პროცესში ფართოდ უნდა მონაწილეობდნენ არასამთავრობო სტრუქტურებში დასაქმებული პროფესიონალები.

ქვეყანაში საგადასახადო წნეხის შემცირების განწყობის აუცილებლობის დებულებამ, რომლის მართლზომიერების დასკვნას ეძღვნება მნიშვნელოვანწილად წინამდებარე ნაშრომი, შეიძლება განაწყოს ზოგიერთი მკითხველი მოთხოვოს ავტორებს კონკრეტული წინადადებები იმის თაობაზე, თუ რომელი სახელმწიფო ხარჯი უნდა იქნეს შემცირებული და რამდენით. შენიშვნა პრინციპში სწორია, ვინაიდან ბეგარის მოცულობა გამომდინარეობს ხელისუფლების გადაწყვეტილებიდან სახელმწიფო ხარჯების ოდენობაზე. თავს იმით გავიმართლებთ, რომ:

- ჯერ ერთი, ამ ნაშრომში ჩვენს უპირველეს ამოცანას იმაში ვხედავთ, რომ შეძლებისდაგვარად დავახასიათოთ ქვეყანაში საგადასახადის საერთო მოცულობის არაოპტიმალურობა, აგრეთვე მისი სტრუქტურული ნაკლოვანებები;

- მეორე, ვფიქრობთ, საკმაოდ ვისაუბრეთ საერთოდ სახელმწიფო ხარჯების რაციონალურობაზე და ვამტკიცებდით, რომ მათი ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს (ჩვენთან კი აღემატება) სახალხო მეურნეობის შესაძლებლობებს;
- მესამე, გარდა ამისა, ჩვენ არა გვაქვს პრეტენზია, რომ შეგვიძლია დავამუშაოთ და წარმოვადგინოთ შესაძლო (დასაშვები) სახელმწიფოებრივი ხარჯების ნუსხა სხვადასხვა მიმართულებით; ამასთან ჩვენ გარკვეულწილად შევეხეთ თავდაცვის და ზოგიერთი სხვა ხარჯების მეცნიერულად გააზრების გარეშე ჩამოყალიბების საკითხს.

